გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად



# ილორი



E-mail: r.jalagania@mail.ru

№198 (257) 27 ნოემბერი-4 დეკემბერი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

# გადადექი!.. გადადექი!... გადადექი!..

ამ სიტყვებით შეუვარდა პარლამენტში პრეზიდენტად წოდებულ ედუარდ შევარდნაძეს 2003 წლის 23 ნოემბერს **“ახალგაზრდა რეფორმატორი”** მიხეილ სააკაშვილი, რასაც მართლაც მოჰყვა პოლიტიკურ ცვედანად ქცეული შევარდნაძის გადადგომა, რაც საშინელ ტრაგედიად ექცა სრულიად საქართველოს!

ის, თუ როგორ აჭიანურებდა იმ დღეს ახლადარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების გამოცხადებას შევარდნაძე, რომლის ლუღლუღი ახლაც ავბედითად ჩაგვესმის ყურში, თუ როგორ აჰყარეს იარაღი სახელმწიფო დაცვის სამსახურს, როგორ გაანეიტრალეს შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები, მიუთითებს იმაზე, რომ ე.წ. **“ვარდების რევოლუცია”** შევარდნაძის მიერ უნიჭოდ დადგმული პოლიტიკური სპექტაკლი გახლდათ, რათა საქართველოს მართვის სადავეები მისთვის სასურველ პოლიტიკურ ძალას დარჩენოდა. დაუფასდა კიდეც ამაგი – ნაცვლად იმისა, რომ, უამრავი სიბოროტის შემოქმედი და დანაშაულის ჩამდენი შევარდნაძე ციხის კედლებს ხეხავდეს, იგი დღესაც კრწანისის **“ოქროს გალიაში”** ზის და იმდენი თავხედობა ჰყოფნის, რომ კვლავაც დაგვმოძღვროს და ჭკუა გვასწავლოს!

ალბათ იმიტომ, რომ უფრო მეტს ვიმსახურებთ, რადგან დღემდე ვერ შეგვიგნია, რომ საქართველოში უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში დატრიალებული ყველა უბედურების თავი და თავი სწორედ ედუარდ შევარდნაძე გახლავთ, რომელიც წავიდა პოლიტიკურ მოუსავლეთში, მაგრამ, როგორც არც თუ ავი ენები ამბობენ, თან გაიყოლია არამად ნაშოვნი რამდენიმე მილიარდი დოლარი, რომელიც უკვე მისი მმართველობის ჟამს მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს, საგარეო ვალის სახით!

ქვეყნის საგარეო ვალმა კი, ავადსახსენებელი შევარდნაძის მმართველობის ჟამს, სამ მილიარდ დოლარს მიაღწია, რაც ჩვენი და ჩვენი შვილების გადასახდელი იქნება. წავიდა, მაგრამ ვალთან ერთად დაგვიტოვა ლამის მოუშორებელ ჭირად ქცეული რეაქციონერი სომეხი სააკაშვილი და მისი რეაქციონერ სომეხთა ბანდა. სააკაშვილმა კი თითქმის გააოთხმაგა ქვეყნის საგარეო ვალი და, როგორც **“ავი ენები”** ამბობენ, ხელს გააყოლა ხალხის ჯიბეებიდან ჯიბგირულად ამოღებული საკმაოდ დიდი თანხა და ამჟამად მექსიკის ერთ-ერთ ბანკში 7 მილიარდი დოლარი აქვს გადანახული **“შავი დღისთვისო”!**

ასეა – ხელისუფლებაში მოდიან ცალცალი კალოშით და ხელისუფლებიდან მიდიან მილიარდობით ნაქურდალი დოლარით ჯიბედამძიმებულები!

ჩვენ კი ყოველთვის გაბზარულ ვარცლთან ვრჩებით პუშკინის ცნობილი პოემის გმირი დედაბერივით.

ამჯერად კი ღვთისმშობელმა კიდევ ერთხელ გადაგვაფარა მადლიერების კალთა და მოგვაშორა ის ჭირად ქცეული **“ნაცები”** და სააკაშვილი, რომლებიც ქვეყანას უკანმოუხედავად მიაქანებდნენ უფსკრულისაკენ. დღეს კი, ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალების მოსვლის შემდეგ სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა, რაც სავსებით ლოგიკური გახლავთ!

სწორედ მოფაშისტო ელემენტის მიხეილ სააკაშვილისა და მისი სახედაკარგული ბანდის შერყვნილი აზროვნების ნიმუში გახლავთ ის, რომ მათი რედაქციით **“გაუპატიურებული”** საქართველოს კონსტიტუცია იმდენად აბსურდულია, რომ კატეგორიულად გამორიცხავს ქვეყნის სათავეში აღმოჩენილი ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური ძალების ურთიერთთანამშრომლობას, რაც ფაქტიურად ორხელისუფლებიანობისაკენ მიაქანებს ქვეყანას და იმაზე უფრო მძიმე პერსპექტივას უქადის საქართველოს, ვიდრე მას ჰქონდა ნაცების მმართველობის ჟამს!

სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა გახლავთ არა მხოლოდ მისი, როგორც სულდამახინჯებული პიროვნებისადმი ზიზღი და უნდობლობა, არამედ ისიც, რომ ამ მართლაც სულელი ადამიანის დატოვება ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდლად დიდი ხიფათის მომცველია საქართველოსადმი. ეს საფრთხე აშკარად გამოსჭვივის მისი აშკარად არაადექვატური საკადრო გადაწყვეტილებებიდან – თუნდაც ის, რომ მან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენშტაბის უფროსის თანამდებობაზე დასტოვა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემული და 30-ათასლარიანი გირაოთი დროებითი პატიმრობიდან სამჯერ განთავისუფლებული გენერალი გიორგი კალანდაძე.

გეკითხებით: შეიძლება კი იმის განჭვრეტა, თუ როგორ პროვოკაციებს მოიმოქმედებს ჯერ კიდევ ძალმოსილი გენშტაბის უფროსი, რომელსაც ხანგრძლივი ვადით პატიმრობა ემუქრება? მას ხომ ზეპირი ბრძანებითაც შეუძლია ნებისმიერი სამხედრო ქვედანაყოფის გამოყვანა და ნებისმიერ ობიექტზე იერიშის განხორციელება? როგორ შეიძლება, რომ ყოველივე ამის შემდეგ მიხეილ სააკაშვილის აღნიშნული გადაწყვეტილება ადექვატურად იქნას შეფასებული?

ყოველივე ეს ხომ იმ ბომბზე ჯდომის ადექვატურია, რომელზეც უკვე სხედან სააკაშვილი და მისი ბოროტი თანამზრახველები! განა მხოლოდ ეს ფაქტი არ კმარა სააკაშვილისათვის იმპიჩმენტის გამოსაცხადებლად და პრეზიდენტობიდან მის გადასაყენებლად? ჩვენ კი საკონსტიტუციო გზებს ვეძებთ და არ გვსურს გადამწყვეტი ზომების მიღება დამნაშავე სააკაშვილის წინააღმდეგ, რამაც შეიძლება იგი იმ ახალი დანაშაულის ჩასადენად შეაგულიანოს, რაც ძვირად დაუჯდება პირადად მასაც და სრულიად საქართველოსაც, რომელმაც რამდენიმე კვირაა იგრძნო თავისუფლებისა და კანონიერების სიოს შემობერვა.

ამიტომ, ახლაც ავბედითად შემომესმის ნახევრადნორმალური, აშკარად ჭკუანაკლული ტირანის მიხეილ სააკაშვილის მიერ არაერთგზის დაწიხლული და შეურაცხყოფილი ქართველი ხალხის შორიდან მომავალი მგრგვინავი ხმა: **“გადადექი, გადადექი, გადადექი!..”**

დიახ, სწორედაც რომ მგრგვინავი საპროტესტო ხმა და არა დედაბრული ჩხავილი, რითაც სააკაშვილი შევარდნაძეს პრეზიდენტობის პოსტის დატოვებისაკენ მოუწოდებდა. არავინ იცის, წინასწარ **“რეპეტიციებზე”** რამდენჯერ გაამეორებინა შევარდნაძემ სააკაშვილს ეს ერთადერთი სიტყვა, მაგრამ სომხური ჩარჩული ბუნების მქონე სააკაშვილი იმდენად უნიჭოა, რომ მაინც ვერ შესძლო ამ ერთადერთი სიტყვის დამაჯერებლად დეკლარირება და სწორედ მაშინ ირწმუნა ყველამ, რომ **“ვარდების რევოლუცია”** იყო არა რევოლუცია, არამედ ნაჩქარევად და უნიჭოდ დადგმული პოლიტიკური ფარსი!

შევარდნაძემ შეასრულა თავისი მუქარა – **“თქვენ არ იცით, რას ნიშნავს ჩემზე უარესი პოლიტიკური მოღვაწე, რასაც მალე მიიღებთ კიდეცო”.**

და, მივიღეთ კიდეც – ნარკომანი, მექალთანე, იმპულსური, მშიშარა, უმეცარი, ანგარებიანი ჩარჩი, რომელმაც დიდი ფულის შოვნის ერთადერთი გზა აირჩია – საკუთარი ხალხის ძარცვა-გლეჯა.

შემდეგ მივიღეთ მისი გარემოცვა, მასზე უფრო საზიზღარი, ანგარებიანი და სულიერად დაბინძურებული, რომელთა ძირითად მიზანს დიქტატორობის ხურუშმოძალებული სააკაშვილის ნებისმიერი უკანონო სურვილის **“გაპრავება”** გახლდათ.

– მკვლელის დანიშვნა გნებავთ მინისტრად?

– კი, ბატონო!

– საეჭვო რეპუტაციის მქონე დედაკაცის დანიშვნა გნებავს მინისტრად?

– სიამოვნებით, ბატონო!

– მომღერალი ტაკიმასხარის დანიშვნა გნებავთ მინისტრად?

– რაზეა ლაპარაკი, თქვენი აღმატებულების სურვილი ჩვენთვის კანონია!

– უდანაშაულო ადამიანის დაჭერა გნებავთ, თქვენს უზენაეს ხელისუფლებას და აბსოლუტურ ხელისუფლებას რომ არ აღიარებს იმიტომ?

– ჯანდაბას მისი თავი, დავიჭიროთ და ცოცხიც გავუკეთოთ უკანალში, რათა გაიგოს, რაოდენ დიდებულია თქვენი უმაღლესობა!

ასე ჩამოყალიბდა დიქტატორად ერთი ჭკუანაკლული თბილისელი სომეხი, რომელიც თავისი უჭკუობისა და თავხედობის გამო არც ქართველებს უყვარდათ, არც სომხებს, არც აზერბაიჯანელებს და არც სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს!

სამაგიეროდ პოლიტიკური **“პიარი”** ეხერხებოდა და ხალხის ჯიბიდან ამოღებულ **“საბიუჯეტო”** მილიონებს ხარჯავდა იმისათვის, რომ შორს გავარდნოდა **“დემოკრატიის შუქურის”** სახელი.

## მიშისტური ხუთწლეულის დასკვნითი აკორდები

### განვედ სატანა!

**სააკაშვილი მიშაი**
**როგორც გჩვევია, იმ შარით,**
**მოსურნე მეტის მეტისა**
**სკამს ვერ თმობ პრეზიდენტისას.**

**არადა, უკვე ყლარტია,**
**ქვეყნისთვის ჩირქის მომცხები,**
**ეგ შენი დემოკრატია**
**„დუბინკებით“ და ცოცხებით!..**

**განვედ სატანა,**
**ვერ შევიძლებთ მეტის ატანას,**
**განვედ სატანა,**
**განვედ სატანა!**

### დიდი მოლოდინი

**მიწა ქალამნად რომ მიგაჩნდა**
**და ზეცა ქუდად,**
**„სოდი“ და „კუდი“ თან დაგყვება**
**რქებად და კუდად,**
**უნდა გადადგე,**
**20 იანვარს გადადგე უნდა!**

**ალექსანდრე შენგელია**

უამრავი ქართული ანდაზის მისადაგება შეიძლება ამ მართლაც პირწავარდნილი სომეხი ჩარჩის საქციელისადმი, რომლისთვისაც საქართველო მხოლოდ მსუყე საძოვარი გახლდათ. თუნდაც ასეთების: **“ძაღლი ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა”, “ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროდ გარბოდაო”**, ან **“მეტიჩარა კუილი ტრ-ში არ ეტეოდაო”** და სხვა. ამის დასტური გახლდათ მისი უკანასკნელი ვოიაჟი ბრიუსელში, სადაც იგი ეახლა **ნატო-**ს გენერალურ მდივანს რასმუსენს და ლამის ტირილით შესჩივლა: **“ახალი პოლიტიკური ძალა გვჩაგრავს, გენერლები დააპატიმრა და საზოგადოებრივ მაუწყებელსაც ავიწროვებსო”**. მაპატიეთ, მაგრამ სულ ცალ ფეხზე გვკიდია ვიღაც გაწუწკებული ევროპელი ჩინოვნიკის აზრი საქართველოზე, რომელთანაირებიც ეტყობა დიდ ფუფუნებაში ჰყავდა სააკაშვილს, რათა მსოფლიოსათვის ამ უმწიფარი ადამიანის **“დემოკრატობანა”** ემტკიცებინათ, რომლის საქციელი საერთოდ ვერ ჯდება არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ წმინდად ადამიანური ეთიკის ფარგლებში!

საინტერესოა, რატომ მაშინ არ ატეხა რასმუსენმა ვაი-ვიში, როცა სააკაშვილის ქოფაკებმა ვანდალურად დაიპყრეს ტელეკომპანია **“იმედი”**, როცა ამ მართლაც არანორმალური არსების ბრძანებით ბომბები დააყარეს მძინარე ქალაქ ცხინვალს, როცა მიშას ზონდერებმა დახოცილი დემონსტრანტები მაღაზიის სახურავზე შეჰყარეს, როცა შუადღით, ქალაქის ცენტრში, პატრულის თანამშრომლები ხვრეტდნენ უდანაშაულო ახალგაზრდებს, როცა **“სამართალდამცავებმა”** დააყაჩაღეს **“ქართუ-ბანკის”** საინკასაციო მანქანა, როცა ხელისუფლებამ დააყადაღა ასიათასობით სატელიტური ანტენა, როცა ხაშურის საარჩევნო უბანში შეცვივდნენ იარაღმომარჯვებული ნაციონალები და საარჩევნო ყუთი გაიტაცეს, როცა ნაცმა ზონდერებმა ქვები დაუშინეს **“ქართული ოცნების”** აქტივისტებს, როცა გაძალიანებულმა პოლიციელებმა ჭირისუფლები არ მიუშვეს ხაშურის პოლიციაში ძალოვნების მიერ მხეცურად მოკლული ქიმერიძის დაკრძალვაზე, როცა მთელმა მსოფლიომ იხილა საქართველოს ციხეებში მომხდარი ამაზრზენი ფაქტები...

რომელი ერთი სიგლახე ჩამოგითვალოთ, რომელიც საქართველოში მყარად დაამკვიდრა ამ პოლიტიკურმა ავანტიურისტმა და ადამიანის სახედაკარგულმა ლოველასმა.

ამერიკელები კი დაჟინებით ითხოვენ სააკაშვილისა და ივანიშვილისაგან მშვიდობიან ურთიერთთანამშრომლობას და ისიც კი ვერ შეუგნიათ, რომ ამ ორი პოლიტიკოსის გაერთიანება ისევე შეუძლებელია, როგორც დღისა და ღამის, ან წყლისა და ცეცხლის სინთეზირება, რადგან სააკაშვილს თავისი ამერიკელი სომეხი თანამემამულეებისაგან შეკვეთილი აქვს საქართველოს დაქცევა-განადგურება, ივანიშვილი კი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკაში მოვიდა საქართველოს გადასარჩენად.

მაგრამ, ვერ შეასრულა სააკაშვილმა თავისი მონოფიზიტური ეკლესიისა და ამერიკელი თანამემამულეების შეკვეთილი **“საშინაო”** დავალება და ამიტომაც არ ეთმობა ძალაუფლება ამ სომეხ ჩარჩს და უკანასკნელ კაპიკამდე ცდილობს თავისი სარგებლისა და სარფის მიღებას არჩევნების თავხედურად გაყალბების გზით მიტაცებული თანამდებობისაგან.

*(გაგრძელება მე-3 გვერდზე)*

# მოგზაურობანი

**"სამურზაყანოელი გლეხი შინ". – ჩემი მასპინძელი გუძა. – აქაური გლეხის მოსახლეობა. – ფაცხის მორთულობა: გარდეროზი, ბუფეტი, სახლის ავეჯი. – საზრდო გუძასი. – როდის არის გუძა ბედნიერი? – სულიერი მოთხოვნილება გუძასი. – მისი დარდი, მისი ეკონომიური იდეალი. – როდის შეეცვლება სახე გუძას პირველყოფილ ბრძოლას ცხოვრებასთან? – ერთი ღამე გუძასთან. – ძველი ჩვეულება. – გამოთხოვება.**

განთიადისას ტყე აივსო ჩიტების სტვენითა და ჭიკჭიკ-გალობითა. დაძინებულმა ბუნებამ გამოიღვიძა. გუძას ჯერ ფრთოსანთა და მერე ოთხფეხ ცხოველთა ხმა მისცეს ჩიტების გალობასა. ნელ-ნელა ფაცხის მკვიდრნიც წამოიშალნენ. საჩქაროზე ხელპირი დავიბანეთ და მე და გუძა მთაში წასასვლელად მზადებას შევუდექით. გუძამ მშვლის რქაზე დაკიდებული თოფი ჩამოიღო, საპირწამლე გაუსინჯა და ისევე ირმის ტყავისაგან შეკერილ ბუდეში ჩასდო. **"უნდა თან წავიღოთ, იქნება "უწმინდური" (დათვი) შემოგვხვდეს გზაშიო".** გუძას ცოლმა ქასლაშია (ქასლაშია ჭურჭელია, თხის ტყავისაგან გაკეთებული. შიგნით და გარეთ გაფხეკილია. შიგ ასხამენ მაწონს და მგზავრობის დროს დააქვთ. მთაში ყველა ხმარობს ამ ჭურჭელს) ჩამოიღო, მაწვნით გაავსო და გუძას დაჰკიდა, გზაში დაგჭირდებათო. იმ ღამეს ჩემი ცხენი გუძამ, ქურდების შიშით, ფაცხის აივანზე დააბა, და გუძას ვაჟი უხვად უყრიდა ახლად გამოჭრილ სიმინდს. გუძამ შემიკაზმა ცხენი. ფაცხიდან გასვლის წინ შევეცადე სასყიდელი მიმეცა ჩემი მასპინძლისათვის. პატივისცემისათვის სამაგიეროდ ფულს ვერ შეაძლევთ აქაურ მასპინძელს: არამცუ არ გამოგართმევთ, შეურაცხყოფადაც მიიღებს თქვენს ქცევას. მეც, რაკი სხვა გზა არა მქონდა, პატარა ტასიას **"სახსოვრად"** ერთი ცხვირსახოცი ვუფეშქაშე, რამაც ცასა სწია გოგონა. დანარჩენ ბავშვებს ორ-ორი ორცხობილა დავურიგე და ზედნადებად გაზეთის ორიოდე ნომერიც დავუტოვე. ქაღალდი რომ დაინახეს, ერთმანეთს მივარდნენ და თითოეული მათგანმი შეეცადა დაჰპატრონებოდა ამ **"ტატას"**. მათს ბრძოლაში დედა ჩაერია და ყველა გაათანასწორა: გამოჰგლიჯა გაზეთის ფურცლები და ზანდუკში შეინახა მოწიწებით.

თითქოს დიდი ხნის მოკეთე და ნაცნობი ვყოფილიყავ, გულწრფელად გამომეთხოვენ. სინანული გამოაცხადეს, რომ ასე **"უცბად დავშორდი"**. მათს ლოცვას საზღვარი არა ჰქონდა. **"აქეთობას უეჭველად მნახეთ, როგორც კარგმა მოყვარემაო"**, მომაძახა დიასახლისმა ღობესთან მისულს.

**მთისკენ. – ხელუხლებელი სამეფო წიფლისა. – მისი გადარჩენის მიზეზი. ისიც გაიკაფება. – უღმერთო ბილიკი ანარიის მთისა. – გზის დამამშვენებელი: წყაროები, მთის ნაკადულები, ნისლი. – მეორე გაზაფხული. – წყავის ბუჩქები. – დასასრული მთის გზისა.**

შევუდექით მე და ჩემი ჩიჩერონე – გუძა მთის კალთასა. სულ საცალფეხო გზაზე მივდივართ, ცხენი კი ხალთად მიგვყავს. გზასა ჰფარავს ტყე თხილისა, წიფლისა, წაბლისა, მთის ნეკერჩხლისა. ორი საათის სიარულის შემდეგ მარტო წიფლის სამეფოში შევყავით თავი. მეტად მსხვილი და მაღალია აქაური ლაღად გაზრდილი წიფელა. სისქე მისი ორი ალაბია, ზევით კიდევ თვალს ვერ აუწვდენს ადამიანი. ადამიანს ჯერ აქ ცული არ შემოუტანია იმ განზრახვით, რომ ხე მოვსჭრა და ამით ვისარგებლოო. ასეთი უტეხი, ან როგორც მეგრელები ეძახიან, **"უჭმელი"** ტყე წიფლისა, აჰყვება თვით ანარიის მთამდე, 30 ოთხ-კუთხა კილომეტრის სივრცეზე მესამედი ამ ტყისა ოქუმის საზოგადოებას ეკუთვნის, დანარჩენი სახაზინოა.

როგორცა ვთქვი, ეს ტყე ხელუხლებელია იმიტომ კი არა, რომ აქეთკენ რაიმე წესი იყოს დამყარებული ამ ტყის რიგიანად და გამოზომვით ხმარებისა. ჯერ ამნაირი წესის შემოღება, რომელიც ასე საჭიროა სამურზაყანოს ტყეებისათვის, მხოლოდ ოცნების საგანს შეადგენს. თუ ეს ტყე ბარბაროსულად განადგურებას გადაურჩა, ამის მიზეზი, ჯერ ერთი, ის გახლავთ, რომ ადგილ-მდებარეობა აქვს მიუვალი. აწ არსებული გზით ვერ მიუდგება ვერც ურემი და ვეღარც ჩალვადარი. მაგრამ მალე, სულ მალე, 20-30 წლის შიგნით, როცა ბარი სულ გაიკაფება, აქაური გლეხი ძალაუნებურად აატანს ამ მთასა და ასწლოვანი წიფლების უთავბოლო ჭრა აახმიანებს აქაურობას.

ბარიდან ანარიის მთისკენ ორი საცალფეხო ბილიკი მიდის: ერთი იწყება სოფელ ჩხორთოლიდან, მეორე – ოქუმიდან. ჩხორთოლიდან მიმავალ ბილიკს აფხაზების გზას ეძახიან, რადგან აფხაზ მწყემსებს ამ გზით დაუდით საქონელი სამურზაყანოს მთებზე. ოქუმიდან მიმავალი გზით კი მხოლოდ სამურზაყანოელი მწყემსები დადიან. ჩხორთოლის გზა მოკლეა. აქეთობას ამ გზით მომიხდა ჩამოსვლა მთიდან და სულ იმას ვიძახდი, ნეტავ ამ გზით არ წამოვსულიყავი-მეთქი. გზა ქვიანია და მოსხლეტილი. თითქმის ერთი კილომეტრის მანძილზე იძულებული ვიყავ, ცხენისათვის უნაგირი მომეხსნა და ზურგით მეზიდა, ცხენი კი თავის ნებაზე მივუშვი. მაგრამ ვაი ასეთ გაშვებას! ვამბობდი, აი, ახლა დაიმტვრევა, აი, ახლა დასაზღვევი გამიხდება-მეთქი. დღესაც ვერ წარმომიდგენია, როგორ დაუდით ამ გზით საქონელი!..

შუა გზაზე ორივ ეს ბილიკი ერთდება და ამას იქით, შედარებით, უკეთესი სავლელია. შედარებით, იმიტომ, რომ ადგილ-ადგილ საცალფეხო ბილიკი მოსხლეტილ კლდეებს გადაჰყურებს. საკმაოა, ერთი ბეწო დაუცდეს ფეხი ამ ბილიკზე მიმავალ ადამიანსა თუ საქონელსა, რომ ძირამდე სული არ ჩაჰყვეს და თვალუწვდენელ ხევში სადმე სვავ-ყორნების საკორტნი გახდეს. ხოლო ასეთი უბედურება აქ ხშირიცაა, განსაკუთრებით გაზაფხულზე, როცა იალაღზე საქონლის ჯოგს მიერეკებიან მწყემსები, და ენკენისთვეში, როცა იგივე საქონელი იალაღიდან უკან მოუდით ხოლმე.

ანარიისა და იმის იქით მდებარე მთების იალაღებზე, სვანეთის საზღვრამდე, მიუდით საქონელი თითქმის მთელ სამურზაყანოს და აბჟუას (აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილია) მწყემსებსა. ყოველ გაზაფხულზე ზემოდასახელებული ბილიკით სულ უკანასკნელი 60.000 სული საქონელი მიუდით, სხვილფეხა, თუ წვრილფეხა. ხოლო უგზოობით, წელიწადი ისე არ გაივლის, მწყემსებს ორასი თუმნის ზარალი არ მოუვიდეთ იქითობას, თუ აქეთობას. ერთხანად სამასი თუმანი რომ დაიხარჯოს, მეტი არც კი მოუნდება იმ ადგილების შესწორებას, სადაც მეტად საშიშია გავლა. თვით მწყემსების გარდა ამ საქმეში, უეჭველია, სახელმწიფო ქონებათა უწყებაც მიიღებს მონაწილეობას, იმიტომ რომ მთელი საზაფხულო საძოვარი ადგილები აქეთკენ ამ უწყების ხელშია. ამ საძოვრებიდან წლიური შემოსავალი, ჯერ ახლა, როცა ასე საშიშია აქეთკენ სიარული, ორას თუმანს აღემატება, რაკი გზა შესწორდება, მაშინ საძოვრების მუშტარიც იმატებს და, მაშასადამე, შემოსავალიცა.

ამ აღმართ-დაღმართ მიმავალ გზას ამშვენებს და მის სიძნელეს ავიწყებს მგზავრს ანკარა და ყინულივით ცივი წყაროები. უცნობ მწყემსს ღარი გაუკეთებია ხის ქერქისაგან, რათა დაღლილი მგზავრი მოხერხებით დაეწაფოს წყალს და ღარის გამკეთებელს ლოცვა-კურთხევა გაუგზავნოს. ერთ ასეთ წყაროსთან მე და ჩემმა გუძამ სიამოვნებით მოვასვენეთ ძალზე დაღლილი მუხლები და შუბლი გავიგრილეთ. გუძამ მოხსნა ქასლაშს თავი, აღღვებილი და კარაქმოდებული მაწონი ჩაყვაზე (ხის ჭურჭელია, ტოლჩის მსგავსი) დაასხა და შემომთავაზა. ჩემო ორცხობილებიც წყალში დავალბეთ და ორივემ აღტყინებული შიმშილი დავაყუჩეთ. ძნელად დაავიწყდება კაცს ასეთ ალაგას მოსვენება და დანაყრება, თუნდაც მწირი სურსათით...

მთელი 6 საათი მივდივართ. შუადღეა. მზეს, მიუხედავად იმისა, რომ შუაგული მკათათვეა, სითბო აკლდება: ბარი და მისი პაპანაქება სიცხე შორს დაგვრჩა. ბამბის ქულა ნისლები ბოლქვა-ბოლქვად დაჰგოგავენ უძირო ხევებში. ხან ჩვენამდეც ატანს, შიგ ვეხვევით და ტანისამოსი მსუბუქად გვისველდება. საგრძნობლად გრილა. ვგრძნობთ მის სიახლოვეს. ჰაერი თანდათან მსუბუქი ხდება და ჩვენი ფილტვები ხარბად ისუნთქავს. მაჯისცემა ხშირია. იქით-აქეთ ხევებში კლდიდან-კლდეზე ცელქად მხტომარე მთის ნაკადულების საამო და ნირშეუცვლელი შუილით სმენა გვევსება. ტკბილი ხმა ამ შუილისა შორსა ჰკოცნის მწვანე ხავერდით დატვირთულ მთასა და მის ულრმეს ნაპრალებსა...წიფლის ხშირი და თაღივით ჩამობურვილი ტყე თანდათან თხელდება, სიბნელე თავის ალაგს სინათლეს უთმობს, იწყება წყავის ბუჩქნარი, კვლავ გვიგაზაფხულდება: ახლა, მკათათვეში, ჰყვავის. თეთრი ყვავილები მისი დამბნედის სურნელებით ავსებს გარემოს. ამ ბუჩქს აქ ყვავილი ყვავილადვე რჩება. სიცივე არ აცლის ნაყოფად გამოისხას, დაამწიფოს და თავის გემო აჩვენოს აქაურ ზაფხულის სტუმართ, ბარს დაშორებული და ხილს დანატრულებულ მწყემსებს. არც თუ ტყუილად იკარგება ეს ყვავილი: ეს შეადგენს სარჩოს ფუტკრისას, რომელსაც სამურზაყანოელის მეურნეობაში საპატიო ადგილი უჭირავს. ბარად კი, სადაც მწიფდება წყავის, ყურძნის მტევნების მსგავსს, ნაყოფს მკვიდრნი ჰკრეფენ, სწურავენ და ეგრეთ წოდებულ **"წყავის ღვინოს"** აკეთებენ, რომელსაც ზაფხულში ღვინის მაგიერ შეექცევიან ხოლმე. მე ჯერ არ მქონია შემთხვევა ამ თავისებური **"ღვინის"** დალევისა, ხოლო ვისაც კი დაულევია, ამბობენ – **"არა უშავს-რაო"**.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# გარი ახუბა 80 წლის გახდებოდა



გარი კონსტანტინეს ძე ახუბა დაიბადა 1932 წლის 26 ნოემბერს, აფხაზეთის ულამაზეს ქალაქ ოჩამჩირეში.

მამა – კონსტანტინე ახუბა ცხოვრობდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუში. იგი ახალგაზრდობიდანვე გაემგზავრა მოსკოვში და იქ მუშაობდა მუშა-ახალგაზრდობის ტექნიკური სასწავლებლის დირექტორად. დამსახურებულ პენსიაზე გასვლის შემდეგ ეს ღვაწლმოსილი ადამიანი დაბრუნდა აფხაზეთში და სოფელ ჭლოუს ახლადაშენებული სამსართულიანი საშუალო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე გააგრძელა აღმზრდელობითი მოღვაწეობა.

დედა – ნელი ალექსანდრეს ასული ცხადაძე უაღრესად განათლებული ადამიანი გახლდათ და აღმზრდელად მუშაობდა ქალაქ ოჩამჩირის ერთ-ერთ ბაგა-ბაღში.

გარი ახუბა სწავლობდა ოჩამჩირის №2 რუსულ საშუალო სკოლაში. რვა კლასის დამთავრების შემდეგ გულმა პრაქტიკული სამუშაოსაკენ გაუწია – მუშაობდა ჯერ ზეინკლად, შემდეგ კი, როიცა მანქანის მართვის უფლება აიღო, ოჩამჩირის ავტოსატრანსპორტო დაწესებულების მძღოლი გახდა, პარალელურად კი განათლებას ეუფლებოდა ღამის სკოლაში, რაც თავისთავად მეტყველებს ამ ადამიანის შრომისმოყვარეობასა და განათლებისადმი დაუძლეველ ლტოლვაზე.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ გარი ახუბა საავტომობილო-საგზაო პროფტექნიკურ სასწავლებელში ჩაირიცხა, რომელიც წარმატებით დაამთავრა.

1965 წელს გარიმ ოჯახი დააფუძნა – ცოლად შეირთო სოფელ ფოქვეში დაბადებული და აღზრდილი ქალბატონი ნათელა გინდია, პროფესიით პედაგოგი, რომელმაც ოჯახს ერთადერთი შვილი – დავითი აღუზარდა. გარის ასევე ჰყავდა და – ლიანა, რომელიც ასევე დაოჯახებულია.

სიყმაწვილეში, როგორც ყველა ახალგაზრდას, გარი ახუბასაც ჰქონდა თავისი გატაცება – იგი თავდავიწყებით თამაშობდა ფეხბურთს და ძირითადად მეკარის პოზიცია ეკავა. მას რომ ამ მიმართულებით მეტი ჟინი და ინტერესი გამოეჩინა, საქართველოს ალბათ კიდევ ერთხი ოჩამჩირელი სახელგანთქმული ფეხბურთელი ეყოლებოდა, მაგრამ სპორტი მისთვის მხოლოდ ბავშვური ოცნების საგანი გახლდათ.

გარი ახუბა ბავშვობიდან იყო ძალზე მხიარული და იუმორით აღსავსე ადამიანი, და როგორც ყველა ამ თვისების მქონე ადამიანი, მეგობრებს შორის აშკარად გამოირჩეოდა დიდი ადამიანური სიკეთითა და გულისხმიერებით. გამორიცხული იყო, რომ მისთვის რაიმე შეგეჩივლა და გარი არ დაგხმარებოდა. საკუთარ სატკივარს ივიწყებდა, თუ კი სხვა ვინმეს რაიმე ტკივილი მიადგებოდა და ამიტომაც ჰყავდა უამრავი მეგობარი და გულის თანაზიარი.

გარი ახუბა მალე დააწინაურეს ოჩამჩირის საგზაო პოლიციის განყოფილების უფროსად. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას გარი კატეგორიულად მომთხოვნი და მიუდგომელი იყო საგზაო მოძრაობის დამრღვევთა მიმართ, მისმა სამართლიანობამ და უანგარობამ მას ღირსეული ადგილი დაუმკვიდრა იმ დროისათვის არც მთლად უმწიკვლო სტრუქტურაში, რის გამოც გარი მალე დააწინაურეს და სამუშაოდ აფხაზეთის საგზაო პოლიციის სამმართველოში გადაიყვანეს. ამიტომ გახდა იგი იძულებული, რომ საცხოვრებლად სოხუმში გადასულიყო.

ასაკში რომ შევიდა, უმძიმესმა სატკივარმა იჩინა თავი – ფეხებში სისუსტეს გრძნობდა და ხშირად ავადმყოფობდა. ექიმებმა საბედისწერო დიაგნოზი დაუსვეს – განგრენა!

ოპერაციის გაკეთება შესთავაზეს, რაც კიდურის მოკვეთას ნიშნავდა, მაგრამ უარი განაცხადა. მიზეზად კი ის მოიდო, რომ ჩემს მეგობარს ოთარ ბჟანიასაც განგრენა ჰქონდა, ფეხი მოაჭრეს და მაინც გარდაიცვალა, მე კი არ მინდა, რომ სიკვდილს ხეიბრად შევეგებოო.

ყველაფერი ეს 20 წლის წინათ – 1992 წელს ხდებოდა. მალე აფხაზეთში სამარცხვინო ძმათამკვლელი ომი დაიწყო. გარიმ სოხუმში ვერ მოისვენა და, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ომის გამო გზები ყველგან გადაკეტილი იყო, თავისი ავტორიტეტის წყალობით მაინც ჩააღწია ოჩამჩირეში, სადაც მალე გარდაიცვალა კიდეც. მიუხედავად გააფთრებული ბრძოლებისა, იგი გალელებმა და ოჩამჩირელებმა დაიტირეს და ღირსი პატივიც მიაგეს მის ხსოვნას.

გარი სოფელ ილორში დაკრძალეს, იმ პირობით, რომ სიმშვიდის დასადგურების შემდეგ მას სოფელ ჭლოუში გადაასვენებდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, აღარ ვიცით, იგი გადაასვენებს მშობლიურ სოფელში მდებარე საგვარეულო საძვალეზე, თუ კვლავ ილორის სასაფლაოზე განისვენებს.

უფალმა უნდა უმრავლოს აფხაზეთსა და სრულიად საქართველოს ისეთი კეთილშობილი და ღირსეული შვილები, როგორიც იყო გარი ახუბა.

ნათელში ამყოფოს უფალმა, შენი სული, ძმაო, გარი!

მეგობრების სახელით,

**ჯიჯიკო ბარამია, ზუგდიდი**

## გადადექი!.. გადადექი!... გადადექი!..

(გაგრძელება მე-1 გვერდიდან)

ალბათ ამიტომაც უხდიდა დიდ თანხებს გაწუწკებულ ევროპელ ჩინოვნიკებს, დონალდ ტრამპისთანა თაღლითებს და სხვა ლობისტურ კომპანიებს, რომლებიც, ახლა, ასეთ მსუყე ლუკმას მოკლებული ვაი-ვიშით ხვდებიან საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ ნაციონალების ბოროტი ნებით დანგრეული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ნებისმიერ მცდელობას და მიხეილ სააკაშვილისა და მისი ნაცბანდის ხელისუფლებაში დაბრუნებას მიესწრაფვიან.

ვერ ეღირსებიან!

ჩვენ კი ჯერაც ვერ გაგვიაზრებია, თუ რა ხიფათს შეეყრება საქართველო ამ შეურაცხადის ქცევისაგან!

ვერ გაგვიაზრებია, თუნდაც იმიტომ, ქართველი ერი ჯერ კიდევ ვერ დარწმუნდა მიხეილ სააკიანცის მოღალატეობრივ დამოკიდებულებაში საქართველოსადმი, რაც მას, როგორც უკვე ვთქვით, ამერიკელი სომეხი მილიარდერებისაგან აქვს შეკვეთილი და რასაც გეგმაზომიერად ახორციელებდა წლების განმავლობაში. სწორედ იმიტომ ჩამოაშორა სააკაშვილმა და მისმა ნაცბანდამ ქართველი ერი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, დამშეულ ქართველ ხალხს ბიუჯეტის ხარჯზე უმართავდა კონცერტებს ძვირადღირებული უცხოელი მომღერლების მონაწილეობით, რათა სოციალური ყოფით გაწამებულ ადამიანებს სათანადო რეაგირება არ მოეხდინათ ქვეყანაში მიმდინარე დამღუპველი პროცესებისათვის.

ახლა კი, როცა ნაცბანდამ და მისმა უმწიფარმა დიქტატორმა სამარცხვინოდ წააგეს საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ მისი ნაწილობრივი გაყალბების გზით მაინც **"გააჩალიჩეს"** ხმების ვითომ ორმოცი პროცენტის მოპოვება, სააკაშვილი მათხოვარივით დაიარება ევროპაში და ხმამაღლა აცხადებს, რომ საქართველოში დღეს ორხელისუფლებიანობა სუფევსო! ამგვარი პოლიტიკური აბსურდი კი საქართველოში იმიტომ დამკვიდრდა, რომ ძალაუფლებას დახარბებულმა ნაციონალებმა და სააკიანცმა თავის ჭკუაზე ჭრეს და ჰკერეს ქვეყნის კონსტიტუცია და სწორედ ჭკუის დეფიციტის გამო შეიყვანეს მათ ქვეყანა პოლიტიკურ ჩიხში, საიდან გამოსვლის ერთადერთი გზა გახლავთ სააკაშვილის დაუყოვნებელი გადადგომა!

ხოლო თუ ეს სომეხი ჩარჩი თავისი ნებით არ დატოვებს პრეზიდენტის პოსტს, მაშინ, ქართული საზოგადოება იძულებული გახდება, რომ საზღვარგარეთ გამგზავრებულ სააკიანცს აეროპორტში დახვდეს და არ შემოუშვას იგი საქართველოში!

ამიტომ, ბინძური ძალით მოსულო მიხეილ სააკაშვილო: **გადადექი!.. გადადექი!... გადადექი!..**

**როლანდ ჯალაღანია,**
**საპატიო დოქტორი,**
**გაზეთ "ილორის" მთავარი**
**რედაქტორი**

## ღია წერილი ზუგდიდის რაიონის მოსამართლეს დავით კეკენაძეს!

დიდხანს ვიფიქრე, როგორ მომბრუნებოდა ხელი თქვენი ჩემთვის ესოდენ საზიზღარი სახელისა და გვარის ხსენებისაგან, მაგრამ თქვენს მიერ ჩადენილი უსამართლობის გასიგრძეგანებამ ეს ზიზღი დამაძლევინა და ხელი მოვკიდე კიდევაც კალამს.

თქვენ, როგორც უსამართლობის სამსახურში მდგარმა მოსამართლემ, რომელმაც უსამართლობისადმი ლოიალობით გაუსწარით ისტორიაში ცნობილ ესპანელ ინკვიზიტორ ლოიოლასაც კი, კარგად უნდა გცოდნოდათ, რომ თემიდას, გარდა მახვილისა, ხელთ უპყრია სასწორიც, რომლითაც მისხალ-მისხალ იწონება ცოდო-მადლი. თქვენ კი ჩამოჯექით ერთ პინაზე, რომელსაც **"უსამართლობა"** ჰქვია და აკეთებდით იმას, რასაც გიბრძანებდათ კაცთმოძულე, **"თხისმოყვარული"** პროკურორი როლანდ ახალაია. დიახ, თქვენ ამ არაკაცის ყურმოჭრილი მონა იყავით და სწორედ მისი ბოროტი ნებით გზავნითი ციხეებში უდანაშაულო ადამიანებს (სადაც ერთი ადგილი თქვენთვისაა შენახული).

არა მგონია, არ იცოდეთ, თუ როგორი ტრაგედიები დაატრიალა ქვეყანაში თქვენს მიერ მიღებულმა უსამართლო, დანაშაულებრივმა გადაწყვეტილებებმა – სერგო ჩაჩიბაიას დედა გარდაეცვალა, მამა მძიმედ დაუავადდა, რუბენ კალანდიას დედა შვილზე დარდის გამო გარდაიცვალა, ჩემი მეუღლე მძიმედ დაავადდა, ჩემს პატარა, მამით ობოლ შვილიშვილს ეპილეფსიური სინდრომი განუვითარდა და ამ ყველაფერში უშუალოდ თქვენ მიგიძღვით ბრალი, სწორედ თქვენა ხართ მათი მკვლელი. თქვენ სატანას მიჰყიდეთ სული, მისი გავლენის ქვეშ მოექეცით და დიდი ხნის მანძილზე ცოდვის კალოს ატრიალებთ.

თქვენ არა გაქვთ მოსამართლის მანტიის მხრებზე მოსხმის მორალური და იურიდიული უფლება რადგან თავად ხართ სისხლის სამართლის დამნაშავე. თქვენ სული ჩააბარეთ ლუციფერს, მაგრამ, ამ ქვეყნად სამარადისო არაფერია და თქვენს თავხედურ ბოგინსაც მოეღო ბოლო, ჩადენილ ცოდვებზე პასუხი აუცილებლად მოგეთხოვებათ და ეს ცოდვები სამარადჟამოდ გაჰყვება მოუნელებელ სიმძიმედ თქვენს მომავალს, ჯიშსა და ჯილაგს!

თქვენ შემთხვევით არ გიკავიათ **"ღირსეული ადგილი"** იმ მოსამართლეთა შორის, რომელთაც ხალხმა შავბნელი საქმიანობის გამო **"მკვლელი მოსამართლეები"** უწოდა.

და მიუხედავად ამგვარი ზიზღისა, თქვენ მე მაინც მეცოდებით, რამეთუ ხართ სრული არარაობა, პირწავარდნილი ავაზაკი, სხვისი ყურმოჭრილი მონა, რომელიც მალე წარსდგება სამართლიანი და არა თქვენნაირების მიერ შეკოწიწებული შერჩევითი მართლმსაჯულების წინაშე. ახლა თქვენ ველარ დაგიცავთ ბნელეთის მოციქული-მბრძანებელი როლანდ ახალაია, რადგან მას საკუთარი და თავისი პირწავარდნილი დამნაშავე შვილების ტყავი აქვს გადასარჩენი!

თქვენ, როცა ჩვენზე **"სამართალი"** აღასრულეთ, როლანდ ახალაიას შეკვეთით, მაშინ ქუთაისის საოლქო სასამართლოში **"მოღვაწეობდით"**, და სწორედ ამ შეკვეთის კარგად შესრულების გამო, ავადსახსენებელმა ახალაიამ, როგორც კუდქიცინა მორჩილი ფინია, ზუგდიდში გადაგიყვანათ და თავის ფრთებისქვეშ შეგიყუჟათ, როგორც კრუხმა წიწილა, რათა ახლა სრულიად სამეგრელოზე გაგევრცელებინათ თქვენი **"სამართალი"**. თქვენ და თქვენმა **"ბოსმა"** ახალაიამ არაადამიანურობის აპოგეას ააღწიეთ და მით დაიმსახურეთ სრული არარაობისა და ზნეობრივი სიცარიელის სახელი და დიდება!

ქართველი ერის საბედნიეროდ დამთავრდა თქვენნაირი არაკაცების პარპაში. ჩვენ კი მოიხადეთ თქვენს მიერ უკანონოდ გამოტანილი სასჯელი და მაინც ადამიანებად დავრჩით. თქვენ კი მატიანეს შერჩებით არაადამიანობის, სულიერი და ხორციელი სიბინძურის კლასიკურ ნიმუშად. მე მეცოდებიან პირადად თქვენი შვილები და მათი მომავალი, რამეთუ თქვენს მიერ ჩადენილი ცოდვები კუს ნაბიჯებით, მაგრამ მაინც მოძრაობას და მათ სადმე აუცილებლად წამოეწევათ.

არა მგონია, გაგებული არ გქონდეთ უძველესი ქართული შეგონება: **"პაპის ნაჭამმა ტყემალმა, შვილიშვილს მოსჭრა კბილიო!"**.

ამიტომაც მეცოდებით თქვენ და თქვენი ჯიში და ჯილაგი!

ერთი რჩევა კი მინდა მოგცეთ – თუ რამე ადამიანური შეგრჩათ, საჯაროდ აღიარეთ თქვენს მიერ ქმნილი ბოროტი საქმეები და შენდობა სთხოვეთ ქართველ ხალხს. იქნებ ასე მაინც შეიმსუბუქოთ ხვედრი. და თუ ამ რჩევას ყურად არ იღებთ, ჩვენ დაგეხმარებით, რადგან დადგა დრო, რომ სამართალმა პური სჭამოს! გჯეროდეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია თქვენი ავი საქმეების მხილება!

გეშინოდეთ და ძრწოდეთ, ეს მხოლოდ დასაწყისია!

**თქვენს მიერ 2005 წელს უსამართლოდ**
**დასჯილების სერგო ჩაჩიბაიას, მერაბ ცაავას,**
**ჯანიკო იზორიას, რუბენ კალანდიას სახელით,**
**ამავე უსამართლობის მსხვერპლი**
**როზმირ გოგენია,**
**ქ. ზუგდიდი**

## ყოველი ახალი, დიდი ხნის წინ მივიწყებული ძველი არ უნდა იყოს...

ოცი წელიწადი მიილია იმ ადავსახსენებელი პუტჩის დღიდან, როცა სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების გზით, პოსტსაბჭოთა სივრცეში მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნებით ხელისუფლებაში მოსული ეროვნული ძალები და მისი, ჯერჯერობით ერთადერთი კანონიერად არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ჯერ დაამხეს, შემდეგ კი ქვეყნიდან განდევნეს.

სწორედ იმ დღიდან დაიწყო ქვეყნის რღვევა, რასაც მოჰყვა ეროვნული თვითმყოფადობის დეგრადაცია – ზნეობრივი დაცემა. დაიწყო ტოტალური შეტევა ყოველივე ეროვნულის წინააღმდეგ.

ყველა უბედურება, საქართველოს თავს დაატყდა სწორედ პუტჩის შემდეგ. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის შემდეგ, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით იმართებოდა ათასნაირი შოუ-კონცერტი, იქმნებოდა იმის ილუზია, რომ ქვეყანაში საქმეები კარგად მიდის, სინამდვილეში კი პირსისხლიანი შევარდნაძის კრიმინალური ბანდების – გვარდიისა და **"მხედრიონის"** მიერ ხუთჯერ დაილაშქრა სამეგრელო, თბილისში დახვრიტეს მრავალათასიანი მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეები, რასაც მოჰყვა შევარდნაძე-ელცინის მიერ მართული საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტი. მალე დაიკარგა აფხაზეთი, საიდანაც მივიღეთ 300.000 დევნილი და, რაც მთავარია, დაიკარგა საქართველოს ძირძველი მიწები – აფხაზეთი და **"სამხრეთ-ოსეთად"** წოდებული სამაჩაბლო. შევარდნაძის მსტოვრების მიერ ვერაგულად იქნა მოკლული საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ქვეყნის პატრიოტი ზვიად გამსახურდია.

გამოხდა დრო და პუტჩისტების დიდი ნაწილი ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდა მოსროლილი ქართველი ერის მიერ. სხვები კი დაიფანტნენ და სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებებს შეაფარეს თავი. სიტუაცია ასე იმიტომ განვითარდა, რომ თავის დროზე არ მოხდა მათი ლუსტრაცია. მოგვიანებით გაირკვა, რომ ამ პუტჩის ორგანიზატორი და ხელშემწყობი გახლდათ **აშშ**-ს პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია, რომლის წყალობით პუტჩის ორგანიზატორები შევარდნაძე-სიგუა-კიტოვანი-ყარყარაშვილი დღესაც მშვენივრად გრძნობენ თავს (გარდა ჯოჯოხეთში აღმოჩენილი ჯაბა იოსელიანისა), ჟურნალისტებიც ხშირად დაიარებიან მათთან და ისინიც კვლავ უტიფრად მოძღვრავენ ქართულ საზოგადოებას. ეს კი იმიტომ ხდება, რომ პირწავარდნილი სახელმწიფო დამნაშავე პუტჩისტები არავის გაუსამართლებია და ქართულ მართლმსაჯულებას მათთვის არ გამოუტანია შესაბამისი სასჯელი. არა და, არავის ეპარება ეჭვი, რომ ამ ადამიანის სახედაკარგულმა არსებებმა მძიმე დანაშაული ჩაიდინეს საქართველოს წინაშე. ჩვენ არ მოვითხოვთ მათთვის თვალების დათხრას ან მათ ძელზე გასმას (თუმცა ძველი ქართული სამართლის შესაბამისად ისინი ამას სავსებით იმსახურებენ), როგორც ამას აკეთებდნენ ჩვენი დიდი წინაპარი მეფეები. მაგრამ ამ ადამიანებმა უნდა შეიმეცნონ, რომ მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი ერისა და ქვეყნის წინაშე.

ბოლოს და ბოლოს, როდესმე ყველაფერს ხომ უნდა დაერქვას თავისი სახელი! განა ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე ენერგიულად არ ითხოვს ლამის საუკუნის წინ გარდაცვლილი დამნაშავეების ფილიპე მახარაძისა და სერგო ორჯონიკიძის გასამართლებას?! ჩვენ კი სახეზე გვყავს პირწავარდნილი სახელმწიფო დამნაშავეები და მათი გასამართლება ვერ მოგვიხერხებია!

ჩვენ თუ არ ვაგებინეთ პასუხი ამ არაკაცებს, ჩვენ შვილებსა და შვილიშვილებს მოუწევთ მათი გასამართლება, რაც დადებით პლანში ვერ წარუდგენს მათ ჩვენ თაობას.

ზოგადად კი, ეს იმიტომაა გასაკეთებელი, რომ პუტჩისტები არასოდეს არ იქნან დაშვებული სახელმწიფოს მართვის სადავეებთან!

ვეხმაურები რა ამას წინათ მომხდარ ხმაურიან დაკავებებს, სულაც არ ვაპირებ სააკაშვილისა და მისი ბანდის ადვოკატობას, მაგრამ გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ, უპირველესად, დასაკავებელი არიან შევარდნაძე და მისი ბანდა, რომელთაც აუნაზღაურებელი ზარალი მიაყენეს საქართველოს!

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ უკვე მრავალგზის აპრობირებულ ქართულ თქმას: **"ხის სიმაღლე მისი ფესვებიდან იზომებაო"**.

დღევანდელი დანაშაულის ფესვები სწორედ შევარდნაძის ეპოქაში უნდა ვეძებოთ!

**იგორ უგულავა,**
**ზუგდიდი**

## თუთარჩელა!

თუთა მიკობარჩხალანცუ
სინთე ორე დღაშნერი,
შურიშ ხვარჩალიში მეტი,
ხუმა ვარე შხვანერი.
თუმა გოხილ ტყაშიმაფა,
მარჩხანს ინიხვარჩალუ,
ოჩოკოჩი იტყობანცუ
ფართას მიობაჯგანცუ.
სქერონასუ თხაშ მაგორუ,
ტურა გილეცანცალუ,
ღუ ჟი ჯაშე გიოჯინე,
შურტო ვაბედ ხვარხვალცუ.
ნგერც მუნოხენ ფურ დედიბი,
ჭალეს გილეშვირინგუ.
კოც უბადო ქოლოლასუნ,
თინა უხე ზისხირცუ.
კალმახი ჩქრალუას ობუ,
ეკე ოკო ეკულა.
ქვილითიში დორღვაფა დო
უკოხოლე დორთინა.
როფეშ დუცუ წიკე გეხე,
უმანუანც თოლებსუ,
ჩხომიში ჭოფუა ოკო,
ონაჯინე ლორესუ.
მეწისქვილეს ყებურ პიჯის
ქოდუფინაფ ნაბადი,
კანკალეშა ალარჩქილე
ტყაშმაფაში კარკაცი.
ჯოღორ ხასლას ელუჯანუ,
თხილანც მუში მინჯესო,
მინშა ქემიოლალანცუ,
კინ ქუდოდვანც კისერცუ.
მეტი შურიშ ბუნა ვარე,
ლურც მეუღუ ქიანა,
თუთა ბარჩხალც მითმიოტენცუ,
მალას მოურც გოთანა.

**როზმირ გოგენია,**
**ზუგდიდი**

# აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის ინფორმაცია

## ბიჭვინთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი

*"სული – ღმერთს, გული – სამშობლოს..."*

2012 წელი უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II წმ. აღმსარებელ ამბროსი ხელაიას წლად გამოაცხადა, გასულ წელს ამ დიდი ქართველის დაბადებიდან 150 წლისთავის გამო.

სულიერებისა და კულტურის ცენტრმა მოიწვია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ისტორიკოსი ჯემალ გამახარია, რომელსაც რამდენიმე ნაშრომი აქვს გამოცემული წმიდანის შესახებ, რათა ლექციები ჩაეტარებინა საჯარო სკოლებში სადაც აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები სწავლობენ.

მეცნიერმა ვრცლად ისაუბრა აფხაზეთის მკვიდრის, ილორის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის წინამძღვრის, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წმ. ამბროსი ხელაიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მის მიერ გენუის კონფერენციისადმი გაგზავნილი მემორანდუმის მნიშვნელობაზე მსოფლიოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საქმეში.

– იუბილეს ჩვენ მივუძღვენით საკმაოდ საფუძვლიანი მონოგრაფია, ბრძანა ბატონმა ჯემალმა, – სადაც მისი ცხოვრება და მოღვაწეობა შესწავლილია არა მხოლოდ აფხაზეთში მოღვაწეობის პერიოდში, არამედ მთლიანად, კათოლიკოს-პატრიარქობის პერიოდის ჩათვლით. ამბროსი ხელაია გაიზარდა ილორში, სწავლობდა ოჩამჩირეში, შემდეგ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელში, მარტვილში, შემდეგ 1886 წლამდე – თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

სწავლის გაგრძელება უნდოდა უნივერსიტეტში, მაგრამ ოჯახური პირობების გამო ეს ვერ მოახერხა და შეუდგა სასულიერო მოღვაწეობას. მოღვაწეობდა სოჭში, რომელიც მაშინ სოხუმის ეპარქიაში შემოდიოდა და 1892 წლამდე სოჭის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვარი გახლდათ. მერე სოხუმში მსახურებისას უკვე არა მარტო როგორც სასულიერო, არამედ როგორც სერიოზული ეროვნული მოღვაწე ყალიბდება.

წმ. ამბროსიმ სხვაგან მსახურების გაგრძელების ნაცვლად სასულიერო აკადემიაში სწავლა გადაწყვიტა. დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია. იგი დაინიშნა ჭელიშში, ყველასაგან მიტოვებულ მონასტერში. აყვანილი იქნა არქიმანდრიტის ხარისხში. აქ მან დიდი სამეცნიერო საქმიანობა გაშალა. ჭელიშის მონასტერი რაჭის რეგიონის სულიერების ცენტრად იქცა. აღმოაჩინა **"ქართლის მოქცევის"** ჭელიშური ვარიანტი, აღწერა იგი და მასთან ერთად სხვა მრავალი სიძველე...

ყველა პრობლემა, რომელსაც ამბროსი ხელაია იყო შეჭიდებული, დღესაც აქტუალურია. ეს არის: აფხაზეთის ტერიტორიული და ეკლესიური შემოერთება, იქ არსებული ვითარების შეცვლა, კულტურის ძეგლების დაცვა, ქართული სწავლა-განათლების მდგომარეობის პრობლემები... ლექციებმა პედაგოგებისა და მოსწავლეების დაინტერესება გამოიწვია. ამას ადასტურებს მათი გამოსვლები ლექციების დამთავრების შემდეგ.

**სვეტლანა რურუა, №3 საჯარო სკოლის დირექტორი**: – მინდა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ ასეთი ამომწურავი ინფორმაციის მოწოდებისთვის. იმედია, პედკოლექტივიც და ბავშვებიც უფრო ღრმად გაეცნობიან ამბროსი ხელაიას მოღვაწეობას.

**ია ჯანტურია, სასწავლო ნაწილის გამგე:** – ძალიან მომეწონა ბატონი ჯემალის ლექცია, საინტერესო იყო. კარგი იქნება, რომ ხშირად მობრძანდეთ და ასეთი საგანმანათლებლო ლექციები ჩაგვიტაროთ. დიდი მადლობა.

**თამარ უგრეხელიძე, მელანო ჩაჩუა** (მოსწავლეები): – ამომწურავი ინფორმაცია მივიღეთ წმ. ამბროსი ხელაიაზე. ის იყო ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და რაც მთავარია, იგი იყო ჩვენი კუთხიდან – აფხაზეთიდან. მოხარული ვიქნებით, თუ კიდევ გაიმართება მსგავსი ღონისძიებები. დიდი მადლობა წიგნებისათვის: **"წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია)"**, რომლის ავტორია ჩვენი დღევანდელი ლექტორი და დინარა დარსალიას მიერ შედგენილი კრებულისათვის – **"წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) კომუნისტური მართლმსაჯულების წინაშე"**, აგრეთვე, **სულიერებისა და კულტურის ცენტრის საინფორმაციო ბიულეტენებისათვის"**.

სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარემ სვეტლანა ქეცბამ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები შეკრიბა, რომლებთანაც კარგა ხნის მეგობრობა აკავშირებს. მათთან თანამშრომლობით ჩვენმა ცენტრმა არაერთი ღონისძიება გამართა, რის დასტურადაც საკმარისია გავიხსენოთ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გამართული კონცერტი **"მიეცი ნიჭსა გზა ფართო"** (500-მდე ახალგაზრდის მონაწილეობით) და მერაბ ბერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრ **"მუზაში"** სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი მიძღვნილი დაუვიწყარი საღამო **"მართლმადიდებელი საქართველო"**.

ცენტრის ოფისში შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. ყოველი სტუმარი გამოხატავდა მზადყოფნას კვლავაც ჩაეტარებინათ ერთობლივი ღონისძიებები და გულახდილად უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ ფიქრებს.

**ჟანა დავთიანი, თოჯინების თეატრის ხელმძღვანელი**: – ომის დაწყებამდე გარიმ, ჩემმა მეუღლემ, ერთ დილით გაიღვიძა და თქვა: მძიმე დღეები გველის, სევდიანი, დროა, ხალხს დღესასწაული მოვუწყოთო და მაშინ, როდესაც თბილისში ის-ის იყო სამოქალაქო ომი დამთავრდა, მან გადაწყვიტა შეექმნა თეატრი. და ეს თეატრი იშვა საშინელ, პატარა სარდაფში, რადგან ის სახელოსნო, რომელიც მას მანამდე ჰქონდა, გაქურდეს და ჩვენ გადავსახლდით ღრმა სარდაფში ავლაბარში. აქ შეიქმნა სწორედ გარი დავთიანის თოჯინები, უნიკალური მარიონეტები, რომლებსაც ანალოგი არა ჰყავთ მსოფლიოში — მარიონეტები, რომლებსაც აქვთ მიმიკა.

გარის ბევრჯერ შესთავაზეს ქვეყნიდან გასვლა და როდესაც ეს სევდიანი, ბნელი დღეები დადგა, ძალიან მძიმე მდგომარეობა იყო, მან თქვა: **"მე პასუხისმგებელი ვარ ამ მიწაზე. მე აქ დავიბადე, აქ დაიბადნენ ჩემი წინაპრები და მე ვერ მივატოვებ მას, ვიღაც უნდა დარჩეს აქ. ერთ საინტერესო ამბავს მოგითხრობთ: პრემიერა შედგა 1992 წლის 3 სექტემბერს სომხური თეატრის დიდ დარბაზში. მეორე სპექტაკლიდან მიღებული თანხა უნდა გაგვეგზავნა აფხაზეთში, მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენ ეს თანხა უკვე აფხაზეთიდან დევნილებს გადავეცით, რადგან ეს იყო 1993 წლის 3 ოქტომბერი. საშინელი დღეები იდგა, არ ვიცოდით, გვეთამაშა თუ არა, დავრეკეთ კულტურის სამინისტროში, გვითხრეს, რომ აუცილებლად უნდა ჩაგვეტარებინა სპექტაკლი. ასეც მოვიქეცით. იმ დროს, როდესაც არცერთი თეატრი არ ფუნქციონირებდა, ეს იყო პატარა ნათელი სხივი ყველასათვის – როგორც მონაწილეების, ისე მაყურებლებისთვისაც"**.

**რეზინა იაკობიძე:** – "მთელი 90-იანი წლები ლატვიის საპატიო კონსული ვიყავი. კულტურული ცხოვრება რაღაც საოცარი ფენომენი, სასწაულია, რადგან ქვეყანა, რომელიც თითქმის მკვდარია, ქვეყანა, რომელიც ომშია ჩაბმული, მღერის!

კონსერვატორიაში ტარდებოდა პიანისტთა კონკურსებიც, კონცერტებიც და როდესაც აქ ლატვიელები ჩამოდიოდნენ, უკვირდათ: როგორ, შუქი არ არის და კონსერვატორიაში კონცერტები იმართება, სიმფონიური ორკესტრი უკრავს!

გვაოცებს კულტურის სიცოცხლისუნარიანობა, ვინაიდან მაშინ, როდესაც სხვა ყველაფერი კვდება, როდესაც პოლიტიკა აბსურდის ფორმას იღებს, კულტურა ცოცხლობს და კულტურა გვაძლევს საშუალებას გადავრჩეთ.

საღამო მიჰყავდა სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარეს სვეტლანა ქეცბას. კულტურის მნიშვნელობაზე ადამიანთა ცხოვრებაში საღამოს სხვა მონაწილეებმაც ისაუბრეს – მევიოლინე გალინა ბანდურამ, ალტისტმა ანატოლი დანელიანმა, გერმანული საზოგადოება **"აინუნგის"** ხელმძღვანელმა გარი ავგუსტმა და სხვ. მათ სიხარულით მიიღეს ჩვენი წინადადება, რათა დეკემბერში მოეწყოს ერთობლივი საღამო **"საქართველოს ცის ქვეშ"**, რომელიც მიეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესი ილია II აღსაყდრების 35-ე წლისთავს.

დამსწრენი გაეცნენ აფხაზეთის მკვიდრი ახალგაზრდა მუსიკოსშემსრულებლების – კომპოზიტორ ლალი საბანაძისა და მომღერალ სალომე ჯიქიას ბოლოდროინდელ შემოქმედებით მიღწევებს.

**"როცა სხვა ყველაფერი კვდება, კულტურა ცოცხლობს".** წმ. სამების საკათედრო ლავრაში დაბრძანებულ დიდებულ ხატთან **"საქართველოს იმედი"** მუდამ ხალხმრავლობაა. ტაძრის მრევლთან ერთად თაყვანსაცემად მოდიან არა მარტო დედაქალაქის მკვიდრნი, არამედ ჩამოსული სტუმრებიც.

საოცარი სინატიფით შესრულებული ეს სიწმინდე ყველაში მოწიწებას იწვევს. აქ თითქოს დრო ჩერდება და მხოლოდ ზეციურ მფარველებს ხედავ, მათ ძალას გრძნობ. ხატთან კვირაში ხუთჯერ პარაკლისი იმართება.

**დ. სილაგაძე**

# თბილისის ბაღებიდან 140 მოწამლული ბავშვი ინფექციურში სისხლდენით მიიყვანეს

თავიდან ამ ინფორმაციის მოპოვება იმდენად იყო გართულებული, სანამ ჟურნალისტი უშუალოდ კლინიკის დირექტორს არ გაესაუბრა და მან არ დაგვიდასტურა ეს მართლაც სკანდალური ამბავი, მანამდე ვისთვის მიგვემართა, არ ვიცოდით.

საქმე კი შემდეგშია. ბავშვთა ინფექციურ საავადმყოფოში, რომელიც საბურთალოზე, ხილიანის ქუჩაზე მდებარეობს, ერთ დღეში 140 ბავშვი მიიყვანეს ძლიერი მოწამვლით. ამ მოწამვლებს თან ახლდა სისხლიანი გამონადენი და გონების სპონტანური დაკარგვები. შემდგომ დღეებში მოწამულ ბავშვთა რიცხვი 300-მდე ავიდა და თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბავშვების შემოდინება არ დასრულებულა, სადამდე ავა ეს ციფრი, არავინ იცის.

თითქმის ყველა ბავშვი 6 წლამდეა და ისინი საბავშვო ბაღების კონტინგენტი გახლავთ. ისინი ხილიანზე მდებარე ინფექციურ საავადმყოფოში თბილისის თერთმეტი ბაღიდან მოიყვანეს. რამ გამოიწვია საბავშვო ბაღების ბავშვების მასიური დაწამვლა და რატომ არ გაჟღერებულა ეს ფაქტი აქამდე? 140 ბავშვი ერთდროულად სისხლდენით რომ მოხვდება ბაღიდან პირდაპირ კლინიკაში, როგორ შეიძლება ეს მხოლოდ ახლა გახდეს ცნობილი. სად არის დაავადებათა კონტროლის ცენტრი? სად არის მერიის ჯანდაცვის სამსახური? სანამ ჟურნალისტი ინფექციურ კლინიკას დაუკავშირდებოდა, მანამ მერიის ჯანდაცვის სამსახურში გადარეკა და იქ ნონამ (გვარი ვერ გავიგეთ და ამიტომ აღარც ჩავკითხებივართ), გვითხრა, რომ მსგავს რამეს, კერძოდ, საბავშვო ბაღებში ბავშვების მასიურ დაწამვლას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს, ინფორმაციის გადასამოწმებლად იქაც გადავრეკეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხსენებული უწყება რესტრუქტურიზაციის ფაზაშია და პასუხს ვერავინ გამცემდა.

მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვიტეთ, ვა-ბანკზე წავსულიყავით და კლინიკის დირექტორს დავკავშირებოდით, როგორც მადლიერი მშობელი. სხვანაირად, ამ ინფორმაციის ამოღება უბრალოდ შეუძლებელი იყო. თანაც, არც ტყუილი გამოგვივიდოდა, ვინაიდან ვინც ეს ინფორმაცია მოგვაწოდა, სწორედ ხარაშვილზე გვითხრა, მოწამლული ბავშვები მაგან გადაარჩინაო.

**ვიტალი ხარაშვილი, პროფესორი, ბავშვთა ინფექციური კლინიკის დირექტორი:**

**– ბატონო ვიტალი, ვიცით, რომ ბავშვები მასიური მოწამვლით თქვენთან მოხვდნენ. სიმპტომები ყველას ერთნაირი ჰქონდა?**

– დიახ, მასიური მოდინება იყო. სიმპტომებს რაც შეეხება – ეს არის სიცხე, ღებინება და სისხლიანი განავალი. დიდი აფეთქება იყო.

**– ამბობენ, რომ მოწამლულ ბავშვებს ხანგრძლივი მკურნალობა მოუწიათ. რამდენ ხანს იწვნენ თქვენთან?**

– ერთი კვირა.

**– და რა იყო დიაგნოზი, რისგან მოიწამლნენ?**

– თუ ზუსტად იქნა დასმული დიაგნოზი, ამ შემთხვევაში კი დიაგნოზი ზუსტად იქნა დასმული – ეს იყო კოლის მიკრობი და დიზენტერია. ბავშვებს დასჭირდათ ანტიბიოტიკოთერაპია. ანტიბიოტიკებით მკურნალობა კი შედეგს ყოველთვის იძლევა. თვით ბისეპტოლითაც კი. მაგრამ, ამ შემთხვევაში მარტო დიზენტერია არ იყო, იყო კიდევ კოლის მიკრობი. ეს უფრო რთულად და მძიმედ გადააქვთ ბავშვებს.

**– რამდენი ბავშვი მოხვდა თქვენს კლინიკაში?**

– ასეთი სტატისტიკა ზუსტად არ ვიცი. ჯერჯერობით ზუსტად ვერ გეტყვით, იმიტომ რომ ჩემ გარდა არის კიდევ ორი განყოფილება. დაახლოებით 140 ბავშვია ახლა. ისე 300-მდე იყო სულ. იქ 150 ბავშვი იყო **"გენომოურემიჩესკი სინდრომით"**. ეს დღეს ძალზედ იშვიათად ხდება, მაგრამ არის კიდევ. ახლა ვინც გაეწერა, იმათი მშობლები უნდა გაფრთხილდნენ – უნდა დაიცვან პირველ რიგში ჰიგიენა.

**– რისგან მოიწამლნენ?**

– არ ვიცი... აბა, მე რა ვიცი. რამდენიმე მშობელმა ისიც თქვა, რომ ბაღში არის ჭუჭყიანი ტუალეტი.

**– ბატონო ვიტალი, რა შუაშია აქ ტუალეტი. 140 ბავშვი ერთდროულად შევიდა ტუალეტში და მერე თქვენთან მოხვდა?**

– ეს დაავადება მოდის სიბინძურისგან. სხვა არაფერი ვიცი. ახლა მოხდა ამის აფეთქება.

**– ჩვენ ვიცით, რომ ბავშვები თბილისის ყველა ბაღიდან მოხვდნენ თქვენთან...**

– ალბათ. ბევრნი იყვნენ. ნუ, ხდება ასეთი აფეთქება და ახლა მოხდა. იწვნენ საავადმყოფოში ერთი კვირა, დასჭირდათ მკურნალობა, ახლა კარგად არიან. კანონით ეს უნდა იყოს აღრიცხული სანეპიდსადგურში.

**– აღარ არსებობს დღეს სანეპიდსადგური.**

– არ ვიცი, გენაცვალე. მე ჩემი მოვალეობა შევასრულე. მომიყვანეს – ვუმკურნალე. სხვა რამის გაგება მე არ მევალება.

მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ მასიური დაწამვლა უკავშირდება გაფუჭებული ხორცის ფარშს, რომლითაც მერიის ტენდერში გამარჯვებული კომპანია საბავშვო ბაღებს ამარაგებს. ფარში ჩინეთიდან იყო ჩამოტანილი, ხოლო კომპანიისა და ბაღების სურსათით მომარაგების დოკუმენტაციას ჟურნალისტებს ამ დღეებში მოაწოდებენ და ალბათ, მაშინ აეხდება ფარდა ბავშვების მასიური დაწამვლის ნამდვილ მიზეზს.

**თ. როსტიაშვილი**

# ნაციონალი ჭირი ქამელეონის ტყავში

ბოროტებამ მძლავრი დარტყმა მიიღო, მაგრამ წელმოწყვეტილი მაინც ცდილობს შხამის პარკუჭის ბოლომდე დანთხევას. უკიდურესად შემნდობი ქართველი ერის მოთმინების ჭურჭელი ძირგავარდნილი არ გამოდგა და ნაციონალთა ძალადობის, სიცრუის, სიბრიყვის, მუხთლობის, სიხარბისა და განუკითხაობის პარპაში სერიოზულად დამუხრუჭდა.

ხელისუფლებაში ფსევდორევოლუციის გზით გამძვრალ სააკაშვილის სახით ხალხს ეგონა, რომ ეროვნული გმირობის კანდიდატი მოევლინა შევარდნაძისგან მრავლნაკორტნ ქვეყანას. არადა, მისგანვე აღზევებული მისი განქიქებით იხვეჭდა სიმპატიებს, რამეთუ უკიდურესად გამწარებულ ხალხს სჯეროდა, რომ ჩადენილი ბოროტებისთვის პასუხს აგებინებდნენ.

განგებამ სააკაშვილს შანსი მისცა მოხვედრილიყო ერისთვის თავდადებულ მამულიშვილთა შემადგენლობაში, თაობებს კიდევ – მისით ეამაყათ. ამას კი მსხვერპლის გაღება, ამქვეყნიურ განცხრომაზე უარის თქმა და, საჭიროების შემთხვევაში, თავგანწირვა სჭირდებოდა. მოხდა საშინელება: ხალხს ეროვნული გმირის გამოჩენის იმედი რომ ჰქონდა, ეროვნული ჭირი გამოადგა და ისეთი საშინელი მუხთლობის ქარბორბალა დაატრიალა, რომ მისგანვე ჩასათბურებული შევარდნაძის ავკაცობაც გაახუნა.

მთელი საქართველო ელოდებოდა შევარდნაძის ხალხის სამსჯავროს წინაშე გაშიშვლებას, რათა ეხილა მისი ნიღაბს იქით ჩამალული სატანის რქებით შემოსილი თავი. ამათ კი შექმნეს პრეცენდენტი, რომ მაღალჩინოსანმა პასუხი არ უნდა აგოს და მიქელ-გაბრიელის ბილიკზე შემდგარმა სიცრუით შენელებული ინტერვიუებით კვლავ უნდა წამლოს მისგანვე მოოხრებული ქვეყანა.

მაინც რა ძალიან გვანან ერთმანეთს ბებერი და ახალგაზრდა სიცრუის ნოტზე აწყობილი მუხთლობის ნაშიერნი: შევარდნაძემ ხომ მოიწვია სოხუმში ქართული მოსახლეობა და მტერს საჯიჯგნად შეატოვა, თავად კი თავქუდმოგლეჯით გამომფრთხალმა თბილისქალაქობა იზეიმა. მერე რა, ვანდალების მიერ აოხრებულმა და გაუპატიურებულმა რომაელებმაც ხომ ითხოვეს თავიანთი ღმერთებისათვის მიძღვნილი ზეიმის მოწყობა.

მიშამაც დაიწყო ომი ცხინვალში. მერე შეშინებულმა მოკურცხლა. ქვეყანას ტერიტორიები ქართული სოფლებით დაუკარგა და შევარდნაძის ლტოლვილებს თავისიც მიუმატა. რა დაინახა, საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ზეიმი მოაწყო. ომი რუსებმა წააგეს და მე გავიმარჯვეო – ქვეყანა შეყარა. სამშობლოს მოღალატედ ცხადდებოდა ყველა, ვინ ომის დაწყებაზე სიმართლეს იტყოდა.

ბოლო დროს კი ისეთი სიცრუის მთქნარება შეეყარა, რომ ნაოცნებარი და სიზმარში ნანახი თავისი მომაბეზრებელი სატელევიზიო ტაკიმასხარაობისას სინამდვილედ აუწყა მთელ საქართველოს: ღრუბელ-ღრუბელ როგორ გაეპარა რუსულ ავიაციას, ჩაფრინდა ფოთში და შეკრებილ ხალხს გმირული ოპტიმიზმით გაჯერებული სიტყვები აწვიმა. რუსებმა ეს რომ გაიგეს, ტანკებით და ჯავშნოსანი მანქანებით გამოსწიეს მის შესაპყრობად, მაგრამ ფოთის პოლიციელები გადაეღობნენ. რუსები ეხვეწებოდნენ, გაგვატარეთ, ჩვენ მხოლოდ სააკაშვილის დაჭერა გვინდა. მათ კი არ გაუშვეს, ერის იმედს და სიამაყეს ვერ გაგატანთო. საცოდავი რუსები თურმე ასე კუდამოძუებულები გააბრუნეს უკან.

შევარდნაძემ კარგად იცის ნაცრის ქექვით მიღებული განცხრომის გემო. მანაც ისე შეაშინა რუსები, რომ ნაცარქექიას დევი მასთან მოგონილია. ყოველკვირეულ საგაზეთო ინტერვიუში ამაყად გვამცნო: რუსების ბატალიონი კოდორის ხეობაში რომ შევიდა, მაშინვე იქ გამოცხადდა და მეთაური თავისთან მოიხმო. აბა, თუ დათვლით ამ ხეობაში რამდენი ხე დგასო. ამას რა დათვლისო, მიიღო პასუხი. ჰოდა, ყველა ხის ძირში სნაიპერი მიყენიაო. ისე შეაშინა, როგორც ნაცარქექიამ დევი, ოღონდ სადგისი არ უხმარია. ამგვარად, დამფრთხალმა რუსებმა მეორე დღესვე, თურმე, დატოვეს კოდორის ხეობა. შემდეგში, ალბათ, ზღაპრების წიგნი დაკარგა, თორემ სოხუმსაც არ დათმობდა. მოწინააღმდეგეს პანტის ზარბაზნით შეაშინებდა და ისინიც გაფრთხებოდნენ. რას ვიზამთ, შევარდნაძე სიცრუის კვამლით ცდილობს დაფაროს მისგანვე ქართველი ერის სხეულზე მიყენებული დღემდე შეუხორცებელი ჭრილობები. ნემეზიდა კი ფხიზლად არის და დროს უცდის, რამეთუ იცის, რომ არიან მკვდრები, რომლებიც უნდა გასამართლდნენ.

მოუსვლელეთის გზაზე შემდგარ, ფრთამოტეხილ და გაპუტულ ნაციონალთა ფაფხურიც ჯერ კიდევ გრძელდება. ქართველი ხალხის უნდობლობანაგემნი ჯიბეებში კენჭებს აგროვებენ, რამეთუ ლოდების, ხელკეტების და ცოცხების მოსაქნევად საჭირო კიდურების სიგრძე ისე დაუმოკლდათ, რომ სახეზე აფარებული ნიღბის დასაკემსადაც ვეღარ გამოადგებათ. ამ ფონზე დამცინავ ღიმილს ჩეკავს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ბაქრაძის ესოდენ ბალანაშლილობა: ოპოზიციაში გადავდივარ და **"ქართულ ოცნებას"** დაწვრილებით შევუმოწმებ შესრულებასო. მეორე კაცი იყო იმ ხელისუფლებაში და მეურმის მამალივით ყიოდა მხოლოდ. რატომ ერთხელ არ იკითხა, ასე ხვავრიელად რატომ იფლანგებოდა სახელმწიფო ბიუჯეტი; რატომ ნიავდებოდა უცხოელებზე ქართველთა მიწა-წყალი, რატომ ატერორებდა ხალხს გამჭვირვალე შენობებში შებუდებული გაუმჭვირვალე პოლიცია, რატომ ჯიჯგნიდნენ უდანაშაულო პატიმრებს, რატომ ერთხელ მაინც არ უთხრა სააკაშვილს, ასე აღმა-დაღმა რომ დაარბენინებ ხალხს შენი ყოველდღიური, ფუქსავატი და თავქარიანი პიარყბედობის მოსასმენად, მაგით მხოლოდ სინანულს, დაცინვას და საზოგადოების უნდობლობას იხვეჭო. რა საჭირო იყო ქუთაისში ესოდენ ცოდვით გაპოხილი პარლამენტის მშენებლობაზე ზარმაზარი თანხის განიავება და ასე სასწრაფოდ თბილისში პარლამენტის შენობის აოხრება?! რა მოსთვლის იმ უამრავ ღალატთან წილნაყარ ცოდვებს, რაც მათ ჩაიდინეს ქვეყნის და ერის მიმართ. მომართული მარიონეტივით ერთიდაიგივე პრიორიტეტებზე ლაყბობის ტყვეს ახლა გაახსენდა, რომ შემოწმებითაც შეიძლება პოლიტიკური კრიზისის გამოწვევა, რის შედეგად მათი პრეზიდენტი ექვსი თვის შემდეგ ახალ საპარლამენტო არჩევნებს დანიშნავს; სამოქალაქო დაპირისპირებითაც იმუქრება. როგორ შეგვაშინა! ამ საპარლამენტო არჩევნებზე ძალადობით, გაყალბებით და უამრავი მაქინაციებით შემორჩნენ პარლამენტს, როცა ადამიანთა გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ შოკში იყო – ნაციონალი ასპიდი ძალაუფლებას შეინარჩუნებს და არ დაგვგესლოსო. ახლა, როცა ხალხი მთლიანად გამოფხიზლდა და თავისი ძალა ირწმუნა, როცა წელმოწყვეტილ ასპიდს საკუთარი გესლიანი თავი აქვს გასრესისაგან გადასარჩენი, პარლამენტში უმცირესობის ტრიბუნიდან ჩინჩახვებს ბერავენ ზოგიერთი თევზივით, გვიფრთხილდით, ძალიან დიდები ვართო. არა და, სულ მალე ისე დაიჩუტებიან, რომ ხსოვნას სირცხვილად და სინანულად შემორჩენილთაგან სველი ადგილიც აღარ დარჩება. ამ ცოდვის ბარტყებს რომელი არჩევნების იმედი აქვთ, როცა საკუთარი ოჯახის წევრებსაც კი შერცხვებათ მათთვის ამის მიცემის. როგორც ფაშისტები სვასტიკიანი დროშებით, ესენიც თავიანთი ხუთჯვრიანი დროშებით გადაბარგდებიან მოუსავლეთში. დაავიწყდათ, რომ სოფელი წარმავალია და მოძალადეთა პარპაში უსასრულოდ არასდროს არ გაგრძელებულა. საკუთარი ხალხის ძარცვის ფასად აღვირახსნილი განცხრომა, კრიმინალურ ბანდად ქცეულებს, მათგანვე ნათესი შხამიანი მცენარის ნაყოფისაგან ბალღამის ხვრეპის ჟამი დაუდგათ.

არადა, გასაოგნებელია – ამდენი ნაციონალიდან ერთი არ გამოდგა, საღად რომ ეაზროვნა და მიშასათვის ეთქვა: სახალხო შენობებს ერთ ლარად რომ ჩუქნი, ვისაც მოგეპრიანება იმას, და თუ რამე გეწყინა, უკანვე ართმევ, შენი ბებია-ბაბუის ხომ არ გგონია? ან, პრეზიდენტობა ხალხის სამსახურში ყოფნაა და არა სახალხო ქონების მითვისება-განიავებით გაზულუქებაო.

ის კი, სისულელის ბოდვით თავბრუდახვეული ტაშის დაქუხებას და **"მიშამაგარიას"** ღრიალს მოითხოვდა. ურჩებისათვის გლდანის ციხეში ცოცხზე გასმა გარანტირებული იყო. ახლა კი ნაცისტებს ჩადენილი ცოდვების ამონთხევა მოუწევთ, რათა შიგ ადამიანთა მოდგმის სიფხიზლისაკენ მოწოდებად იფართხალონ. 26 მაისს რაც ამათმა ღვარძლმა და საკუთარი ხალხის სიძულვილმა იკადრა, ანალოგს ვერ მოუძებნი. ჩადენილი, დღემდე უცნობი სისაძაგლეები მათ წარმავალ არსებობას ბინძურ ლაქად შემორჩება.

ახლა ქუთაისის, საქართველოს დაქუცმაცების მათეული აუხდენელი ოცნების პარლამენტიდან აჭყვლიპინდნენ, უმრავლესობა ჩვენი დეპუტატების გადაბირებას ცდილობს შანტაჟისა და დაშინების გზითო. ვინც უდანაშაულო ნაციონალთა დეპუტატებიდან კიდევ არსებობს, იმას გადაბირება რად უნდა, განა ნამუსი ამ დამნაშავე ცოდვისშვილთა შორის გააჩერებს?! სხვა დანარჩენების გადმობირება ვის რაში სჭირდება, როცა ათასგვარი მუხთლობით ისე არიან დაბინძურებულები, რომ ვირის აბანოს გარდა, სხვაგან არ მიიღებენ. ან რომელ გადაბირებაზეა ლაპარაკი, როცა ხალხი ამ ნაცისტთა არსებობას საქართველოში აკრძალვით ემუქრება.

კაცობრიობის საშინელ უბედურებას – ფაშიზმს, ადამიანში ადამიანობას რომ სპობდა და მხეცს ანებივრებდა, მსოფლიოს ფაშისტურ ჯოჯოხეთად გადაქცევისათვის რომ რქენდა, ქართველმა სტალინმა მოამტვრია ის რქები კისრიანად; ათასობით პლაკატებში, ხალხს იმ საშინელი ურჩხულის წინააღმდეგ საბრძოლველად რომ აღაგზნებდა, უპირველესი და უბადლო ქართველი თოიძის პლაკატი იყო **"დედა-სამშობლო გეძახის"**; ქართველმა მეომარმა ქანთარიამ ფაშისტური რაიხსტაგის თავზე ააფრიალა გამარჯვების დროშა. კაცობრიობა არასდროს არ ივიწყებს ფაშისტური ჭირის საშინელებას, პატივით, სიყვარულით და თაყვანისცემით მოსავს ბრძოლაში დაღუპულთა ნათელ ხსოვნას. პატარა ქართველმა ერმა 300 ათასი ღირსეული მამულიშვილის სიცოცხლე გაიღო ფაშიზმის წინააღმდეგ საკაცობრიო ბრძოლაში. მსოფლიოს ძალიან ბევრი მხედართმთავარი, პოლიტიკოსი და მოაზროვნე ახსოვს, მაგრამ ისეთი გენიალური და ბუმბერაზი, როგორიც იყო სტალინი, დღემდე არ გამოჩენილა. ეს გენია პატარა ქართველმა ერმა მისცა მსოფლიოს, რომლითაც, რომელიც გნებავთ დიდი და მძლავრი ერი უსაზღვროდ იამაყებდა. ამ ნაციონალ პარაზიტებს კი ეყოთ თავიანთი მყრალი არსებობის სიბინძურე, რომ მისი ძეგლი თვით გორში მოესპოთ. სამამულო ომში დაღუპულთა უწმინდესი ობელისკი აეფეთქებინათ, დედა-შვილის სისხლიც დაეღვარათ და ამ ცოდვიან ადგილზე საქართველოს დაქცევის და დაშლის სიმბოლოდ პარლამენტის შენობა აეჩორჩხლათ.

როგორ შეიძლება ადამიანი უწოდო ფაშისტური ლაყე კვერცხებიდან გამოჩეკილ პარაზიტებს, რომლებმაც ქართველი ერის სიამაყეს, მსოფლიოში განუმეორებელი გენიოსის – სტალინის ძეგლი დაანგრიეს და ჰოლივუდის ტაკიმასხარა – რეიგანი რიყეზე წამოასკუპეს.

აღარ დასცალდათ, თორემ ჰიტლერის მიერ საქართველოს გენერალ-გუბერნატორად დანიშნულ არნო შიკედანცის ძეგლს დაგვიდგამდნენ, რომელმაც ომის დამთავრებისთანავე თავი მოიკლა, და წამებულ გმირად შემოგვაჩეჩებდნენ.

დაუსჯელობის გრძნობის ტყვეობაში გათავხედებულნი – ქართველი ერის დაკნინება-დაბეჩავებას და გადაგვარებას შეეცადნენ და თავიანთი მუხთლობის კვალი საქართველოს ყველა რეგიონს დაატყვეს.

მათი პრეზიდენტი ხშირად იწონებდა თავს სიღნაღით, რომლის შესასვლელთან მაღალ გორაზე მდგარი ქიზიყელთა სიამაყე – ამირანის ბრწყინვალე ძეგლი დაანგრიეს; იქვე სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის კეთილმოწყობილი შენობა ვიღაცას მიაყიდეს, რომელიც ანგრევდა და ყიდდა, ახლა მხოლოდ ბეტონის ნანგრევები-ღა შეატოვა მზერას; იქვე, ახლოს, ნაძვებით გარშემორტყმული საავადმყოფოს იმხელა შენობა დაანგრიეს, რომ მიშას პიარფაფხურის პროდუქტი ყველა საავადმყოფო ჩაეტეოდა და მისთვისაც დარჩებოდა ადგილი ყვარყვარეს ზღაპრების მოსაყოლად. რაიონული ბილიოთეკის ადგილზე რესტორნის მსგავსი რაღაც გამართეს, ტომარაში ჩაყრილი უზარმაზარი უნიკალური წიგნების ფონდი კი სარდაფს შეატოვეს; ნაცისტური ვნებებით დაეტაკნენ სამამულო ომში დაღუპულთა უნიკალურ, უწმინდეს ობელისკს, დაანგრიეს და ბოროტებით ნასიამოვნებებს სულაც არ უფიქრიათ ხალხის რისხვის ამოფრქვევაზე, რომელიც სწორედ მაშინ დაატყდათ, გაღმა გადამხტარად რომ თვლიდნენ თავს და მხოლოდ **"ჰოპლა"**-ს დაძახებაღა აკლდათ. თუმცა, რა გასაკვირია იმათგან, დავით აღმაშენებლის ძეგლი ქალაქის ცენტრიდან რომ გაასახლეს და მის ადგილზე ველოსიპედის ძეგლით დაიკმაყოფილეს დიდებისკენ დაუოკებელი ლტოლვა, რომლის ფინიში მათ მიერვე გაჭყლეტილი ბოთლების და შლოპანცების ძეგლებით დამშვენებულ სანაგვეზეა.

ქვეყნის აღორძინების გზაზე დაყენების მცდელობისადმი **"ნაციონალური"** ხელშეშლა აშკარაა. ჯერ კიდევ საკმარის ბერკეტებს ფლობენ სასიკეთო ღონისძიებათა დასამუნჯებლად. არც რევანშისტული ბოდვით წარსული განცხრომის ნებივრობის აღდგენის მუქარა არ აკლიათ. მათი ბუმბულშეფერთხილი პრეზიდენტი სასწრაფოდ ნიშნავს ნაციონალთა ბოღმით გატენილ რწმუნებულებს სასიკეთოდ ამობრუნებულ ცხოვრების მექანიზმის თვლებში ჯოხად გასაყრელად.

ჯერ კიდევ მათ ხელშია ქვეყნის მართვის ბევრი სადავე. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის ნაქები მინისტრები ისე დაუკითხავად გაუფრთხნენ თავიანთ თანამდებობებს, როგორც სხვის ბოსტანში გადაპარული კიტრის ქურდები, პატრონის გამოჩენისას. მათი მფარველი, ბუტაფორიად ქცეული პრეზიდენტი ამის გამო უხერხულობასაც კი არ გრძნობს და მანამდე ებღაუჭება თავის სავარძელს, სანამ ძალით არ ააგლეჯენ და უამრავი დანაშაულით შემკობილს გლდანის ციხეში არ გადაუცვლიან პრეზიდენტის ძვირადნაშენ რეზიდენციას. არა და, რაც მასზე ბრალდებები ვრცელდება ტელევიზიით და გაზეთებით, თავმოყვარე კაცი გადადგებოდა და უდანაშაულობას თუ ვერ დაამტკიცებდა, სირცხვილის ლუკმადქცეული, ბერად მაინც შედგებოდა და ლოცვით ეცდებოდა ჩადენილი ცოდვების შემსუბუქებას. ეს კიდევ რევანშზე ფიქრობს და საბოტაჟებს აწყობს. მაშინ პრეზიდენტის არჩევნებამდე კი არა, შეიძლება აღშფოთებულმა ხალხმა **"ქართული მოცნების"** მოწოდებას კანონის დაცვის თაობაზე ყური აღარ ათხოვოს და მუსოლინივით გაუსწორდეს.

ნაციონალთა მიერ გაძარცვულმა, შეურაცხყოფილმა და აბუჩად აგდებულმა ხალხმა ივანიშვილს გამოუცხადა ნდობა და, აქედან გამომდინარე, **"ქართული ოცნების"** წევრ ყველა პარტიასა და ცალკეულ პიროვნებასაც. ახლა მათი მოვალეობაა ქართველი ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა. ნურავინ ეცდება პირადი ეგოისტური ვნებების კარნახით უკუღმართ ბილიკზე შედგომას. ნდობის მოპოვება ხომ ძნელია, დაკარგვა – იოლი. ახლა საჭიროა ნაციონალური ურჩხულის ამოძირკვა. ხალხი მოუთმენლად ელის ქვეყნის და ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებას და დამნაშავეთა დასჯას, რათა ხელისუფლებაში მოკალათებულ ყველა მედროვეს ახსოვდეს, რომ ქვეყნის უბედურების ხარჯზე მოპოვებულ ცხოველურ განცხრომას მძიმე სასჯელი მოჰყვება.

ნაცისტთა გამოსაჩეკი ამინდი შევარდნაძემ შექმნა, რომელიც ქვეყანას ათწლეულების მანძილზე წამლავდა ღალატით, სიცრუით, ეგოიზმით, ყოველგვარი ვერაგობის შხამით.

ერისმოძულეთა დაუნდობლობით ფატრეს საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ქართული კულტურის, მეცნიერების, განათლების, ლიტერატურის, ზნეობის და მორალის, სახალხო მეურნეობის მსოფლიოში აღიარებული მიღწევები და სიწმინდეები. საჯარო სკოლებში სწავლება გონებაშეზღუდული ბავშვების დონეზე დაიყვანეს და მას წარმატებული რეფორმა უწოდეს. ძირფესვიანად ამოაგდეს მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული მეცნიერება და ახლა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები პაპუასების დონეზე გველაპარაკებიან, ის კი არ იციან რომ ამ უძველესი ერის დამწერლობა, კულტურა და საერთოდ არსებობა კაცობრიობის ხსოვნის მიღმა იწყება.

ნურც იმას დაივიწყებენ, რომ საქართველო მაღალგანვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული რესპუბლიკა იყო მძლავრი მეცნიერებით, განათლებით, კულტურული და ეროვნული სიამაყით. დღეს კი დარბეულ-დაჩანაკებულს საუკეთესო ახალგაზრდების ავღანეთში დაღვრილი სისხლის ფასად **ნატო**-ში შესვლა ენატრება, სადაც საქართველოს საბოლოო დაქუცმაცებაა დაკონსერვებული.

რომელ სამხედრო ბლოკს მოუტანია კაცობრიობისათვის სიკეთე, სიმშვიდე და უშფოთველობა?! ვარშავის პაქტი დაიშალა, რაღა უნდათ, როცა მოწინააღმდეგე არავინაა? იუგოსლავიის სკოლების დაბომბვით მიწასთან გასწორებას, ერაყში დაუსრულებელ სისხლისღვრას, ბოლოს კი ავღანეთში ტერორისტებთან ბრძოლის მიზეზით შეჭრის შემდეგ იქიდან გამოსაქცევად მზადებას ნატო რაღად უნდა, როცა აგერ არის გაძვალტყავებული საქართველო, მისი მუხთალი ხელისუფლების მიერ საზარბაზნე ხორცად გარეკილი ერის საუკეთესო ახალგაზრდები და იქიდან ხეიბრად დაბრუნებულების მიმართ ნულოვანი მზრუნველობა. ეტყობა, თავად რასმუსენს უკვირს, ეს საცოდავები ასე თავაწყვეტით რატომ იწევენ ნატოსკენო.

საბჭოთა კავშირი დაიშალა, რუსეთს კი ვერაფერი დაშლის. ნატო კი არა, ფრიდრიხ პირველმა ბარბაროსამ, კარლოს მე-14-მ, ფრიდრიხ მეორემ, ნაპოლეონმა, ჰიტლერმა ძალა რომ იგრძნეს, რუსეთს დაეტაკნენ. შედეგი კი ყველამ ვიცით!

ერთმორწმუნე რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობას თუნდაც ორმხრივი მუხთლობის შხამი ვერ გაახუნებს. ურთიერთნდობის და პატივისცემის ძალით ჩვენ სამშობლოს კვლავ ვიხილავთ ერთიანს, გამძლავრებულს და აყვავებულს.

**გივი სომხიშვილი,**
**მწერალი, დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიის ლაურეატი.**

# კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-197

## ძველი ლაზიკა

*ხელმწიფე უნდა მართალი, ვით*
*ბრძენთა დაუწერია,*
*ბრძენი, უხვი და მოწყალე, მრიცხვე-*
*ლი ზომიერია,*
*სჯულმტკიცედ, სწორედ სიმართლით*
*იყოს და ყვანდეს ერია...*
დავით გურამიშვილი

*შე ლაზურო აფრავ – ჩემო*
*საპერანგე,*
*ლეგენდად თუ ზღაპრად საით*
*დამეკარგე.*
*სიზმარო თუ ზღაპარო, გიცნობ*
*ლაზისტანად,*
*მაგრამ ვიღამ ახაროს ე მაგ*
*ვაზისთანა?!*
შოთა ნიშნიანიძე

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: **„ბაიბურდისა და ფორჩხის სამხრით, ჭანეთის მთის იქით, არს ჭანეთი, და აწ უწოდებენ ლაზსავე. არს ესე შავი ზღვის კიდის წადევნებით, გონიიდან ტრაპზონის სამზღვრამდე."** (ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 689.).

ძველ კოლხეთში მცხოვრებ ერთი და იგივე – მონათესავე ტომიდან ჭან-ლაზებს მთელი ჭოროხის ხეობა ეკავათ ტრაპიზონამდე, ხოლო მანლარ –მეგრელებს (ეგრისელებს) კი – რიონის ხეობა.

ლაზიკას მთავარი ქალაქი არქეოპოლისი (დღევანდელი ნაქალაქევი) იყო, ხოლო ლაზთა ძირითადი თავდაცვით ციხეებს შორის უპირველესი ქალაქი პეტრა (პეტრას ციხე, თანამედროვე ციხისძირი) ყოფილა.

1964 წელს გამოქვეყნდა სარფელი ლაზების მ. ვანილიშისა და ა. თანდილავას ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი **„ლაზეთი"** , რომელშიც მოცემულია საკმაოდ მდიდარი მასალა, წყაროები ლაზეთისა და ლაზების შესახებ. ნარკვევში გამოყენებულია და ძირითადად ეყრდნობიან ისმან-ბეის (რომელმაც ლაზეთში იმგზავრა 1864 წელს) ნაშრომს **„ლაზისტან" („Лазистан"),** ინგლისელი კონსულის ჯ. ჯიფორდ პალგრევის **„ანგარიშის ლაზისტანის სანაპიროს შესახებ" („Отчет о береге Лазистана",** 1872წ.) და გენერალ-ლეიტენანტ გიორგი ყაზბეგის ნაშრომს **„სამი თვე თურქეთის საქართველოში" („Три месяца в Турецкой Грузии").**

ლაზების ენა მცირედ განსხვავდება მეგრულისაგან, – წერს გ. ყაზბეგი, რომ ზუგდიდისა და გალის მეგრულ სიტყვებსა და ლაზურს შორის დიდი მსგავსება არის და თითქმის მთლიანად ემთხვევიან ერთმანეთს.

ლაზი ხასან აღა მურად ოღლი (მურავიშვილი) ეუბნებოდა დიმიტრი ბაქრაძეს, რომ ლაზური ენა წმინდად არის დაცული სოფლებში და იგი მეტად ახლოა მეგრულთან, – ჩვენ ლაზები და მეგრელები ერთ ტომს შევადგენთ და ერთმანეთის ენა კარგად გვესმისო.

ლაზები თავიანთ კუთხეს ორ მხარედ ყოფენ – მთისა და ზღვის მხარედ. მთავარი ქალაქები და დაბებია ხოფა, ვიწე, არქაბი (არჰაკე), ათინა – ზღვისპირად არიან განლაგებული. ზემო ანუ მთის ლაზეთის მთავარი პუნქტებია ჩხალა, დუთხუ, ორჯა და სხვ.

ლაზეთში საკმაოდ ბევრია ძველი ეკლესიები, მაგრამ უმეტესობა დანგრეულია.

ლაზეთის ტერიტორია მდ. ჭოროხიდან ქ. ტრაპიზონის ჩათვლით 1925 წლამდე თურქეთის რუკაზე ლაზისტანად იყო აღნიშნული.

1934 წლის 25 ივნისს თურქეთში მიიღეს კანონი გვარების შესახებ, რომლის მიხედვით გვარები ფორმდებოდა მხოლოდ თურქული სიტყვებისა და სიტყვაწარმოების ბაზაზე. ლაზ-ქართველებს, რომლებსაც თავისი გვარები ჯერ კიდევ ახსოვდათ, მოუხდათ თურქული გვარების მიღება, ზოგმა თარგმნა გვარი და მას **„ოღლუ"** (ძე) დაამატა. ასევე ბევრია ასეთი გვარებიც: ასლანი (ლომი), შაჰინი (შევარდენი), ქართალი (არწივი) და სხვ.

ლაზურ ანუ ქართულ სახელს თითქმის არცერთი ლაზი არ ატარებს, რა თქმა უნდა, გვარებიც გადაკეთებულია (ქურდიანი-ქურდოღლი, მარიამიძე-მარიოღლი, პაპასკირი-პაპაოღლი, მარგიანი-მარგოღლუ).

თურქი ლაზები მებაღეობას, მევენახეობას, მეფუტკრეობას და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ყველა დარგს მისდევენ. ლაზები ღვინის დაყენებაშიც კარგად ყოფილან დახელოვნებული. დაყენებული აქვთ საწნახელები და მიწაში ჩაფლული ქვევრები – შემორჩენილია მრავალ ეკლესიაშიც. მაგრამ გამუსულმანების შემდეგ ლაზებს სასტიკად აუკრძალეს ღვინის სმა. მთავრობის ბრძანებით ლაზისტანის ტყეებში ვაზი გაკაფეს. ესეც არ იკმარეს, მთავრობის განკარგულებით ლაზური ენა აკრძალეს არა მარტო სახელმწიფო-საზოგადოებრივ დაწესებულებებში, არამედ ოჯახშიც. (**გიორგი მახარაძე,** არდავიწყება მოყვრისა, გვ. 92.).

თანდილავა წერს: მე მუდამ ჩემს მიწაზე ვიყავი, მაგრამ თურქები გვაიძულებდნენ მათ ენაზე გვესწავლა. პირველ გაკვეთილზე მოსწავლეებს გვეკითხებოდნენ – ვინ ხარ შენ? – მოსწავლეს უნდა ეპასუხნა: – თურქი ვარ და თურქის შვილი. (იხ. **ა. თანდილავას** წერილი გაზ. **„კომუნისტში",** 1971, 16 დეკემბერი.).

ოსმალეთის ხელისუფლების სტატისტიკური ცნობებით 1810 წელს მთელ ლაზეთში ლაზების რიცხვი 600 ათასზე მეტი ყოფილა (რა თქმა უნდა, ეს რიცხვი მრავალჯერაა შემცირებული), აქედან 400 ათასზე მეტი ლაზი მთელს ქვეყანაში დაუფანტავთ.

როგორც ნოდარ ნაჭყებია მიუთითებს, თურქეთში მოსახლეობის აღწერის ეროვნულობის შესახებ მითითებას ცვლიან სპეციალური ცხრილით, რომელშიც მოცემულია მოსახლეობის დაყოფა დედა-ენისა და მეორე ენის (სალაპარაკო) მიხედვით. როგორც ოთარ გიგინეიშვილი ამბობს, მოსახლეობის აღწერის ამ სისტემასაც ღალატობენ, რომ 1950 წლის აღწერის მასალებში, მეორე სალაპარაკო ენის შესახებ მონაცემები ამოღებული იყო. (**ო.გიგინეიშვილი,** ჩვენებურები, გაზ. **„კომუნისტი",** 1967, 8 მარტი.). შემდგომში ასეთი მონაცემი საერთოდ ამოღებულ იქნა, რადგან თურქეთში მცხოვრები, თურქული კანონებით, ყველა თურქია, თურქულ ენაზე ლაპარაკობს და მუსულმანია.

თურქეთის ისტორიის სპეციალისტი ნოდარ ნაჭყებია წერს: **„სახნავ-სათესი მიწების სიმცირე ლაზებს აიძულებდა გარე სამუშაოზე წასულიყვნენ. წლების განმავლობაში ლაზების გარკვეული ნაწილი სამუშაოს საძებნელად მიეშურება თურქეთის მსხვილ ქალაქებში და ქვეყნის ეკონომიკურად უფრო ძლიერ რაიონებში. ამჟამად მეჩაიეობის განვითარებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ლაზების მიგრაცია." (ნ. ნაჭყებია,** თურქეთი, თბ., 1970, გვ. 36-37.).

ცნობილი ინგლისელი მოგზაურის რობენ ფედენისის მიერ 1984 წელს გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში დახასიათებულია აღმოსავლეთ თურქეთში მცხოვრები ლაზები, რომ ისინი მემკვიდრენი ყოფილან კოლხებისა, რომელთა სახელმწიფოც ბრინჯაოს ხანაში ჰყვაოდა, მათი ენა ნამდვილად უნათესავდება ქართულს (იხ. წიგნში **„არგონავტების ნაკვალევზე"**).

1910 წელს ლაზების განათლებულ-გათვითცნობიერებულთა ერთმა ჯგუფმა დაიწყო ფართო პროპაგანდა, რომ ლაზები ქართველების ნათესავი და ერთი ხალხია და მათი ანბანიც ქართულია, მთელი რიგი მინისტრებისათვის გაუგზავნიათ თხოვნა, ნება დაერთოთ ჩვენს სკოლებში ჩვენი ენა, გურჯული (ქართული) წიგნით ვასწავლოთ ჩვენს ბავშვებსო.

რობენ ფედენისი ხაზგასმით წერს, რომ ლაზებს შესანიშნავი, ულამაზესი გეოგრაფიული გარემო, ულამაზესი ტყეები აქვთ, არიან კარგი ოსტატები, დურგლები, სახლმშენებლები, მეზღვაურები. ლაზისტანის ჰავა და ტყე ისევე განსაცვიფრებელია, როგორც მისი ხალხი, რომელიც თურქებმა დაიმორჩილეს და ისლამი მიაღებინეს.

პროფესორ სერგი მაკალათიას მიაჩნია, რომ ლაზური ფერხული – **„ობირუ"** (სასიმღერო) თითქმის იგივეა, რაც მეგრული **„ოხოხოია",** ლაზურად **„ვახახაია".**

**„ლაზები ბუნებით არისტოკრატები არიან, არავითარ შემთხვევაში ტვირთს არ აიკიდებენ. ისინი განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით გამოირჩევიან. თუ კი პატივისცემისათვის სამაგიეროს შესთავაზებ, შეურაცხყოფილნი რჩებიან. ქალების უმრავლესობა ძალზე ლამაზია..."** (არ დავიწყება მოყვრისა, გვ. 100.).

* * *

მაღალი კოლხური კულტურის (იხ. კოლხური კულტურა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.10, გვ 597-598. ამ მხრივ საინტერესოა ოთარ ლორთქიფანიძის მონოგრაფია – ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, (ლაზეთზე, ლაზიკაზე, ნოქალაქევზე სხვაგანაც გვაქვს საუბარი). თვალსაჩინო დასტურია ძველი ეგრისის (ლაზიკის) უმშვენიერესი დედაქალაქი (აწინდელი ქალაქი), რომელიც მდებარეობს მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე – არქეოპოლისი; დაკავშირებული იყო ელინურ სამყაროსთან, ბერძნულ კულტურასთან.

არქეოლოგები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ არქეოპოლისის ისტორია იწყება არა ძველი წელთაღრიცხვის VIII საუკუნიდან, არამედ ამ თარიღზე დიდი ხნით ადრე. ნოქალაქევში ნაპოვნი ნივთები უთუოდ მიგვანიშნებენ არქეოპოლისში აღმოჩენილი საგნების ადრეულ ასაკზე – ეს ნამუშევრები (ლაპარაკია არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნ ნივთებზე) შესაძლოა უფრო იყოს – ძველი წელთაღრიცხვის XVI-XIII (თუ არა XV-VIV სს) საუკუნეების დროინდელი. არქეოპოლისი ბერძნულად **„ძველ ქალაქს"** ნიშნავს.

ციხე-გოჯი ახალი წელთაღრიცხვით IV-VIII საუკუნეებშიც ეგრისის (ლაზიკა) დედაქალაქი იყო. მისი დედაქალაქამდელი კულტურული ფენები ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის ბოლო მეოთხედზე გადიოდა. არქეოლოგიურმა ძიებამ, რომელსაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. პარმენ ზაქარაია ხელმძღვანელობდა, მრავალმხრივი და მეტად საინტერესო მასალები გამოავლინა, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII-VII საუკუნეებს განეკუთვნებიან.

პროფ. ნოდარ ლომოური წერს: **„IV საუკუნის ბოლოსათვის დასრულდა მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ლაზიკის ანუ ეგრისის სამეფოს ხელქვეით. ამ სამეფოს საზღვარი სამხრეთით მდ. ჭოროხის შესართავის რაიონს უწევდა, ჩრდილოეთით კი მოიცავდა გაგრა-ბიჭვინთის სექტორს, ისე რომ აფსილთა, აბაზგთა და სანიგთა მიწა-წყალი მის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო ამ ტომთა ხელისუფალნი, ისევე როგორც სვანთა მთავარნი და ლეჩხუმის გამგებელნი, ეგრისის მეფეს ემორჩილებოდნენ. ეგრისის სამეფოს საზღვარი აღმოსავლეთით დაახლოებით სკანდასა და შორაპანზე გადიოდა და ეს ორი ციხე-ქალაქიც ეგრისს ეკუთვნოდა."**

ორი ათეული წლის შემდეგ, ეხება რა აღნიშნულ საკითხს, ნ. ლომოური აკეთებს დასკვნას: ეგრისის სამეფოს დამოკიდებულება ბიზანტიაზე V საუკუნეში საკმაოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და ფაქტობრივად მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ლაზიკის მეფის გარდაცვალებისას, მის მემკვიდრეს ტახტზე ბიზანტიის იმპერატორი **„ამტკიცებდა".** ეგრისის მმართველი წრეები არც ამ მდგომარეობას ურიგდებოდნენ და ხელსაყრელ სიტუაციაში ცდილობდნენ მისგან თავის დაღწევას, და, თანაც იყენებდნენ ირან-ბიზანტიას შორის არსებულ წინააღმდეგობას. (**ნოდარ ლომოური,** საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში, თბ., 1998, გვ. 67-75.).

მერი ინაძე კოლხური კულტურის შესახებ წერს: ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და I ათასწლეულის დასაწყისში კოლხური კულტურა განვითარების უმაღლეს სტადიას აღწევს. (**მერი ინაძე,** ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994, გვ. 13.).

XIX საუკუნის 30-იან წლებში ვინმე დადიანი დაინტერესდა ისტორიული სიძველეების გამოვლენით და შეძენით, რომლის კოლექციაში მოხვედრილი ბერძნული და რომაული მონეტების საკმაოდ დიდი განძი და კერამიკული ნაწარმი უკვალოდ დაიკარგა. 1930-იანი წლების დასაწყისში ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებული განძის დიდი ნაწილი ინახება ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებში, ესენია ბიზანტიის იმპერატორ მავრიკ ტიბერიუსის სახელზე მოჭრილი ოქროს მონეტები და დიდძალი კერამიკული მასალა (ნოქალაქევში აღმოჩნდა იმპერატორ მავრიკოსის (მავრიკის – 582-622) სახელით მოჭრილი 23 ოქროს მონეტის განძი. (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.7, გვ. 482.).

1836 წელს საქართველოში იმოგზაურა შვეიცარიელმა მეცნიერმა, სიძველეთა მკვლევარმა და ქართული გეოლოგიის პირველმა მკვლევარმა, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ (1798-1850), რომელიც ჩამოვიდა მარტვილს და ნოქალაქევს (ნაქალაქარს) დადიანების მიწვევით. ნოქალაქევში ნანგრევები ნახა და აღტაცებულმა თქვა: **„ეს ხომ პროკოპი კესარიელის არქეოპოლისია".** შვეიცარიელი სწავლული დარწმუნდა, რომ ნოქალაქევის აღნაგობა ზუსტად ემთხვევა იმ აღწერილობას, რომელიც დატოვა VI საუკუნის ცნობილმა ისტორიკოსმა პროკოპი კესარიელმა. ლაზიკის სამეფოს დედაქალაქს სხვა ბიზანტიელი ისტორიკოსებიც არქეოპოლისს უწოდებენ.

ქრისტეშობის I-IV საუკუნეებში (IVს.) აღმოსავლეთ კოლხეთში შეიქმნა ლაზიკის სამეფო, რომელსაც კვლავ ეროვნულ სახელს ეგრისს უწოდებდნენ. ლაზიკა კოლხეთის მემკვიდრეა, ლაზები კოლხების შთამომავალნი – იგივე კოლხები არიან. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი (VIს.) ამბობს: **„შეუძლებელია, რომ კოლხები იგივე ლაზები არ იყვნენ... კოლხთა სახელი ლაზებით შეიცვალა, როგორც ეს ბევრ სხვა ხალხებშიც მომხდარა."** იმავე პერიოდის ბიზანტიელი მწერალი აგათია წერს: **„ძველად ლაზებს რომ კოლხები ერქვათ და რომ ისინი ნამდვილად კოლხები არიან, ამაში არავინ დაეჭვდება, ვინც კი გაეცნობა ფაზისის, კავკასიის და გარშემომდებარე ქვეყნების მოსახლეობას"** და, როგორც აღვნიშნეთ, აგათია სკოლასტიკოსი ამბობს: კოლხები ძლიერი და მამაცი ხალხია, რომელიც ბატონობს სხვა ძლიერ ხალხებზე. ისინი ძალიან ამაყობენ კოლხთა ძველი დიდებით და, ალბათ, არც ისე უსაფუძვლოდ.

ბიზანტიელები ტრაპეზუნტს **„ლაზიკის ქალაქ ტრაპეზუნტს"** უწოდებდნენ, მშობლიურ ენაზე კი **„მეგრელთა ქვეყნის ქალაქი ტრაპეზუნტი".** ტრაპეზუნტის იმპერიის (1024-1461) ხელმწიფეს ბიზანტიაში – კონსტანტინეპოლში უწოდებდნენ **„ლაზთა მბრძანებლებს".** ამ ხალხებს ხან ლაზებს, ხან კოლხებს უწოდებდნენ.

**კლიმენტი შელია,**
**პროფესორი, მეცნიერების**
**დამსახურებული მოღვაწე.**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# ილია მეორე: „ჩვენ მტკვრის ნაპირზე უნდა გვქონდეს ასი ათასი მოწამის ტაძარი“



**“უფლის წყალობა დიდია და აურაცხელი. ადამიანი მიდის ღვთისაგან და უფალი მოდის მაინც ჩვენთან. უფალი წყალობს ადამიანს, იმიტომ, რომ ხატია ღვთისა“,** – ბრძანა პატრიარქმა საკვირაო ქადაგებისას.

მან მრევლს შეახსენა წერილობითი დავალება თემაზე **„ღმერთი სამშობლო და ადამიანი“** და აღნიშნა, რომ ეს არის ქვაკუთხედი ჩვენი ცხოვრებისა. ეს არის ის, რასაც უნდა დაეყრდნოს ყოველი ადამიანი, ყოველი სახელმწიფო და მთელი მსოფლიო.

როგორც პატრიარქმა ბრძანა, ჩვენ ოდითგანვე მორწმუნეები ვართ, მაგრამ იყო ტრაგიკული დღეები და წლები, როცა ადამიანი თავისი ხელით ანგრევდა ტაძრებსა და მონასტრებს. დღეს არის დრო, როცა ვაშენებთ. **„უპირველეს ყოვლისა, უნდა ავაშენოთ სულიერი ტაძარი ჩვენს გულში“.**

სამების ტაძართან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ **„ეს არის კარიბჭე სასუფეველისა და შემთხვევით არ არის, რომ წმიდა სამების სახელზეა აგებული. ვმადლობთ უფალს. ჩვენი სარწმუნოება გამოვლინდა ამ ტაძრის მშენებლობაში“.** ასევე უწმინდესია სამშობლო – **„ეს არის ჩვენი სული და ხორცი, ჩვენი წარსული და მომავალი. ეს არის უდიდესი სიწმინდე“.**

**„ჩვენი მიწა მორწყულია მოწამეების სისხლით. მთელი მტკვრის ნაპირი, სადაც რაღაც უცნაური ქანდაკებებია თუ რაღაც მშენებლობა, სულ წმინდანების სისხლითაა მორწყული და ჩვენ ამ ადგილზე უნდა გვქონდეს ტაძარი „ასიათასი მოწამის“,** – ბრძანა პატრიარქმა.

პატრიარქმა მრევლს შეახსენა, რომ 13 ნოემბერს, სამშაბათს, ასი ათასი მოწამის ხსენების დღეს, ტაძარში აღვლენილი იქნა წირვა, რომელიც შეასრულა მღვდელმთავარმა და საღამოს 3 საათზე დაიწყო ხალხის მსვლელობა ტაძრებიდან. 5 საათზე მეტეხის ხიდზე პარაკლისი თავად საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II შეასრულა.

**„მსოფლიოში არ არის არცერთი ქვეყანა, არცერთი ეკლესია, რომ ჰყავდეს ამდენი მოწამე და ამდენი წმიდანი. ეს არის უდიდესი წყალობა ღვთისა“,** – ბრძანა მაშინ პატრიარქმა.

ამასთან, ილია მეორემ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ადამიანი ღვთის უძვირფასესი ქმნილებაა და თითოეულს უნდა გავუფრთხილდეთ. **„ჩვენ არ გვაქვს უფლება, შეურაცხყოფა მივაყენოთ ადამიანს. ადამიანი – ეს გვირგვინია ქმნილებისა“,** – აღნიშნა პატრიარქმა და დასძინა, რომ უნდა ვიტვირთოთ სიმძიმე სხვათა, მოვიკითხოთ გაჭირვებული ხალხი, რითაც აღვასრულებთ ჩვენ სჯულსა ქრისტესას, უნდა ვიჩქაროთ კეთილი საქმის კეთებაში.

# ბოლო მოუღოთ უმადურობას, ვიქცეთ საქართველოს ღირსეულ მოქალაქეებად!

*“ჩვენ ისეთ მოქმედებებს ვკიცხავთ სხვისას,*
*რომელიც ჩვენთვის უსარგებლოა”*
ფილიპე დესტუშე

ასრულდა ათეული წლების ოცნება – საქართველოში ჩატარდა ცივილიზებული წესით დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები და მთავრობა შეიცვალა კონსტიტუციის გზით. საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტმა ხმა მისცა **“ქართულ ოცნებას”** და მის ლიდერს ბატ. ბიძინა ივანიშვილს. მისმა უდიდესმა ავტორიტეტმა და ლოგიკურად გამართლებულმა დაპირებებმა დაარწმუნა ამომრჩეველი ახალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, რომელიც არც თუ ადვილი საქმე იყო ათასგზით მოტყუებული ქართველი ამომრჩევლისათვის. მაგრამ, ბატ. ბიძინა ივანიშვილმა მწყობრი და გამარჯვების პროგრამაზე გათვლილი საარჩევნო გამოსვლებით, რომელსაც ახლდა ორატორული ხელოვნების საკმარისი ხერხი, დაარწმუნა ამომრჩეველი ახალი საქართველოს მშენებლობაში, რამაც განაპირობა საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვანი გადაწყვეტილება; – ხმა მიეცათ **“ქართული ოცნებისათვის”**, ასეც მოხდა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა **“ქართულ ოცნებას”** რითაც სახელმწიფოს მართვის მანდატი ჩამოართვა **“ნაციონალურ მოძრაობას”** და გადასცა **“ქართულ ოცნებას”.** ამით დამთავრდა **“ნაციონალური მოძრაობის”** პარპაში საქართველოში.

ჩემო გამარჯვებულო ხალხო! გამარჯვება ერთია, ხოლო მეორე არის მისი შენარჩუნება, მოვლა და პატრონობა; მით უმეტეს მაშინ როცა გვერდზე გყავს ჩასაფრებული რევანშის სურვილით გამსჭვალული გაბოროტებული **“ნაციონალური მოძრაობა”** და ზოგიერთი პიროვნება, რომელიც ჯერაც ვერ გარკვეულა თავის პოზიციაში.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ კარგად იცის და გაცნობიერებული აქვს, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობა ბატ. ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით, საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე პრობლემებით არის დაკავებული და კანონის მთელი უზენაესობით იმართება. აქედან გამომდინარე, რაც დღეს ხდება ქალაქ თბილისში, ყოველგვარ დემოკრატიულ პრინციპებს სცილდება და გარედან მართულ დღევანდელ მთავრობის საწინააღმდეგო ქმედებას უფრო გავს, რომელიც **“ნაციონალური მოძრაობის”** და მისი ლიდერის, რეაქციონერ მიხეილ სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს. თუ ეს ასე არ არის, რას უნდა ემსახურებოდეს ავტობუსის მძღოლების ასე ერთსულოვანი გაფიცვა, რის გამოც უამრავი პროლემები შეექმნა ისედაც ცხოვრების მძიმე პირობების მქონე ქალაქის მოსახლეობას. მთელი ქალაქი პარალიზებულია. ამას გაფიცვა არ ქვია: – ეს არის ბოროტება და დანაშაული საკუთარი ხალხის წინაშე. კაცი რომელიც მუშაობს, ხელფასს ღებულობს და მის გაორმაგებას მოითხოვს და არ ფიქრობს იმაზე, რომ მის მეზობელს არც სამუშაო აქვს და არც პურის ფული და არც პური აქვს სახლში. რა პრეტენზიები გაუჩნდათ მაშინ, როცა მთავრობა ჩამოყალიბების პროცესშია და კაბინეტებშიც ახლახან შევიდნენ. კ,ი ბატონებო, თქვენ ხელფასების გაორმაგებას ითხოვთ! ესე იგი სამუშაო გაქვთ! მაშინ რა ქნას იმ მოქალქეებმა რომლებსაც არც სამუშაო არ აქვთ და ჯიბეში არც ავტობუსის სამგზავრო ფული? დაუკვირდით თქვენს საქციელს – რამდენად ქრისტიანულია იგი.

თბილისმა დიდი თანადგომა გაუწია იძულებით გადაადგილებულ პირებს, როგორც აფხაზეთიდან ისე, სამაჩაბლოდან. დღეს როდესაც ქართველებმა ერთსულოვანი ბრძოლის შედეგად სულ რამდენიმე კვირაა ახალი ცხოვრება დაიწყო, ლტოლვილების დღევანდელი საქციელი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ, ეხლა ძალადობის გზით შენობების კარებების შემტვრევა და ფართობის დაკავება დასჯადია და მთავრობამ მათ გამოსახლების, უფრო სწორად – გამოყვანის (გამოსახლება ხდება სახელმწიფოს მიერ ჩასახლებული ხალხის) გადაწყვეტილება რომ მიიღოს, მოსახლეობა მთავრობის მხარეს დადგება. ლტოლვილების მიმართ ბატონმა ბიძინამ თქვა: **“მთავრობა თქვენ ყველაზე მეტად დაგეხმარებათ და იზრუნებს თქვენზე”.** ამ სიტყვებს გაფრთხილება უნდა. მთავრობას უნდა აცალოთ ცივილიზებული წესით, კანონის დაცვით გადაწყვიტოს ლტოლვილების პრებლემა. ეს იქნება კანონიერი და არა ის, სადაც თავისუფალ შენობებს დაინახავთ, მისი კარებების ამტვრიოთ.

საინფორმაციო ორგანოების ცნობით ქვეყანაში ფასების საგრძნობლად დაკლება მიმდინარეობს, მაგრამ ინფორმაცია ერთია, სინამდვილე კი – მეორე. სავაჭრო ორგანიზაციებმა პირველი ოქტომბრიდან მუშაობა პურის ფასის მომატებით დაიწყეს – ზოგმა 5 თეთრით გაზარდა, ზოგმა 10 თეთრით. მათ მხარი აუბეს და **“სულგრძელობა”** გამოიჩინეს უნივერსალურმა, მარკეტინგებმა და მაღაზიებმა. მათ პირველი ოქტომბრის შემდეგ გაახსენდათ, რომ ზოგიერთ პროდუქტებს **“იაფად”** ყიდიან და სასწრაფოდ ფასები ასწიეს. მაგალითად, ახმეტელის მეტროსთან არსებულ ბაზრის ტერიტორიაზე არის უნვერსალური მარკეტინგი სადაც მომხმარებელს შეუძლია შეიძინოს ყველა პროდუქტი, რაც მას ესაჭიროება. ამის გამო, აქ, დღის მთელ მონაკვეთში საკმაო ხალხმრავლობაა მარკეტინგში პირველ ოქტომბრამდე 1 ცალი გერმანული წიწილა ღირდა 4 ლარი და 50 თეთრი, პირველი ოქტომბრის შემდეგ – დღემდე იყიდება 5 ლარად. გააძვირეს 50 თეთრით. ისეთი მოხმარების პროდუქტი როგორიც არის ლობიო, რომელსაც ყველა ოჯახი ხმარობს, პირველ ოქტომბრამდე ღირდა 2 ლარი და 80 თეთრი და 3 ლარი (ყოველთვის ორი და სამი დასახელების ლობიო იყიდება) პირველი ოქტომბრის შემდეგ ყველა სახის ლობიო გახდა 3 ლარი და 50 თეთრი. აქაც 50 თეთრით გაძვირდა. უამრავ პროდუქტს 5 და 10 თეთრი აქვს მომატებული. რა არის ეს საბოტაჟი თუ უნებლიე **“შეცდომა”** და მისი **“გამოსწორება”**? სამწუხაროდ, თუ დღევანდელი სიტუაციის ანალიზს გავაკეთებთ, ყველაფერი მიმართულია მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც მიმართავენ **“ნაციონალური ორგანიზაციის”** ნარჩენები.

ავტობუსის მძღოლების მიერ მილიონ ნახევარიანი ქალაქის ამდენი ხნით პარალიზება, სხვადასხვა პროდუქტზე ფასების მატება მომხმარებლის უკმაყოფილებას იწვევს და მათ ჯიბეებს ურტყამს. ეს მიანიშებს იმას, რომ ჯერ კიდევ არიან გაბოროტებული და უპრინციპო ადამიანები რომლებიც ვერ აცნობიერებენ, რას ჩადიან. მათ უნდა შეიგნონ, რომ უკანონოდ ნაშოვნ ფულს მოკლე გზა აქვს რომელსაც მალე დაესმება წერტილი დღევანდელი მთავრობის ძალისხმევით.

ვაჭრობა რთული სფეროა, თუ მას გონივრულად მართავ – მოიგებ, თუ არადა წააგებ; სულ მოგების გზით იარეთ, ვაჭრებო, მაგრამ პატიოსნად და მომხმარებლის მდგომარეობის გათვალისწინებით. ფასების ყოველგვარი მატება ძალიან მძიმედ აისახება ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფ საზოგადოებაზე. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია საჩქაროდ შეიქმნას ერთ დროს ბენდუქიძის მიერ მზაკვრული წესით გაუქმებული ანტიმონოპოლიურ სამსახური, რომლის არსებობა ხელს უშლიდა სააკაშვილის და ბენდუქიძის ხროვას ფულის კეთებაში. აღნიშული ორგანო კონტროლს გაუწევს ბიზნესსა და სავაჭრო ორგანიზაციებს. საგაზეთო წერილის ფორმატი რომ გვაძლევდეს საშუალებას, უამრავ საკითხზე შეიძლება საუბარი, მაგრამ ერთი რამ უნდა შევნიშნო: – 2012 წლის პირველი ოქტომბრის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა თბილისის მერის სამსახურების დამოკიდებულება მოსახლეობისადმი. თუ ადრე გამოძახებაზე მყოფი სამახურები გამოძახებისთანავე ცხადდებოდნენ შემთხვევის ადგილზე, დღეს ან ტელეფონზე არ გპასუხობენ, ან თუ გპასუხობენ უპასუხისმგებლოდ. მაგალითად, 7 ნოემბერს, თემქის დასახლება მე-11 მიკრორაიონის მე-3 კვარტლის 53 კოსპურში, დაზიანდა სასმელი წყლის ცენტრალური მილი, რის გამოც სარდაფები აივსო წყლით.

მოსახლეობამ თბილწყალ-კანალის ცხელ ხაზზე (93111) დარეკა და შეატყობინა დაზიანების შესახებ. სამი დღის (7,8,9) განმავლობაში მოსახლეობა გამუდმებით ატყობინებდა აღნიშნულ ოგანიზაციას, საიდანაც იყო პასუხი – გადავცემთ და შევატყობინებთო. უარი განაცხადეს გლდანი-ნაძალადევის რაიონის წყალკანალის სამსახურის ტელეფონის ნომრის მოცემაზე. მოსახლეობას საკუთარი ძალებით მოუხდა დაზიანების შეკეთება. დაზარალდა მოსახლეობა, წყალმა დააზიანა სარდაფებში არსებული ნივთები და პროდუქტი. მთავრობამ უნდა შეძლოს ასეთი უპასუხისმგებლო მოქმედების აღკვეთა, რადგან დღეისათვის ადვილი მოსალოდნელია ამან მიიღოს მასიური სახე, რაც ხელს აძლევს ქალაქის მერს გიგი უგულავას და მის ხროვას.

როგორი მტკივნეულიც არ უნდა იყოს, უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის გაუთვალისწინებელმა გადაწყვეტილებამ ბზარი შეიტანა საზოგადოებაში. საქმე ეხება სახალხო დამცველის კანდიდატურას. საზოგადოების უმრავლესობამ სახალხო დამცველის პოსტზე წამოაყენა რამდენიმე გამოცდილი უფლებადამცველის კანდიდატურა, ესენი არიან ცნობილი იურისტები: ბატ. გელა ნიკოლაიშვილი, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ქალბატონი ლია მუხაშავრია. აღნიშული პიროვნებები ქართველი საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილები არიან თავიანთი ცოდნით და საქმის სიყვარულით. ყველა კანდიდატურა აქედან მისაღები იყო საქართველოს საზოგადოებისათვის. საარჩევნო დაპირებებში, როგორც ლიდერი ბატ. ბიძინა ივანიშვილი, ისე დეპუტატობის კანდიდატები მოსახლეობას ჰპირდებოდნენ, რომ მათი აზრი ყოველთვის პირველ რიგში იქნებოდა გათვალისწინებული. ეს შეთანხმება და დაპირება დაირღვა რა კრიტერიუმით ისარგებლა საპარლამენტო უმრავლესობამ გაურკვეველია. საზოგადოება ღელავს. წამოვიდა კრიტიკის ქარიშხალი ტელეეკრანებიდან, არც თუ უსაფუძვლოდ, რადგან უარყოფილი იქნა არჩევნების წინ გაცემული დაპირებები.

სახალხო დამცველი ემსახურება ხალხს და არა მთავრობას. დღევანდელმა კანდდატმა ნინო ხატისკაცმა თავის კანდიდატურა მოხსნა გურჩიანის სასარგებლოდ. რას ნიშნავს ეს? პარლამენტის უმრავლესობამ ისევ **“გააცოცხლა”** ნინო ხატისკაცის კანდიდატურა. ასეთ თამაშს თავი უნდა დავანებოთ. უმრავლესობამ ბოდიში მოუხადოს ქართულ საზოგადოებას, დაუფიქრებელი გადაწყვეტილებისათვის და მიიღოს ისეთ გადაწყვეტილება რომლითაც გათვალისწინებული იქნება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნა. პარლამენტს ნუ შეეშინდება შეცდომების აღიარების და წამოაყენოს სამი კადიდატურიდან ერთი, რომელიც პარლამენტისა და საზოგადოებისთვის მისაღები იქნება. თუ ამის ძალა არ ეყოფათ საპარლამენტო უმრავლესობა კეთილ საქმეებს ვერ გააკეთებენ.

ყველას გასაგონად მინდა ვთქვა **“დემოკრატია”** ხალხის მმართველობაა. ხალხი ირჩევს პარლამენტს, პარლამენტი მთავრობას ხოლო მთავრობა ხალხზე დაყრდნობით მართავს ქვეყანას; – ეს აქსიომაა, მაგრამ ეს არ აძლევს უფლებას არც ხალხს, დ არც მთავრობას, მათი ქმედებებით შელახოს სახელმწიფოს მიერ ხალხის უფლებები და ხალხის მიერ სახელმწიფო უფლებები. ხალხმაც და მთავრობამაც ჰარმონიულად უნდა მართონ სახელმწიფო რომელიც მიახლოებული იქნება **“დემოკრატიულ”** პრინციპებთან. აქ მოვიშველიებ ფრანგი ფილოსოფოსის და მწერლის ჟან-ჟაკ-რუსოს სიტყვებს: **“თუ განვიხილავთ ტერმინს “დემოკრატიას თავისი ზუსტი მნიშვნელობით უნდა ითქვას, ნამდვილი დემოკრატიული მმართველობა არასოდეს არ ყოფილა და ალბათ მომავალშიც არ იქნება”.**

**ლეონტი ბიწაძე,**
**ინჟინერ-ეკონომისტი**

# უკვდავებაა სიკვდილში...

ამ სათაურით დასტამბა მხატვარ რეზო ადამიას ავტორობით შექმნილი წიგნი საგამომცემლო სახლმა "ინოვაცია", რომლის დირექტორი გახლავთ ბატონი ზაურ ნაჭყებია. ალბათ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ცნობილ ქართველი პესიმისტი პოეტის ტერენტი გრანელის უკვდავ მარჯვენას, გარდა სულის ამფორიაქებელი განუმეორებელი ლექსებისა, ეკუთვნის ათასამდე გრაფიკული შედევრიც, რომელსაც აღნიშნულ წიგნში თავი მოუყარა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა რეზო ადამიამ. მაგრამ, სრული პორტრეტის შესაქმნელად მიზანშეწონილად მიგვაჩია მკითხველს გავაცნოთ აღნიშნული წიგნის წინასიტყვაობა, რომლის ავტორია შესანიშნავი ქართველი მწერალი და კრიტიკოსი, ნოველისტი რევაზ მიშველაძე.

## ტერენტის ახალი სიცოცხლე

"გასული საუკუნის ოცდაათიანი წლები.

სურამის სულით დავრდომილთა საავადმყოფო.

ზოგნი დიდი ცაცხვის ძირში წრეზე დამსხდარნი ბაასობენ, მათი ჯანმრთელობის შესაფერისი ბაასით: ხან შეჰყვირებენ ჟინიანი შეყვირებით, ხან გადაიხარხარებენ უსაგნო ხარხარით, ხან ხმის ჩახლეჩამდე უმტკიცებენ ერთმანეთს იმას, რის მტკიცებასაც სხვა დროს და ვითარებაში არ მოჰყვებოდნენ.

ზოგნი თავიანთ არსებაში ჩაძირულან, ანგარიშმიუცემლად დააბიჯებენ ცაცხვიდან საგიჟის ჭიშკრამდე. ჩურჩულებენ თავისთავთან, თავისთვის, ხან ხელებს შლიან, ხან ჩერდებიან და შიშით მიმოიხედავენ, თითქოს იდუმალ მოწმეს ეძებენ საკუთარ კამათში რომ ჩაიზიარონ.

ტერენტი გრანელი კი დღეს ეზოში არ ჩამოსულა.

მინაჩამსხვრეულ ფანჯარასთან რკინის მაგიდას მარცხენა ხელით ჩაჭიდებული უჯრედებიანი რვეულის ნაგლეჯზე გატაცებით ხატავს.

ტერენტის "გატაცება" ექიმებმა კარგად იციან.

იგი ან ხატავს, ან ლექსებს წერს.

და ამ ნახევრად საპატიმროდ ქცეულ საავადმყოფოში, ტერენტის ნახატიც და ლექსიც "მკურნალთ" ოდენ მისი "დარღვეული სულიერი წონასწორობის უკუფენად" მიაჩნიათ.

არა და, არ არის ასე.

ტერენტის სურამი დიაღაც რომ მიუსაჯეს.

მიუსაჯეს მისი თავისუფალი აზროვნების, ეროვნული შტუდიების და ამ სტრიქონების გამოც: "და საქართველო დღეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია".

მზე რომ შუბისტარზე გადაიხრება, ტერენტისთან ოთხკუთხედი სახის ჯანმაგარი, თეთრხალათიანი მამაკაცი მიდის და ნახატზე ხელს დაუფარებს.

— გეყოფა დღეს, ტერენტი, მომეცი რაც დახატე.

ტერენტი რვეულიდან ნახატს ამოხევს და ექიმს გულდაწყვეტით აწვდის.

— არ დაგეკარგოს, თუ ძმა ხარ.

ექიმი არ დაკარგავს უცნაური ავადმყოფის ნახატებს, პირიქით, მეორე მხარეს ავადმყოფის სახელს, დიაგნოზს და თარიღს აწერს, თავის გვარსაც "უკვდავყოფს". ნახატს პაციენტის პირად საქმეში დებს და ვალმოხდილი აუყვება კიბეებს.

ასე გროვდება ტერენტი გრანელის ათასამდე გრაფიკული შედევრი.

ტერენტი გრანელის ეპოქის მსოფლიო კი ძალიან დიდია. იმდენად ვრცელი, რომ საქართველომდე თითქმის ვერ აღწევს პარიზში მონმარტის კაფეებში მსხდომი გენიოსები როგორ ახდენენ რევოლუციას მსოფლიო გრაფიკაში.

აბსტრაქციონიზმს ერთი განსაცვიფრებელი თვისება აქვს; მიმბაძველობას ადვილად ექვემდებარება და მერე თავსამტვრევად ექცევათ ესთეტიკოსებს: ვინაა პირველდამწყები, პირველი ხნულის გამვლები. ზოგჯერ ასეც ხდება, რომ ეპიგონური სჯაბნის დედანს.

ტერენტი გრანელს არ უნახავს მისი დროის პარალელურად შექმნილი პიკასოს, მალევიჩის, მიროს, კლეეს, ლეჟეს, კანდინსკის, ერნსტის შედევრები.

არ უნახავს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იგი იმ დროს სურამში "მკურნალობდა".

და, აი, ჩემს თვალწინ მოხდა საოცრება.

ფერწერის დიდოსტატმა რეზო ადამიამ ნახა ტერენტი გრანელის ნახატები და ღრმა ფიქრის, ანალიზის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ტერენტი ავანგარდისტი, კუბისტი, აბსტრაქციონისტი ევროპელი ძმების ღირსეული ძმა და მათი სულიერი თანამოდარდეა.

ხომ არ არის ეპიგონობის კვალი?

არამც და არამც. პირიქით, ზოგ რამეში, ტერენტი მათი წინამორბედიც კია, ბრძანებს ბატონი რეზო.

რეზო ადამიას აქამდე ვიცნობდი, როგორც ტერენტი გრანელის პოეზიაზე ბრწყინვალე ესსეის ავტორს (აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ტერენტის "აღმომჩენი" და მისი უნიკალური შემოქმედების შემგროვებელ-გამომცემელი, შესანიშნავი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი ბატონი ლერი ალიმონაკი — "ილორი"-ს რედაქცია), ახლა იგი ჩემს წინაშე წარმოჩინდა უაღრესად ერუდირებულ, ავტორიტეტულ მკვლევარად ტერენტი გრანელის მხატვრობისა.

რა ბედნიერებაა რეზო ადამია რომ არსებობს ამ ქვეყანაზე. რა უშურველობით, რა კოსმიური გაქანებით, რა მაღალი პროფესიონალიზმით წერს იგი ტერენტი გრანელზე.

გულწრფელად ვამბობ, არ მეგულება საქართველოში დღეს მეორე კაცი, თან დიდი მხატვარი იყოს და თან ასე კარგად წერდეს ხელოვნებაზე.

მადლობა განგების ძალას, რომ ჩემი მეგობრის ამ დიდებული წიგნისთვის ორიოდე სტრიქონის წამძღვარების პატივი მერგო.

რევაზ მიშველაძე,
რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის
პრემიების ლაურეატი,
ქართული პროზის რაინდის
ტიტულის მფლობელი".

**ჩვენი გაზეთის მკითხველებს, თვალსაჩინოებისა და შედარებისათვის, შევთავაზებთ რამდენიმე ნახატს ტერენტი გრანელისა და დიდი ევროპელი მხატვრების შემოქმედებიდან.**

**ტერენტი გრანელის ნახატები**











კანდინსკი



ლეჟე



მალევიჩი



პიკასო

# ივანიშვილის სასახლეს შსს ტელეანძიდან უთვალთვალებდა

ერთი წლის განმავლობაში ტელეანძის სარკმელში დამონტაჟებული ტელეობიექტივიანი ფოტოაპარატით შსს ივანიშვილის ბიზნესცენტრის ყველა სტუმარს იღებდა... მან საპარლამენტო არჩევნები მოიგო და დღეს მთავრობის მეთაურია, თუმცა არჩევნებამდე ერთი წელი ქართული სპეცსამსახურების თვალთვალის ქვეშ გაატარა.

წინასაარჩევნო პერიოდში ცნობილი გახდა, რომ ივანიშვილის **"ქართული ოცნების"** ყველა ოფისს და მათ შორის, სოლოლაკში მის ბიზნესცენტრს, უთვალთვალებდნენ, ტელეფონებს უსმენდნენ და ელექტრონულ ფოსტას **"უჩხრეკდნენ"**.

როდესაც ივანიშვილი თავის სასახლეს მაღლა აშენებდა, როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ იქიდან თბილისის საუკეთესო ხედებით დატკბებოდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ პოლიტიკურმა ოპონენტებმა უფრო მაღალი ადგილიც მოძებნეს და ფუნიკულორის სატელევიზიო ანძა მის სათვალთვალოდ გამოიყენეს.

ჩვენი ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა დაუფარავად გამოხატა პროტესტი ხელისუფლების წინააღმდეგ და პოლიტიკური გუნდის შეკრება დაიწყო, მერაბიშვილის უწყებამ მიიღო ზომები იმ ადამიანთა ვინაობის დასადგენად, ვინც ოპოზიციონერ ლიდერს სოლოლაკის სასახლეში ეწვეოდა. ამისათვის უშუალოდ ივანიშვილის ბიზნესცენტრის შესასვლელში თვეობით მორიგეობდნენ **"რეალ-ტვ"**-ის წარმომადგენლები, რომლებიც ივანიშვილის სასახლეში შემსვლელ-გამომსვლელს ვიდეოკამერებით იღებდნენ და ამ მასალას მაშინვე შსს-ს აწვდიდნენ, მაგრამ შსს-ს ისიც აინტერესებდა, რა ხდებოდა ბიზნესცენტრის ეზოში, აივნებზე, შუშისფანჯრებიან ოთახებში.

სწორედ ამ მიზნით ტელეანძის მრგვალი ფორმის ორსართულიანი სათავსის ერთ-ერთ ფანჯარაში, რომელიც ივანიშვილის ბიზნესცენტრს უყურებდა, შსს-მ დაამონტაჟა მძლავრი ტელეობიექტივით აღჭურვილი თანამედროვე ციფრული ფოტოაპარატი, რომელსაც ორი სპეციალისტი დღე-ღამის განმავლობაში ემსახურებოდა.

სავარაუდოდ, ამ ფოტოსისტემას, რომელსაც წამყვანი ქვეყნების სპეცსამსახურები შორი მანძილიდან ეჭვმიტანილების სათვალთვალოდ იყენებენ, შეეძლო, ფირზე აღებეჭდა ყველა ის ადამიანი, ვინც ივანიშვილის ბიზნესცენტრის შიგნით მოძრაობდა.

პირდაპირი ხაზით ტელეანძიდან ივანიშვილის ბიზნესცენტრამდე 1 260 მეტრია, რაც ჩვეულებრივი ფოტოაპარატისთვის ძალზე დიდი მანძილია, მაგრამ მძლავრი ტელეობიექტივით აღჭურვილი თანამედროვე ციფრული ფოტოაპარატისთვის — არა.

ვფიქრობთ, ეს ივანიშვილის სასახლეზე დაკვირვების ერთადერთი პუნქტი არ იქნებოდა და კიდევ რამდენიმე, ასეთივე მძლავრი ტელეობიექტივი, მაშინდელი ოპოზიციონერების ძირითად თავშესაყარ ადგილს სხვა სათვალთვალო პუნქტებიდანაც უმზერდა.

მერაბიშვილის ტელეობიექტივში არაერთხელ მოხვდებოდა დღევანდელი შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილიც, რომელსაც არ უნდა გაუჭირდეს, გაარკვიოს, შსს-ს რომელი დეპარტამენტი უთვალთვალებდა და უსმენდა მას და შედეგად რა მასალა დაგროვდა, და საერთოდ, ვინ მისცა მათ ეს აპარატურა.

შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ თვალთვალი, მოსმენა და კუდში დევნა განსაკუთრებული ღონისძიება არ არის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებიც სწორედ ასე იქცევიან.

თუმცა ერთია, როდესაც ასეთ ღონისძიებებს სპეცსამსახურები ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ გეგმავენ და სულ სხვაა, როდესაც სამიზნეები ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ხდებიან.

ნებისმიერ ნორმალურ, დემოკრატიულ ქვეყანაში, თუ ხელისუფლება სახელმწიფო რესურსს, კერძოდ კი — სპეცსამსახურების ტექნიკურ შესაძლებლობებსა და ბიუჯეტს ოპოზიციის წინააღმდეგ იყენებს, იმ ხელისუფლების წარმომადგენლებმა კანონის წინაშე უნდა აგონ პასუხი, როგორც ეს აშშ-ში **"უოტერგეიტის"** სკანდალის შემდეგ მოხდა.

ი. ალადაშვილი

# რა ეშველება ქართულ ფეხბურთს?



ფრიდონ ინჯია იმ მცირერიცხოვან ბიზნესმენთა შორისაა, ვინც ქართული ფეხბურთის განვითარებაში საკუთარ ფულს ხარჯავს. ის უკვე 6 წელია, რაც მშობლიური რაიონის საფეხბურთო კლუბ **"მერანს"** ხელმძღვანელობს. ამ ხნის მანძილზე გუნდმა თვალშისაცემი პროგრესი განიცადა, ჯერ საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალს უწია, შემდეგ კი უმაღლეს ლიგაში საუკეთესოთა მარაქაში დაიმკვიდრა ადგილი. ამჟამად, **„მერანი"** სტაბილურად asპარეზობს, რაშიც უდიდესი წვლილი ფრიდონ ინჯიას მიუძღვის. ვთქვათ ისიც, რომ უდიდესი საფეხბურთო ტრადიციების მქონე სამეგრელოს რეგიონში **„მერანი"** ერთადერთი კლუბია, რომელსაც კერძო მეპატრონე ჰყავს. არადა, ძლიერი რეგიონის გარეშე ჩვენი ფეხბურთის წინსვლა ხომ უტოპიური ოცნებაა. უჭირდა თუ არა მას საქართველოში ფეხბურთის **„კეთება"** და როგორია ფეხბურთის აღორძინების მისეული ხედვა, ამ საკითხთან დაკავშირებით ფრიდონ ინჯია გვესაუბრება:

– ქართველი კაცისათვის ფეხბურთი მეტია, ვიდრე უბრალოდ სპორტი. ჩვენში გენეტიკურადაა გამჯდარი ფეხბურთისადმი სიყვარული. თამამად შეიძლება ითქვას, თითოეული ჩვენგანის ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ჩვენ საფეხბურთო ქვეყანა ვართ, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ დაარსებიდან სპორტის ნომერ პირველმა სახეობამ არნახული პოპულარობა მოიპოვა. კავკასიის ამ ულამაზესმა მხარემ ბევრი უმაღლესი დონის ვარსკვლავი აღუზარდა მსოფლიოს: კახი კალაძე, დავით ყიფიანი, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე, მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი, ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, ძმები არველაძეები და სხვ. აი, ვის მაგალითზე უნდა აღიზარდოს მომავალი თაობები.

რაც შეეხება ქართული ფეხბურთის განვითარების ჩემეულ ხედვას, რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორს შევეხები:

ქართული ფეხბურთის **"გონს მოყვანისათვის"** 3-5 წელი მაინც იქნება აუცილებელი. მანამ სანამ პროფესიულ დონეს არ მიაღწევს, სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს გუნდებს, თანხები ისეთი მექანიზმებით განაწილდეს, რომ ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები დაინტერესებულები იყვნენ შედეგის მიღწევით. მომავალში საკანონმდებლო დონეზე უნდა შემუშავდეს სპორტის განვითარების პროგრამა. დღეს ჩვენ გვჭირდება: სამართლიანობა, თავისუფლება, სწორი მიდგომა და ფინანსები. ბიზნესმენს ფეხბურთში ფულის ჩადების სურვილი კი არ უნდა გაუქრეს, არამედ პირიქით, უნდა დაინტერესდეს, როგორ? შეღავათები საგადასახადო კოდექსში უნდა ჩაიდოს. თითოეული გუნდის მესაკუთრის მოსაზრებები უნდა განვიხილოთ, რათა საუკეთესო ვარიანტზე შევჯერდეთ. ვფიქრობ, წარმატებული ქვეყნების მაგალითის გადმოტანა და ჩვენს ადათ-წესთან შერწყმა, დიდად წასწევს წინ ქართულ ფეხბურთს. შეიძლება, ევროპის რამდენიმე ქვეყნის ჩამოთვლა, რომლის მოსახლეობა დაახლოებით იმდენივეა, რამდენიც საქართველოსი. შვეიცარია, ხორვატია, დანია, კვიპროსი, მოლდოვა, ისრაელი... ეს პატარა, მაგრამ წარმატებული საფეხბურთო ქვეყნების არასრული ჩამონათვალია.

**– პრიორიტეტულად რომელ საკითხებს მიიჩნევთ?**

– უპირველესად, უნდა აღდგეს პროფლიგა (პროფესიული ფეხბურთის ლიგა), რომელიც ჩაატარებს ეროვნული ჩემპიონატის, უმაღლესი და პირველი ლიგის თამაშებს. ვფიქრობ, რომ პროფესიონალების ჩართვა ამ საკითხში, უმნიშვნელოვანესია. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი უნდა აირჩეს ჩემპიონატში მოთამაშე გუნდების ხელმძღვანელთა მიერ. იმის გამო, რომ კლუბების აბსოლუტური უმრავლესობა ჯერაც სახელმწიფოს წყალობაზეა, ჩემი აზრით, ყოველგვარი შეთანხმებისა და გარიგების თავიდან ასაცილებლად, ხმათა გადანაწილება მოხდეს შემდეგნაირად: კერძო გუნდების რაოდენობა ერთით მეტი უნდა იყოს, საბიუჯეტო გუნდების რაოდენობაზე (შესაბამისი კომპეტენციის პირებს, დაინტერესების შემთხვევაში, შეგვიძლია დაწვრილებით განვუმარტოთ). ეს იქნება იმის წინაპირობა, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება. ამ თემასთან დაკავშირებით ამა წლის აგვისტოში, აქტიური ღონისძიებები გატარდა, საქმე ფაქტობრივად, დარეგისტრირებამდე იყო მისული, ჩემი ინიციატივით პრემიერლიგაც ეწოდა, მაგრამ ცნობილი ანდაზისა არ იყოს – **„ხალხი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო"**, ისე დაგვემართა. მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა შეკრიბა უმაღლესი ლიგის კლუბების პრეზიდენტები და უთხრა: თუ ლიგის შექმნას მხარს დაუჭერთ, დაფინანსება შეგიწყდებათო. იქვე შევეპასუხე, რამაც მისი აღელვება გამოიწვია. ბევრმა ჩემდა გასაოცრად მხარი მას დაუჭირა, არადა თავიდან ყველა პროფლიგის მომხრე იყო. საუბედუროდ ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ერთ კაცს სურდა და არა, როგორც ფეხბურთს სჭირდებოდა. მათი დევიზი იყო: **„ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავსო"**. გილაურის სწორედ ასეთმა მიდგომამ, არასახელმწიფოებრივმა თუ პირადი ინტერესებმა ერთი წლით გადადო პროფესიული ფეხბურთის ლიგა. მაგრამ ეს თემა ხელახლა უნდა წამოიწიოს.

**– სხვა საზრუნავზე რას გვეტყოდით?**

– პრობლემატურია სტადიონების საკითხიც. ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით შეიძლება რაღაცები ნამდვილად გაკეთდა, თუმცა პრიორიტეტები არასწორად იყო შერჩეული. ფეხბურთის ფედერაციისათვის რომელი უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, სტადიონების აშენება იმ რეგიონებში, სადაც ფეხბურთი ნაკლებად პოპულარულია თუ მარტვილში, რომელიც უმაღლეს ლიგაშია?! რა დააშავეს საფეხბურთო ტრადიციებით განთქმულმა ქალაქებმა: სამტრედიამ, სენაკმა, ხობმა... აქ უფრო არის საჭირო მსგავსი ნაბიჯების გადადგმა. განა მარტვილის **„სალხინოში"** არ აღიზარდნენ საერთაშორისო კლასის ფეხბურთელები: თბილისის **„დინამოს"**, საბჭოთა კავშირის ცენტრალური მცველი და გუნდის კაპიტანი მურთაზ ხურცილავა, ქუთაისის **„ტორპედოს"** თავდასხმელი, საკავშირო ჩემპიონატის მრავალგზის ბომბარდირი დევიზ დარჯანია, თბილისის „დინამოს", ლანჩხუთის **„გურიისა"** და უცხოეთის წამყვან გუნდებში მოთამაშე ბადრი დანელია. ასევე საქვეყნოდ ცნობილია მარტვილელი ფეხბურთელები: დამზირ ოდიშარია, გოგა გახოკიძე, გია გრიგალავა... ხედავთ რამხელა პოტენციალია ყველასგან მივიწყებულ მარტვილის რაიონში?!

იმისათვის, რომ საბოლოოდ მოგვარდეს მოედნების საკითხი, უნდა აშენდეს ქარხანა სახელმწიფოს მიერ, ან კიდევ მოიძებნოს ინვესტორი, რომელიც გამოუშვებს ხელოვნურსაფარიან და ბუნებრივსაფარიან მოედნებს. დაგებული მოედნების უმრავლესობა თურქეთიდან შემოდის და საკმაოდ ძვირი, კვადრატული მეტრი 20 ევრო ჯდება, მაშინ როდესაც, საქართველოში ქარხნის არსებობის შემთხვევაში მაქსიმუმ 7-8 ევრო ეღირება. ის არამარტო ადგილობრივ სეგმენტზე იქნება გათვლილი, არამედ მეზობელ ქვეყნებზეც. ეს თავისთავად გააჩენს რამდენიმე ათეულ სამუშაო ადგილს. ამით მოიგებს მოსახლება, ქვეყანა და რაიონიც.

ამჟამად, საქართველოში ორად ორი გუნდი მეგულება, რომელსაც კერძო მფლობელი ჰყავს. როგორი პრაქტიკა იყო, გავიხსენოთ: სახელმწიფო აუშენებდა სტადიონს, მოუწესრიგებდა ინფრასტრუქტურას და სიმბოლურ ფასში გადასცემდა ინვესტორს. მაშინ როდესაც, გურამ რუხაძე 12 წელია **„ვიტ ჯორჯიას"** პატრონობს და ჩვენ კი 6 წელი. როგორ შეუძლია **„მერანს"**, რომლის ბიუჯეტი გორთან შედარებით ბევრად ნაკლებია, **„დილას"** მოუგოს ან თანაბრად ეთამაშოს? გარდა ამისა, ცნობილია, რომ ამ გუნდს შინაგან საქმეთა სამინისტრო აფინანსებს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ბაზარზე არათანაბარი კონკურენციაა. როდესაც ამბობენ, **„მერანი"** კერძოა და მთავრობა რატომ უნდა დაგეხმაროთო?! ჩემი გორელებისადმი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, მაინტერესებს: რატომ უნდა აეშენებინა სახელმწიფოს **„დილასათვის"** სტადიონი?! ან კიდევ: ქუთაისში უეფას სტანდარტების შესაბამისი სტადიონი ააშენეს და **„ვისოლს"** ფაქტობრივად უფასოდ გადასცეს.

**– პერსპექტივა როგორ გესახებათ?**

– ისევ და ისევ საფეხბურთო კლუბ მარტვილის **„მერანის"** ინტერესებიდან გამომდინარე, მზად ვარ გუნდი იჯარით, სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გადავცე ნებისმიერ სამინისტროს, იქნება ეს სოფლის მეურნეობის თუ თავდაცვის სამინისტროები. **„მერანი"** ჩემთვის ბიზნესი არაა. წლების განმავლობაში ამას ვაკეთებდი მშობლიური რაიონისა და ფეხბურთის სიყვარულის გამო. უამრავი ადამიანია დასაქმებული, ბავშვები ქუჩიდან საფეხბურთო მოედნებზეა დაბრუნებული. მარტვილში ნამდვილი საფეხბურთო ბუმია. ეს იმის ფონზე, რომ კაპიკით არც ფედერაცია დამხმარებია და არც ფეხბურთელი გამიყიდია. პირდაპირ ვამბობ: მე არ შემწევს იმის ძალა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მფარველობაში მყოფ გუნდს წინააღმდეგობა გავუწიო. როგორც ამბობენ ხელფასი 12.000 – მდე ადის, ჩემთან კი მაქსიმალური 1.500 ლარია. ასეთი ხელფასებითა და დაფინანსებით საქართველოში 3-4 კლუბს თუ აქვს. მაშინ რა გამოდის? ჩავატაროთ ოთხგუნდიანი ჩემპიონატი? პრობლემის მოგვარების ორი გზა არსებობს, რომელთაგან ერთ-ერთი უნდა ავირჩიოთ: ყველა გუნდს ეყოლება მეპატრონეები და შეიქმნება თავისუფალი გარემო ან კიდევ იქნება ისე, როგორც ეს წინათ იყო: სამინისტროებს შორის ჩატარდება ჩემპიონატი. ეს მარაზმი უნდა დასრულდეს.

**ესაუბრა**
**ბესიკ გვაზავა**

# საქართველოს და რუსეთს შორის სარკინიგზო კავშირის აღდგენის საკითხი – ქართველების, აფხაზების და რუსების საქმეა



რუსეთსა და საქართველოს შორის სარკინიგზო კავშირის აღდგენამ, ნაწილობრივ აღიარებული აფხაზეთის გავლით, ნერვული რეაქცია გამოიწვია აზერბაიჯანში. ამ სახელმწიფოს მმართველ წრეებთან დაახლოებულმა პოლიტიკურმა ექსპერტებმა, ასევე ცალკეულმა პოლიტიკოსებმა, საკმაოდ მკვეთრი დამოკიდებულება გამოხატეს ამ ინიციატივის მიმართ. აზერბაიჯანელმა ანალიტიკოსმა ქიამალ ალიმ შეკრიბა ზოგიერთი საინტერესო მომენტი, რომელიც ბაქოში გამოხატულ რეაქციებს ასახავს. მკითხველს თავად შეუძლია, გაეცნოს ამ მასალებს, რუსულ ენაზე.

ბუნებრივია, გასაგებია, რომ აზერბაიჯანს აწუხებს სომხეთის ეკონომიკის დამატებითი ზრდის შესაძლო სტიმულირება, რაც დაკავშირებულია რუსეთსა და სომხეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენით, საქართველოს ტერიტორიის გავლით, განსაკუთრებით კი, რუსული სამხედრო ტვირთების გადაზიდვა სომხეთში.

საქართველოს ხელისუფლება ჯერ-ჯერობით დუნედ რეაგირებს ჩვენი აღმოსავლელი მეზობლების ამგვარ განცხადებებზე. პრინციპში საქართველოს განსაკუთრებული გააქტიურების საჭიროება არც არსებობს – განცხადებები აზერბაიჯანში ოფიციალურ დონეზე არ გაკეთებულა. თუმცა იმის იგნორირება, რას ფიქრობენ ბაქოში ყოველივე ამის შესახებ, სისულელე იქნებოდა. სავარაუდოდ, ახალი ქართული ხელისუფლება სწორ – მეგობრულ ტონს შეარჩევს აზერბაიჯანელ პარტნიორებთან ურთიერთობაში და შეეცდება, დაარწმუნოს ისინი, რომ რკინიგზის გახსნა აზერბაიჯანის ინტერესებს საფრთხეს არ უქმნის. ამგვარი შეხედულების გასამყარებლად კონკრეტული არგუმენტიც არსებობს: საქართველოში მოქმედებას განაგრძობს რუსული სამხედრო ტვირთების ტრანზიტზე აკრძალვა, არა მხოლოდ რკინიგზის, არამედ საავტომობილო ტრასის საშუალებითაც, რომელიც, როგორც ცნობილია, ღიაა რუსეთსა და სომხეთს შორის, საქართველოს გავლით (სტეფანწმინდა-სადახლო). მაშასადამე, რკინიგზის გახსნა თავისთავად არ ნიშნავს რუსეთიდან სომხეთში სამხედრო ტვირთების მიწოდების აღდგენას.

მაგრამ, დავუშვათ და, ღმერთმა ინებოს, ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის ისე სწრაფად და კარგად განვითარდა, რომ ყველა ასეთი აკრძალვა ორივე მხრიდან მოიხსნა – აქვს თუ არა აზერბაიჯანს უფლება, გაუნაწყენდეს საქართველოს? სავარაუდებელია, რომ – არა. აზერბაიჯანი თავად უფრთხილდება რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობებს, პრეზიდენტი ალიევი არასოდეს აძლევს თავს უფლებას, რაიმე უარყოფითი თქვას რუსეთის ხელისუფლებაზე და მის პოლიტიკაზე. მაშ, სააკაშისტური რეჟიმის რადიკალური ანტირუსული კურსი ხომ არ აძლევდა აზერბაიჯანის გარკვეულ წრეებს საშუალებას, რუსეთთან ურთიერთობები, ასე ვთქვათ, საქართველოს ხარჯზე აეწყოთ? იგივე შეიძლება ითქვას სომხეთის გარკვეულ წრეებზეც – რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, საქართველოსა და რუსეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაში სასიცოცხლოდ დაინტერესებულ სომხეთს არასოდეს გადაუდგამს სერიოზული საშუამავლო ნაბიჯები, ორ მხარეს შორის დაძაბულობის შესამცირებლად.

ასე და ამრიგად, თუკი აზერბაიჯანს სურს, გამორიცხოს რუსული სამხედრო ტვირთების გატარება საქართველოს რკინიგზის მეშვეობით, ეს საკითხი მან უნდა მოაგვაროს უშუალოდ მოსკოვთან, თბილისზე კი ზეწოლას არ უნდა ეცადოს, რომ მან არ გახსნას რკინიგზა რუსეთთან. ამის მოთხოვნა არათუ არაეთიკური და არალეგიტიმურია საერთაშორისო კანონების თვალსაზრისით, არამედ უბრალოდ სულელურია. ასევე სისულელეა, ბიძინა ივანიშვილის მთავრობას ბრალი დავდოთ, როგორც ამას ზოგიერთი აზერბაიჯანელი პოლიტიკოსი აკეთებს, რომ თითქოს იგი **„პროსომხურ პოლიტიკას"** ატარებს. მით უფრო სააკაშვილის შემდეგ, რომლის მთავრობის ნახევარს, მისი ჩათვლით, სომხური ეთნიკური ფესვები აქვს.

**გულბაათ რცხილაძე,**
**ევრაზიის ინსტიტუტის**
**დირექტორი**

# გამოძიება შესაძლოა კოდუას, უგულავასა და ბარამიძის საქმეებით დაინტერესდეს

გამოძიება შესაძლოა ირაკლი კოდუას, გიგი უგულავასა და გია ბარამიძის საქმეებით დაინტერესდეს. ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა. მისივე თქმით, **„თუ მტკიცებულებები შეგროვდა, ძალიან ბევრი ადამიანის მიმართ შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. ამ ადამიანების გვარებისა და სახელების ხსენება კი ჩვენი კანონით აკრძალული არ არის"**.

იუსტიციის მინისტრის განმარტებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროს გიორგი კალანდაძის მიმართ პროკურატურა უფლებამოსილია, ბრალის ახალი ეპიზოდით დამძიმების გამო, სასამართლოს კვლავაც მიმართოს აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით. თუმცა, **„სანამ მტკიცებულებებით ბრალდება არ არის გამყარებული, მისი წარდგენა არავის ემუქრება"**.

ქალბატონ თეა წულუკიანის განცხადებით, მტკიცებულებების შეგროვების შემთხვევაში დაკითხვაზე დაიბარებენ გიგი უგულავას, ვანო მერაბიშვილსა და დათა ახალაიას.

**„თუ მთავარმა პროკურორმა კონკრეტული თანამდებობის პირების გვარები და სახელები დაასახელა და შესაბამისი განცხადება გააკეთა, მე შემიძლია ეს მხოლოდ დავადასტურო"**, – აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

# პარლამენტის ახალი შენობა რადიაციულად დაბინძურებულია



***ქუთაისში სახელდახელოდ "არიხრახებული" პარლამენტის ახალი შენობა ახალი მთავრობის თავის ტკივილად იქცა. თავი დავანებოთ იმას, რომ მის ასაშენებლად 350 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა და შენობის სრულ დამთავრებას კიდევ ათეულობით მილიონი სჭირდება. გარდა იმისა, რომ დღემდე ვერ დადგინდა, თუ კონკრეტულად ვის ეკუთვნის ეს სიმახინჯე, აღარც იმით გაგაკვირვებთ, რომ შენობაში ვირთხებს მარულა აქვთ გამართული. ისიც მოგეხსენებათ, რომ ყოველი გაწვიმების შემდეგ პარლამენტში წყალი ჩადის, პლაფანები კი ერთიმეორის მიყოლებით ცვივა ჭერიდან. ყველაზე მთავარი ის არის, რომ, როგორც ახლახან სპეციალისტებმა დაადგინეს, შენობა რადიაციულად არის დაბინძურებული. ამან კი იქ მომუშავე პერსონალსა და დეპუტატებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას.***

ქართულ მასმედიას მიაწოდეს ამომწურავი ინფორმაცია, რომ პარლამენტის აპარატის რამდენიმე თანამშრომელი უკვე სავსებით გაურკვეველი მიზეზის გამო სერიოზულად დაავადდა. მაგალითად, ერთ-ერთ მათგანს ექიმებმა მტვრის ალერგია დაუდგინეს. სხვებს კი რადონით მოწამვლა ემუქრებათ. ექიმები არ გამორიცხავენ რადიაცულ ფონთან დაკავშირებული სხვა დაავადებების მოძალებასაც.

მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის თავჯდომარეს ბატონ დავით უსუფაშვილს არასამთავრობო ორგანიზაციამ **"მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე"** წერილით მიმართა. მასში მოყვანილი ფაქტები საგანგაშო და ყურადსაღებია. ამ წერილს სრულად გთავაზობთ.

**"— ცნობილია, რომ ქალაქ ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობა აშენდა და ექსპლუატაციაში შევიდა სამშენებლო ტექნოლოგიური პროცესების, სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევებით და, რაც მთავარია, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გარეშე, რის გამოც ლაბორატორიულად შესამოწმებელია ამ შენობის მზიდი კონსტრუქციების სიმტკიცის, მზიდუნარიანობის, კოროზიამედეგობის, ხანგამძლეობის, სეისმომედეგობისა და საიმედოობის მახასიათებლები.**

**გადაუდებლად აუცილებელია აღნიშნული შენობის სეისმომედეგობისა და სამშენებლო ეკოლოგიური მაჩვენებლების სასწრაფოდ დადგენა, რადგან ამ მოთხოვნების შეუსრულებლობა ფრიად სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ახალ პარლამენტში მომუშავე პარლამენტარებისა და მომსახურე პერსონალის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

**ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს პარლამენტის ახალი შენობის ასაშენებლად და გასარემონტებლად გამოყენებული არც ერთი სამშენებლო, სარემონტო და სანტექნიკური მასალა წინასწარ არ შემოწმებულა ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე (ტოქსიკური აირების გამოყოფა, რადიაციისა და რადონის გამოსხივება და სხვა). განსაკუთრებით საგანგაშოა ის ფაქტი, რომ უკრაინაში ჩერნობილის რადიაციული ჯართისგან დამზადდა მილიონ ტონაზე მეტი რადიაციული სამშენებლო ლითონი და ეს პროცესები ფარულად დღესაც გრძელდება. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ასეთი რადიაციული სამშენებლო ლითონი შემოსულია და დღესაც შემოდის საქართველოში, რადგან ამ ბიზნესს თავკაცობს ძველი ხელისუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა. არადა, ცნობილია, რომ მსოფლიოში გარდაცვლილთა 70% სამშენებლო ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების დარღვევებით გამოწვეული დაავადებებისგან იღუპება!**

**2004 წელს დაარსებული ჩვენი ასოციაცია დღემდე ამაოდ იბრძვის, რომ როგორმე მკვდარი წერტილიდან დავძრათ საქართველოში სამშენებლო ეკოლოგიური უსაფრთხოების ფრიად ანგარიშგასაწევი პრობლემის მოგვარება. ვინაიდან ძველმა "ნაციონალურმა" ხელისუფლებამ ქართველი ხალხის სიკვდილ-სიცოცხლის ტოლფასი ამ პრობლემის მოგვარებაზე უარი გვითხრა, ეს საკითხი უკვე დავაყენეთ ქვეყნის ახალი ხელისუფლების წინაშე და ერთდროულად "საქართველოს გეოფიზიკურ ასოციაციასთან" (თავმჯდომარე აკადემიკოსი ბატონი თამაზ ჭილაძე) ერთობლივად გადავდგით პირველი ნაბიჯები — დავიწყეთ ფიზიკური და იურიდიული პირების საცხოვრებელ, სასწავლო და სამუშაო შენობა-ნაგებობებში ეკოლოგიური საფრთხეებისა და, მათ შორის, ყველაზე სახიფათო რისკფაქტორის, რადონის გამოსხივების დოზების დადგენა, ეკოლოგიური საფრთხეებისაგან დაცვის რეკომენდაციების შესაბამისი პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება.**

**ბატონო დავით, თქვენი დაინტერესების შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია, პარლამენტის ახალ შენობას ჩავუტაროთ სეისმური და სამშენებლო ეკოლოგიური ექსპერტიზა, პირველ რიგში კი რადონის უსაფრთხოების ექსპერტიზა. ჩვენი წინასწარი ვარაუდით, რადონის დოზების დადგენას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგან ეს შენობა დგას იმ ტერიტორიაზე, რომელიც ცნობილი წყალტუბოს რადონის წყლების ტერიტორიიდან დაშორებულია სულ რაღაც 5კმ-ით. ეს კი ზრდის საშიშროებას, რომ იმ გრუნტებში, რომელზეც დგას პარლამენტის ახალი შენობა, იყოს რადონის საშიში შემცველობა. რადონი კი წარმოადგენს რა უხილავ, უსუნო, უგემო და ჯანმრთელობისთვის საშიშ მომწამლავ აირს, მიწიდან ვრცელდება ზემოთ და თანდათან გაავსებს შენობის მთელ შიგა მოცულობას. ვინაიდან ეს შენობა არის უფანჯრებო და გამორიცხულია ბუნებრივი ვენტილაცია, შენობაში თანდათან გაიზრდება რადონის კონცენტრაცია და სამშენებლო-სარემონტოდ გამოყენებული მასალებიდან ამოფრქვეულ სხვა მომწამლავ აირებთან ერთად შეიძლება მიაღწიოს ისეთ კრიტიკულ მაჩვენებელს, რომ მისი ჩასუნთქვით ადამიანები თანდათან დაავადდნენ უმძიმესი სიმსივნური და ლეიკოზური დაავადებებით, მაგალითად ფილტვის კიბოთი, რომლის წარმოშობის რისკფაქტორებს შორის თამბაქოს მოწევის შემდეგ მსოფლიოში რადონი არის მეორე ადგილზე.**

**საქმეს არ უშველის შენობის შიდა სივრცის კონდიცირება, რადგან ჰაერი შენობაში მხოლოდ იტრიალებს და ამ პროცესს კიდევ უფრო დაამძიმებს. აუცილებელი გახდება უძლიერესი გამწოვი ვენტილაციის დამონტაჟება. ახლა წარმოიდგინეთ, რა უზარმაზარი დამატებითი ხარჯების გაღების აუცილებლობა წარმოიქმნება, როცა ზამთარში პარლამენტის ამ ვეებერთელა დახშულ სივრცეში ჰაერი სიტემატიურად უნდა გაათბო და შემდეგ გაიწოვო გარეთ, ზაფხულში კი, პირიქით, უნდა გააცივო და შემდეგ ასევე მუქთად გაისროლო გარეთ. ეს მართლაც იქნება ელექტროენერგიის დამატებითი კოლოსალური ხარჯი.**

**ბატონო დავით, ახალი პარლამენტის შენახვის ეს გაზრდილი კომუნალური ხარჯები ხელს უწყობს და დააჩქარებს პარლამენტის უკან, თბილისში გადმოტანას, რასაც მივესალმებით მთელ საქართველოსთან ერთად. ველით თქვენს გადაწყვეტილებას,"** — ნათქვამია მიმართვაში.

იმედი ვიქონიოთ, რომ არავის არაფერი დაემართება, მით უმეტეს, რომ პარლამენტი ახლო მომავალში ქუთაისიდან თბილისში დაბრუნდება. ამისათვის საკონსტიტუციო ცვლილებები და რუსთაველის გამზირზე მდებარე შენობის გარემონტებაა საჭირო. მართლაც რომ განრისხებას იწვევს ვანდალური აქტი — არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე ეს შენობა ისე დალეწეს, რომ აქაურობა ნაომარ ადგილს დაემსგავსა. როგორც ამბობენ, ამის ბრძანება საქართველოს პრეზიდენტმა გასცა, რომელიც დაუფარავად ახორციელებდა სომხურ პროგრამას — პარლამენტის გადატანის შემდეგ ქუთაისში გადაეტანა საქართველოს დედაქალაქი და აღმოსავლეთ საქართველო თავისი ისტორიული წინაპრების საჯიროთოდ ექცია!.

ქუთაისსა და თბილისში მდებარე პარლამენტის შენობებთან დაკავშირებით დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელმა ზურაბ ტყემელაძემ დასკვნა უკვე მოამზადა და შესაბამისი დოკუმენტით პარლამენტის თავმჯდომარეს მიმართა.

პარლამენტის დღის წესრიგში ამ ორი შენობის მდგომარეობასთან დაკავშირებით სპეციალური აუდიტორული შემოწმების ჩატარების საკითხი დგას.

— ქუთაისში აშენებული პარლამენტის შენობა, დღეის მდგომარეობით, დაუმთავრებელია, არ არის მიღებული სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირის საკუთრებას. ნებართვა პარლამენტის შენობაზე გაცემულია ქუთაისის მერიის მიერ, ნაცვლად სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურისა, რომელმაც საერთოდ ვერ გაიგო, რომ თურმე ქუთაისში პარლამენტის მშენებლობა მიმდინარეობდა, რადგან მას არაფერი ჰკითხეს და არც ის იცოდა, რომ მეხუთე კატეგორიის მშენებლობა მიმდინარეობდა. ასევე არც ქუთაისის მერიამ (მისმა სამსახურებმა) იცოდა, რომ მათ კომპეტენციას არ წარმოადგენდა ამ ობიექტზე ნებართვის გაცემა და შესრულებული სამუშაოების დადასტურება, ამან კი, თავის მხრივ, უფლებამოსილების აღრევა გამოიწვია. აღსანიშნავია ასევე, რომ მშენებლობის წარმოების მიმდინარეობის პროცესში არ არსებობდა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, ხდებოდა ფაქტიური შესრულებული სამუშაოების მიხედვით დადასტურება, რასაც ქუთაისის მერია ადასტურებდა.

მშენებლობის დაფინანსებას (ანაზღაურებას) ახორციელებდა პირველ ეტაპზე ქუთაისის მერია 65,5 მილიონ ლარით, ხოლო მომდევნო ეტაპზე დამკვეთის როლში ემატება და გვევლინება კერძო სამართლის იურიდიული პირი — შპს **"სახელმწიფო მომსახურების ბიურო"**. თავის მხრივ, არც მათ გააჩნდათ პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, ასევე არც მათ იცოდნენ, რომ ამ კატეგორიის მშენებლობაზე ნებართვის გაცემა და ზედამხედველობაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფო ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურს ეკისრებოდა. შედეგად მივიღეთ დაუმთავრებელი სამუშაოები — ისიც არ ვიცით, თუ რა უნდა გაკეთებულიყო. ცალკე აღნიშვნის (განხილვის) თემაა მშენებლობის დაფინანსების საკითხი. როგორც მოგახსენეთ, დაფინანსების ნაწილი, 65,5 მილიონი ლარი, ქუთაისის მერიამ გადაიხადა, ხოლო დანარჩენი თანხები, 272,0 მილიონი ლარი — შპს **"სახელმწიფო მომსახურების ბიურომ"**, რომელიც, თავის მხრივ, ფრიად **"ორიგინალური"** სქემით ახდენდა თანხების აკუმულირებას ანგარიშზე. **"ბიუროს"** გადაეცემოდა სახელმწიფო ქონება, პრივატიზაციის მიზნით შეჰქონდათ საწესდებო კაპიტალში და ახდენდა რეალიზაციას, თანხებს უკეთებდა აკუმულირებას და თავისი შეხედულებით ან **"ზემდგომის"** დავალებით აფინანსებდა სახელმწიფო ობიექტების მშენებლობას. საეჭვო გარემოებაა პარლამენტის მშენებლობის დაფინანსების კუთხით. ქუთაისის მერიასა და სამშენებლო კომპანიას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ვკითხულობთ, რომ პარლამენტის მშენებლობის სავარაუდო ღირებულება 1,5 მილიონი ლარი იქნება, ხოლო მომდევნო პერიოდში ერთი წლის განმავლობაში 7-ჯერ შევიდა დამატება ხელშეკრულებაში და 1,5 მლნ ლარი 250,0 მილიონ ლარამდე გაიზარდა, თუმცა, როგორც ცნობილია, არც ეს აღმოჩნდა საკმარისი და დღეის მდგომარეობით მშენებლობაზე დახარჯულია დაახლოებთ 360 მილიონი ლარი. ასეთი მიდგომა სახელმწიფო ობიექტების მშენებლობის, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, მშენებლობაზე ზედამხედველობისა და ა.შ. რბილად, რომ ვთქვათ, არამართლზომიერად მიგვაჩნია. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია ხსენებული ფაქტობრივი გარემოების დეტალური შესწავლა და ანალიზი. გთხოვთ შემდგომ მითითებას საქმის წარმოებისათვის, — ვკითხულოთ ზურაბ ტყემალაძის მოხსენებით ბარათში.

რაც შეეხება თბილისში მდებარე პარლამენტის შენობასთან დაკავშირებულ მდგომარეობას, შენობის დათვალიერებისა და პარლამენტის აპარატში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ შენობიდან პარლამენტის სახელზე რიცხული ინვენტარი გატანილია და გადაცემულია ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში განლაგებულ დაწესებულებებზე. დასკვნაში ნათქვამია, რომ პარლამენტის სხდომათა და საკომიტეტო მოსმენების დარბაზებში აყრილია იატაკი, დანარჩენი მდგომარეობა შენარჩუნებულია, ხოლო კინოდარბაზში დაწყებულია რეკონსტრუქცია, რომელიც შეჩერებულია.

— პარლამენტის აპარატის ქონების გადაცემა პარლამენტის აპარატის უფროსის ბრძანების საფუძველზე განხორციელდა, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბრის შუა რიცხვების შემდგომ არის გაცემული. საყურადღებოა, რომ ბრძანების მეხუთე პუნქტში მითითებულია, რომ ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში პარლამენტის თავმჯდომარესთან, ხოლო შემდეგ — თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლეს შემთხვევაში აღნიშნული ქონება გადაეცემოდა აღნიშნულ პირებს ბრძანების გამოცემის მეორე დღესვე ან ერთი-ორი კვირის განმავლობაში და თანაც 1-ლი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. აუდიტორული შემოწმება აუცილებელია, — აღნიშნავს ტყემელაძე.

**თ. მარხვაიძე**

# ვახტანგ ჯაფარიძე: "ამაზრზენია, როდესაც ყოფილი მინისტრი ასე უტიფრად ცრუობს"



აფრასიძეების საქმის გაუხმაურებელ დეტალებზე გვესაუბრება ძველი თბილისის რაიონის ვეტერანთა კავშირის თავმჯდომარე, გადამდგარი პოლკოვნიკი, შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი ვახტანგ ჯაფარიძე, რომელმაც თავის დროზე ძებნილი ევგენი აფრასიძე დააკავა:

— გია ბარამიძის მიერ ეცერში ჩატარებულ ვანდალურ სპეცოპერაციაზე იმდენი რამ ითქვა და დაიწერა, უკვე მეუხერხულება ამაზე ლაპარაკი... როგორ არ შერცხვა გიორგი ბარამიძეს, რომ გამოვიდა და თავი იმართლა? თუმცა, კაცი რომ კაცობას დაკარგავს, მისგან რაღა უნდა გაგიკვირდეს?! სულ ტყუილი და ტყუილი... უბედურებაა, როდესაც მატყუარა კაცს თანამდებობა უკავია და ტყუილით წყვეტს ქვეყნის და ხალხის ბედ-იღბალს. ამაზე მეტი დანაშაული შეიძლება რამე იყოს?

**— სააკაშვილის ნათქვამზე რას იტყვით — მე გავეცი აფრასიძეების განადგურების ბრძანებაო.**

— პრეზიდენტმა კი თქვა, მაგრამ შენ რომ ამ ბრძანებას ასრულებ, ცოდვას სად მიუდიხარ, უფალი არ გწამს? 35 წელიწადი ვიმუშავე შსს-ში, მაგრამ ბორკილდადებული კაცი (ევგენი და ომეხ აფრასიძეებს ვგულისხმობ) რომ ვინმეს დაეხვრიტა, ასეთი რამ არ მსმენია — ვინ დახვრეტდა მაშინ კაცს ქუჩაში?

**— ბარამიძემ თქვა, აფრასიძეებმა ჩვენს ვერტმფრენს ყუმბარმტყორცნი დაუშინეს და ძლივს მოახერხა დაჯდომაო.**

— ეს ყველაფერი არის ბლეფი. რა შეიარაღება? აფრასიძეებს თუ საზენიტო არტილერია ჰქონდათ, რატომ არ დაურთეს სისხლის სამართლის საქმეს, როგორც ნივთმტკიცება? ხომ უნდა ამოეღოთ? იმაზე ამაზრზენი არაფერია, როდესაც ყოფილი მინისტრი ასე უტიფრად ცრუობს. რაც თვითონ გააკეთეს, იმას სხვას აბრალებენ.

**— ბატონო ვახტანგ, თქვენ კარგად იცნობდით აფრასიძეების ოჯახს. ლეგენდებს ჰყვებიან მათ კრიმინალურ წარსულზე. შეგიძლიათ ამის დადასტურება?**

— ეს ყოფილი ხელისუფლების მიერ აგორებული შავი პიარია ძალადობის გასამართლებლად. ევგენი აფრასიძე, რომელიც 16 წელი იძებნებოდა, მე დავაპატიმრე. მას სიძის (დის ქმრის) მკვლელობა ვერ დაუდასტურეს, ვინაიდან არავითარი მტკიცებულება არ იყო საქმეში. რა არ იღონა პროკურატურამ, რაიმე მტკიცებულება რომ მოეპოვებინა, არადა, ამ კაცს ერთი უბრალო დანაშაულიც კი არ ჰქონდა ჩადენილი. ჩრდილო კავკასიაში გადადიოდა და იქ შრომით არჩენდა ოჯახს.

**— როგორც ამბობენ, ამ წლების განმავლობაში აფრასიძე სვანეთს არ გასცილებია და რატომ გაძნელდა მისი შეპყრობა?**

— ეცერში აფრასიძეების სახლი მაღლობზე იდგა. ევგენის სოფელში ვინმეს სტუმრობა არ გამოეპარებოდა და ყოველთვის ახერხებდა ხელიდან დასხლტომას. პირველად მის ასაყვანად 40 კაცი წავედით, სულ ტყე-ტყე ვიარეთ, მაინც გაგვიშიფრეთ. აფრასიძეების სახლის მახლობლად ეკლესია იყო და იქ ჩავასაფრეთ ოპერატიული ჯგუფი, რაციით უნდა გადმოეცათ ჩვენთვის მისი მარშრუტი. ევგენი აფრასიძე შვილთან ერთად მიდიოდა ტყისკენ და ეკლესიასთან გაიარა. ეს ამბავი ოპერატიული ჯგუფის უფროსმა გვაცნობა. ვის მოუვიდოდა აზრად, მისთვის ცეცხლი გაეხსნა და მოეკლა? შს მინისტრის იმჟამინდელი მოადგილე სანდრო კავსაძისგან ნაბრძანები გვქონდა, სროლა არ აგვეტეხა... ვინ არ ჩაერია ამ საქმეში, ვინ არ გაიგზავნა იქ, მათ შორის ავტორიტეტული ადამიანებიც, აფრასიძეს უთვლიდნენ, ჩაგვბარდიო, მაგრამ იგი არავის ენდობოდა, ფიქრობდა, რომ დახვრეტდნენ. იარაღით დადიოდა და ამბობდა, ბოლო ტყვია ჩემთვის მაქვსო. 1979 წელს, როცა შსს-ს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე ვიყავი, გადავწყვიტე, ცოცხლად აგვეყვანა ძებნილი. პარიკით შევედი სოფელში როგორც ცემენტის გამყიდველი. ვიცოდი, სახლს იშენებდნენ და ცემენტი სჭირდებოდათ.

**— პარიკით რატომ წახვედით, გიცნობდათ?**

— პარიკი და წვერი იმიტომ გავიკეთე, რომ მანამდე მისასვლელი გზები დავზვერე და, როგორც ჩანს, ევგენიმ მნახა. ძალიან ჭკვიანი კაცი იყო. ევგენი აფრასიძეს ხალხმა სვანეთის დათა თუთაშხია შეარქვა. წარმოიდგინეთ, როგორი კაცი უნდა ყოფილიყო, ასეთი სახელი რომ შეერქმიათ?! გარკვეული დროის შემდეგ მისი ნდობა მოვიპოვე. მე და სანდრო კავსაძემ ჩავსვით მანქანაში და ზუგდიდში რომ ჩამოვედით, მერე ვუთხარი, ვახტანგ ჯაფარიძე ვარ-მეთქი. თურმე ცოლი ეუბნებოდა ჩემზე, მაგ კაცს არ ენდო, იმას არ ჰგავს, რადაც თავს ასაღებსო. ათკაციანი ჯგუფით ვიყავით, მაგრამ იარაღი არავის გაუსვრია.

**— ევგენის მეუღლემ, დოდო სიდიანმა გვითხრა, რომ ამის შემდეგ თქვენ და ევგენი აფრასიძე დამეგობრდით.**

— თბილისში რომ ჩამოვიყვანეთ, ზამთარი იყო, ციოდა და ევგენის ციხეში პლედი და საკვები შევუგზავნე. მერე რა, რომ პატიმარი იყო, პატიმარსაც ადამიანურად და კაცურად უნდა მოექცე. რითაც შემეძლო, ვეხმარებოდი. სამი წლის შემდეგ, ევგენი იმხანად ციხიდან უკვე გამოსული იყო, ავტოავარიაში მოვყევი. სვანეთიდან ჩამოვიდა და ჯიხვის რქები ჩამომიტანა... ომეხი რომ გზას აცდენილი იყო, ამას არ უარვყოფ. სპეცოპერაციამდე გამომძიებელმა ბათუ საღინაძემ დამირეკა შს მინისტრის მოადგილე ლევან გვაზავას თხოვნით: ნოდარ გვიჩიანმა კალაძეებისგან 200 ათასი დოლარი აიღო, ომეხ აფრასიძეს მიუტანა და, იქნებ დაგვეხმარო, შენ გარდა იმ ფულს ვერავინ ამოიღებსო. იმ საღამოსვე დავურეკე ომეხს, რომელმაც მითხრა, ფული მართლა ჩამომიტანა ოთხმა კაცმა და მითხრეს, იქნებ კალაძის ადგილსამყოფელი დაგვიდგინოო. ომეხს უთქვამს, მე რა კავშირი მაქვს ამასთან, არაფერი ვიციო. ისე, საღინაძეც რაღაცებს თხზავდა. ომეხმა მითხრა, როცა დავარწმუნე, კალაძის შესახებ არაფერი ვიცოდი, 10.000 დოლარი დამიტოვეს და დამიბარეს, იქნებ რამე გაგვიგოო. ის ფული შენახული მაქვს, ხელი არ მიხლია, დანარჩენი — 190.000 უკან წაიღესო. მე ის არ მომატყუებდა. მეორე დღესვე მივედი შსს-ში და ვნახე ბათუ საღინაძე. ამ დროს მის კაბინეტში იყო ლევანის მამა — კარლო კალაძე. საღინაძეს პირდაპირ ვუთხარი ომეხის ნათქვამი, ბათუ ამას ვერ უარყოფს. ომეხ აფრასიძე იმის გამო იძებნებოდა, რომ დაჭრა მეგობარი, რომელიც შემდეგ გარდაიცვალა. ვურჩიე მას, ოჯახს ნუ დაღუპავ, ჩაბარდი-მეთქი და ისიც შემპირდა, აუცილებლად ჩამოვალ და ჩაგბარდებით, თქვენ მიმიყვანეთ პოლიციაში, ოღონდ, ორი კვირა მაცალეთო. თუმცა არ აცალეს და მალევე ჩატარდა სპეცოპერაცია. ის, რომ ომეხ აფრასიძემ ლევან კალაძის ადგილსამყოფელი იცოდა, ტყუილია.

**— მაშინ რატომღა ჩაცხრილეს აფრასიძეები?**

— ჰკითხეთ მათ, რატომ ჩაცხრილეს. მარტო აფრასიძეები ჩაცხრილეს? ვანო მერაბიშვილს წერილიც კი მივწერე... ამაზე ახლა ნუ მალაპარაკებ...

**— ძმებზე — გოჩასა და შმაგი აფრასიძეებზე რას იტყვით?**

— შმაგის ჰყავდა ოჯახი, 4 შვილი. მთელი სვანეთი დაადასტურებს, რომ მას დანაშაული არასოდეს ჩაუდენია. ის მშრომელი ადამიანი იყო. იგივე ითქმის გოჩაზეც. ბატონმა ბარამიძემ რომ თქვა, წინააღმდეგობას გვიწევდნენო, არ შერცხვა?! ქუთაისის სასამართლომ ამ კაცს 18 წელი რომ მიუსაჯა, ნეტა როგორ სძინავს იმ მოსამართლეს, ძალიან მაინტერესებს. ან გოჩამ რა წინააღმდეგობა გაუწია, ზემოდან წვიმასავით მოდიოდა ტყვიები. 48 ოპერაცია მაქვს ჩატარებული, ყველა მათგანზე გეგმა მქონდა და ყველა უსისხლოდ ჩავამთავრეთ. გეგმა კი არა, ყოფილ თანამშრომლებს ახლოს არ გვიკარებენ!

**— ბატონო ვახტანგ, თქვენზე, ომის ვეტერანებზე ვინმე ზრუნავს?**

— ქალაქის მერი ერთხელაც რომ არ შეხვდება ომის ვეტერანებს, რა უნდა ელაპარაკო? დახმარებები რომ გაუუქმეს, საწყალი ომის ვეტერანები მიდიოდნენ მერიასთან, უგულავა მეორე სართულზე იჯდა და ერთს არ გადმოხედავდა და დაელაპარაკებოდა ამ ხალხს. რატომ შეგვიძულა ასე?! 9 მაისს ვაკის პარკში ბატონი ბიძინა ივანიშვილი შეგვხვდა ომის ვეტერანებს, ადამიანურად დაგველაპარაკა, დახმარებას შეგვპირდა. ამ ხალხს ჯერ წესიერად არ ჩაუბარებია ხელისუფლება და უკვე პრეტენზიებს უცხადებენ. ბარამიძემ რომ უსაყვედურა, გრაფიკი არ გაქვთ, დანაპირებს არ ასრულებთო, თვითონ ცხრა წელი იყვნენ ხელისუფლებაში და რა შეუსრულეს ხალხს?

ნ. ფიცხელაური

# განადგურებენ თუ არა აშშ-ის საჩუქარს — მოსასმენ აპარატურას?

„ახალგაზრდა ადვოკატები" მოუწოდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა საჯაროდ მოხდეს უკანონო სატელეფონო საუბრების მოსასმენი აპარატურის დემონტაჟი (ეს აპარატურა საქართველოში აშშ-ის სპეცსამსახურების სპეციალისტებმა ჩამოიტანეს და დაამონტაჟეს — საქინფორმი). **„ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ახალი შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის პირველივე განცხადება, კერძოდ, სატელეფონო საუბრების მოსმენის, ინტერნეტკონტროლის და მსგავსი უკანონო ქმედებების სამართალდამცველების მხრიდან აკრძალვის შესახებ, თუმცა საზოგადოების ხანგრძლივი სიმშვიდისთვის საჭიროა ინიციატივის საჯაროდ დემონსტრირება"**, — აცხადებს ორგანიზაცია.

ამასთან, მათი განცხადებით, დაკავშირებული მოთხოვნის უზრუნველყოფა აუცილებლად უნდა განხორციელდეს არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი თანამონაწილეობით, რისთვისაც საჭიროა შეიქმნას არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით დამოუკიდებელი კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ სპეციალისტებიც. მეტიც, შსს-ის მხრიდან უკანონო მოსასმენი სისტემის დემონტაჟის პროცესს მონიტორინგი გაუწიოს საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, ხოლო საკითხთან მიმართებით როგორც შსს, ისე იუსტიციის სამინისტრომ ანგარიში ჩააბაროს საქართველოს პარლამენტს. უნდა მოხდეს უკანონო სატელეფონო საუბრების აპარატის თუნდაც ქვეყნიდან გატანა.

**„მიგვაჩნია, რომ მოცემული შემთხვევა სამართლიანობის აღდგენის და საზოგადოების სახელმწიფოსთან ნდობის საუკეთესო შესაძლებლობა და წინაპირობა იქნება"**, — აცხადებენ ახალგაზრდა ადვოკატები.

ორგანიზაცია მოითხოვს, საზოგადოებას მეტი ინფორმაცია მიეწოდოს უკანონო მოსმენების ბრალდებით დაკავებული ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესის შესახებაც: **„მნიშვნელოვანია, გამოძიება დაიწყოს იმ ადამიანების მიმართაც, რომლებმაც თავის დროზე აღნიშნული აპარატურა შეიძინეს, ჩამოიტანეს საქართველოში, დაამონტაჟეს და არ დაიხუროს ის მიმდინარე საქმეები, რომლებიც უკანონო მოსმენების ბრალდებით მიმდინარეობს. სასამართლო საქმის განხილვის პროცესი უნდა იყოს ღია და საჯარო"**.

# კუდ-ის უფროსი ლევან ქარდავა ბესიკ სურმავას გატაცების ბრალდებით დააკავეს

**— საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ლევან ქარდავა, აგრეთვე გიორგი ყავლაშვილი და სოდ-ისა და კუდ-ის რამდენიმე სხვა მაღალჩინოსანი პროკურატურაში დაკითხვის შემდეგ დააკავეს,**— ამის შესახებ ჟურნალისტებს ქარდავასა და ყავლაშვილის ადვოკატებმა მთავარი პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ განუცხდეს.

როგორც გიორგი ყავლაშვილის ადვოკატმა დავით ხაჟალიამ აღნიშნა, ყავლაშვილს ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით, რაც სხვისი ქონების განადგურებას გულისხმობს და დანაშაული 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გარდა ამისა, მას ბრალი წარედგინა 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს და ასევე 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. საქმე ეხება **"ქართუ ჯგუფის"** კუთვნილი ტვირთის დაზიანებას ტერმინალზე.

კუდ-ის უფროსის, ლევან ქარდავას ადვოკატის, კახა შონიას განცხადებით კი, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალი ორი მუხლით წაუყენეს. 143-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს და 333-ე მუხლით - უფლებამოსილების გადამეტება. ამ შემთხვევაში საუბარია ბიძინა ივანიშვილის დაცვის წევრ ბესიკ სურმავას გატაცებასა და თავისუფლების უკანონო შეზღუდვაზე.

ადვოკატების განმარტებით, მათი დაცვის ქვეშ მყოფებმა გამოძიებას ყველა კითხვაზე დეტალური პასუხები გასცეს და ამჟამად ისინი წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილი, სადაც ნორმალურ პირობებში იმყოფებიან და სამართალდამცავების მიმართ რაიმე სახის პრეტენზიები არ გააჩნიათ.

სოდ-ისა და კუდ-ის მაღალჩინოსნების დაკითხვა მთავარ პროკურატურაში 17 ნოემბერს, 13.00 საათიდან მიმდინარეობდა და მეორე დღეს, გამთენიისას დასრულდა. პროკურატურას ოფიციალური კომენტარი ჯერჯერობით არ გაუკეთებია.

გამორიცხული არ არის, რომ ძიების პროცესში აღნიშნული პირების მიერ ჩადენილი სხვა დანაშაულებრივი ქმედებებიც გამოიკვეთოს, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს მათ ბრალდებას. ამდენად, სრულიად უსაფუძვლოა საპარლამენტო უმცირესობის წევრთა მტკიცება იმის თაობაზე, რომ მიმდინარეობს ძველი კადრების პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრება.



## სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# თემურ ქეცბაია: ეგვიპტეს ტექნიკური და სწრაფი ფეხბურთელები ჰყავს

***2012 წლის 14 ნოემბერს თბილისში საქართველოს ეროვნული ნაკრებმა ამხანაგური შეხვედრა გამართა ეგვიპტესთან. თემურ ქეცბაიას გუნდმა შეკრება 12 ნოემბერს დაეწყო ფეხბურთის ფედრაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" და იმავე დღეს ქეცბაიამ პრესკონფერენცია გამართა.***

– ეს ამხანაგური მატჩი კარგად უნდა ჩავატაროთ, ნაკრებისთვის წლის ბოლო თამაშია და წელიწადი კარგ ნოტაზე უნდა დავასრულოთ. სხვა ფაქტორებს რომ თავი გავანებოთ, ეს აუცილებელია თუნდაც წმინდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. სამატჩოდ გამოძახებული ფეხბურთელებიდან ბევრი ვერ ჩამოვა ნაკრებში. სამაგიეროდ, ბევრ სხვა ფეხბურთელს დავაკვირდებით. ყველანაირი ხელშეწყობა იქნება, რომ კარგად მოვემზადოთ ამ მატჩისთვის.

**– მეტოქეთა გუნდზე რა ინფორმაცია გაგაჩნიათ?**

– კარგად მომზადებული, სერიოზული გუნდია, ვნახოთ. იმედია, საინტერესო თამაში გამოვა.

**– მაინც როგორი სტილის ფეხბურთს თამაშობს ეგვიპტის ნაკრები? კონკრეტულად რას ემსახურება ამ მეტოქესთან მატჩი?**

– ეგვიპტელ ფეხბურთელებს ფიზიკურად მომზადებული, სწრაფი, ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავთ, ეს ნაკრები კარგ დონეზე თამაშობს. მათთან თამაში დიდად დაგვეხმარება შესარჩევში საფრანგეთთან მატჩისთვისო, ასე არ ვიტყოდი, საფრანგეთთან შეხვედრამდე ხომ ოთხი თვეა დარჩენილი.

ეგვიპტესთან მატჩი დაგვანახებს ჩვენი ფეხბურთელების მდგომარეობას, არის თუ არა ზოგი ფეხბურთელი მზად ნაკრებში თამაშისთვის.

**– ეგვიპტესთან მატჩისთვის ნაკრებში გამოძახებული იყო დავით დევდარიანი. მერე ითქვა, რომ ვერ ჩამოვა სანაკრებო შეკრებაზეო, თუმცა ამას წინათ მან დანიაში ითამაშა და საკმაოდ შთამბეჭდავადაც, რაც გვაიმედებს...**

– ჩვენ არ გვითქვამს, რომ დევდარიანი ტრავმის გამო ვერ ჩამოვა ნაკრებში მონაწილეობის მისაღებად. მას ტრავმა აწუხებდა და ჯერ ბოლომდე არ მოუშუშებია. თანაც, საკუთარ კლუბში თამაში აქვს პარასკევს. ამის გამო ვერ ჩამოვიდა ის ამ სანაკრებო შეკრებაზე. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს...

**– ვინ იქნება საქართველოს საფეხბურთო ნაკრების კაპიტანი ეგვიპტესთან მატჩში?**

– თამაშამდე ორი დღე დარჩა, კაპიტანს კი მატჩის წინ შევარჩევთ და მას მოედანზე ნახავთ.

**– როგორ ფიქრობთ, ჩვენი მედია ნორმალურად აშუქებს ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებს?**

– რომ ვთქვა, ნაკრების გაშუქებით თავს იკლავენო, მოვიტყუები. ორი ოფიციალური მატჩი გვქონდა და ერთი კაციც არ ჩამოსულა ქართული მედიიდან ამ თამაშების გასაშუქებლად. ასე რომ, ამ საკითხისადმი დამოკიდებულება გასაგებია. დანარჩენი თვითონ შეაფასეთ. ამას წინათ ჩემს ერთ-ერთ ტელეინტერვიუში აღვნიშნე, რომ ჩვენ კრიტიკა გვჭირდება არა მაშინ, როცა საქართველოს ნაკრები მატჩს წააგებს, არამედ მაშინ, როცა მატჩს მოვიგებთ, რათა საფუძვლიანად შევისწავლოთ არსებული რეზერვები, კიდევ უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ უპირატესობა, განსხვავებულად მივუდგეთ სხვადასხვა გუნდებს... კარგი იქნება, თუ ჩვენი მასმედიის საშუალებები ჩემს ამ მოსაზრებას გაითვალისწინებენ.

**– საფრანგეთთან შეხვედრამდე, თებერვალშიც ხომ არ აპირებთ კიდევ ერთი ამხანაგური მატჩის გამართვას?**

– ვცდილობთ, რომ ეს მოვახერხოთ, მაგრამ, ალბათ იცით, რომ ამის გაკეთება არცთუ ადვილია.

**– ბოლო დროს ფეხბურთელი ალექსანდრე ამისულაშვილი თავისი კლუბის ძირითად შემადგენლობაში აღარ ჩანს – ხომ არ იცით ამის მიზეზი?**

– არ ვიცი. იმედია, ეს დროებითი მოვლენაა.

**პრესკონფერენციის დასასრულს საქართველოს საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ღრმა მწუხარება გამოთქვა ჯანო ანანიძის მამის გარდაცვალების გამო.**

**ეგვიპტის საფეხბურთო ნაკრებთან მატჩის შემდეგ კი, რომელიც ფრედ დასრულდა, საქართველოს გუნდის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს ჟურნალისტმა მცირე ინტერვიუ ჩამოართვა.**

**– ეგვიპტესთან გამართულ მატჩზე რას გვეტყვი?**

– ალბათ, ფრე ლოგიკური შედეგი იყო. პირველ ტაიმში საგოლე მომენტები შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ და მატჩის შედეგი სწორედ ამან განაპირობა. მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ეგვიპტეს ძლიერი ნაკრები გუნდი ჰყავს და მათთან მოგება ადვილი არ იყო.

**– ეგვიპტელებს რამდენიმე ლიდერი აკლდათ...**

– მაინც საკმაოდ ძლიერი გუნდია და ჩვენც რამდენჯერმე გადავურჩით გოლს. ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი ჩვენც გვაკლდა.

**– საქართველოს ნაკრებს ძალიან უჭირს შეტევების განვითარება და კომბინაციური ფეხბურთის ჩვენება, რაც ქართული ფეხბურთის სახე იყო. შენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

– წამყვანი მოთამაშეების ნაწილი არ გვყავდა და ეს ბუნებრივიც იყო. ასე გუნდის ათამაშება ლევან ყენიასა და ჯანო ანანიძეს შეუძლიათ. მათი არყოფნა კი ნაკრებისთვის სერიოზული დანაკლისი იყო და ბუნებრივია, ისე ვერ ვითამაშეთ, მაყურებელი რომ ითხოვდა.

**– ფინეთში მოგება შეგეძლოთ, მაგრამ 10-კაციანმა მეტოქემ ანგარიში გაგვითანაბრა.**

– გეთანხმებით, ფინეთში უნდა მოგვეგო, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. ალბათ, ეს იმის ბრალია, რომ ახალგაზრდული შემადგენლობა გვყავს.

**– საინტერესოა, ბელორუსში რა მოგივიდათ?**

– თამაშის დაწყებისთანავე გაშვებულმა სწრაფმა გოლმა გაგვტეხა და თამაშის შემოტრიალება ვერ მოვახერხეთ. ალბათ ესეც ასაკის ბრალია. ასეთ დროს თამაშის შემოტრიალება მხოლოდ მრავალჭირგამოვლილ გამოცდილ მოთამაშეებს ეხერხებათ.

**– შენი აზრით, საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს მე-3 ადგილის დაკავების პოტენციალი გააჩნია?**

– ამ მიზნის შესრულება სავსებით რეალური იქნება, ფინეთს სახლში თუ მოვუგებთ.

**– ბელორუსთან თუ ფინეთთან უკვე ვითამაშეთ. შენი აზრით, რომელი გუნდია მე-3 ადგილისთვის ბრძოლაში ჩვენი კონკურენტი?**

– ორი აზრი არ არის, ბელორუსი ბევრად უფრო ძლიერი გუნდია.




**გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს ოფისში. ტელ. 599.209.624**

**თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.**

საგამოცემო ჯგუფი





## როგორ ტკბებოდა სააკაშვილი პატიმრების ცემა-წამებით

საინფორმაციო სააგენტო **„ივერიონის"** მიერ გავრცელებული ინფორმაციით, რომელიც, მისივე თქმით, სანდო წყარომ მიაწოდა, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ტოტალურად ინფორმირებული იყო ქართულ ციხეებში პატიმართა წამების დაუჯერებელი ფაქტების შესახებ და მეტიც, მას პატიმართა ერთი ნაწილის წამების ამსახველი ვიდეოკადრები თავადაც არაერთხელ აქვს ნანახი. არც ის იწვევს ეჭვს, რომ მსგავსი სადიზმის ჩადენას ციხეებშიც კი ვერავინ გაბედავდა (მით უმეტეს **"ჭაობის კუკლად"** სახელდებული, ტუჩებდაბერილი საეჭვო რეპუტაციის მქონე ხათუნა კალმახელიძე) სააკაშვილთან წინასწარი შეთანხმებისა და მისი ნებართვის გარეშე, რადგან ამ არაკაცის მიერ ქვეყანაში გატარებული პოლიტიკა სწორედ შიშზე იყო დაფუძნებული.

წყარო აცხადებს, რომ ბაჩო ახალაია და შემდგომში ხათუნა კალმახელიძე პროფესიონალ ოპერატორებს აღებინებდნენ ეგრეთ წოდებული კანონიერი ქურდებისა და კრიმინალური ავტორიტეტების ცემისა და წამების ამსახველ ფაქტებს და ეს ჩანაწერები პრეზიდენტთან მიჰქონდათ.

**„მიხეილ სააკაშვილი თავის უახლოეს გარემოცვასთან ერთად ხშირად უყურებდა ბაჩო ახალაიასა და ხათუნა კალმახელიძის მიერ მოტანილ კადრებს. ის ამაყობდა, რომ დაამარცხა „კანონიერი ქურდები" და მათი დამცირების, წამების ამსახველი კადრების ყურებისას აღტაცებას ვერ მალავდა. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ეს „ფილმები"მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთი საყვარელი გასართობი იყო, მაგრამ დღემდე ამას ხმამაღლა ვერავინ ამბობს. როცა მას ბაჩო ახალაია და ხათუნა კალმახელიძე მორიგი კრიმინალური ავტორიტეტის წამების ამსახველ ჩანაწერს მოუტანდნენ, სააკაშვილი სასწრაფოდ ნახავდა ხოლმე მას. მერე მოიწვევდა თავისი უახლოესი გარემოცვის წევრებს და მათთან ერთად აღტაცებით უყურებდა, როგორც სანუკვარ ფილმს",** – განუცხადა წყარომ **„ივერიონს"**.

წყაროს თქმით, სხვადასხვა დროს პატიმართა წამებისა და შეურაცხყოფის ამსახველი ამგვარი **„ფილმები"** პრეზიდენტის კაბინეტში ნანახი აქვთ ვანო მერაბიშვილს, ზურაბ ადეიშვილს, ირაკლი ოქრუაშვილს, ზურაბ ნოღაიდელს, გიგა ბოკერიას, გივი თარგამაძეს, დავით კეზერაშვილს, ლევან რამიშვილს, გია ბარამიძეს, დათა ახალაიას, ირაკლი კოდუას და სხვა ყოფილ მაღალჩინოსნებს.



## იუმორი

* * *

ნარკომანი, მეხანძრე და სადისტი ერთ საკანში სხედან. ნარკომანი ამბობს:

– ერთი მომაწევინა!

მეხანძრე:

– ნეტა მე ჩამაქრობინა.

სადისტი:

– შენს მოტვლეპილ თავზე!

* * *

გურული თანმშრომლის დაკრძალვაზე კახეთში ჩავიდა. მშობლიურ კუთხეში მწირ ქელეხებს მიჩვეული, სადაც ძირითადად ხალხს ლობიოთი და მხალით უმასპინძლდებიან, გაკვირვებული გასცქეროდა სუფრაზე დახვავებულ ხორაგს. ქელეხის დასასრულს კარგად გამძღარმა და კახური ღვინით შეზარხოშებულმა გურულმა ჩაილაპარაკა:

– ა, ძამა, სად უნდა კვდებოდეს ხალხი.

* * *

საბავშვო ბაღში:

– მამაჩემს იმდენი ფული აქვს, თუ მოინდომა, მთელ თბილისს იყიდის.

– მამაჩემმა თუ მიჰყიდა, კი...

* * *

ექიმის კაბინეტში ქალი შევიდა ნახევარლიტრიანი ბოთლით ხელში.

– ეს რაა? – ეკითხება ექიმი.

– შარდია, ექიმო!

– შარდი ლაბორატორიაში უნდა მიიტანოთ, მეორეც, ეს შარდი კი არა, ზეთია.

– უი, არ გამიკვირდა, პერაშკები რატომ მეწვება-მეთქი?!


ISSN 1987-8966 "ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული
სარეგ. №01018002930
234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე
WWW.saqinform.ge